ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა **არქეოლოგია**

თამარ ჩოგოვაძე

გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის საბეჭდავები
(გამოკვლევა, კატალოგი)

ნაშრომი შესრულებულია არქეოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი - ვახტანგ ლიჩელი
ისტორიის დოქტორი, თსუ პროფესორი

თბილისი
2019

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humatinies

Master programme – **Archaeology**

Tamar Chogovadze

Late Bronze – Early Iron Age seals (research and catalogue)

The research paper has been completed in order to obtain Master's Academic Degree in Archaeology

Supervisor of the work - Vakhtang Licheli

Doctor of history, TSU Professor

Tbilisi

2019

ანოტაცია

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანით დათარიღებული თიხის საბეჭდავების გამოკვლევა, კატალოგს; მათ დეტალურ აღწერას და ანალიზს, ასევე ფართო სპექტრში განხილვას. ნაშრომის შესასრულებლად გაწეული სამუშაოები ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ პუბლიკაციებში გარკვეული ინფორმაციაა მოცემული ამ პერიოდის თიხის საბეჭდავების შესახებ, მაინც აღსანიშნავია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მასალა დღემდე მონოგრაფიულად არ არის შესწავლილი და არ არსებობს კომპლექსური ნაშრომი, რომელითაც საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების სოციალური და ეკონომიკური პარამეტრები იქნებოდა შესწავლილი.

შესრულებული სამუშაოს მიზანია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების მონოგრაფიული შესწავლა და კატალოგის შედგენა, ასევე აქამდე გამოუქვეყნებელი მასალების სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის თიხის საბეჭდავების უკვე არსებულ ტიპოლოგიებში განთავსება და საჭიროების შემთხვევაში ახალი ტიპების გამოყოფაც. უნდა აღინიშნოს, რომ მათი შესწავლით შესაძლებელია მოხდეს გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საზოგადოების სოციალური მდგომარეობის რეკონსტრუქცია და ამ მხრივ მოსალოდნელია, რომ გარკვეულ კითხვებსაც გაეცეს პასუხი.

Abstract

The work represents a research and catalogue of Late Bronze – Early Iron Age clay seals, which have been discovered on the territory of Georgia. It gives a detail description, analyzes and wide spectrum discussion of this period clay seals. The work that was necessary to perform this paper, was sponsored by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia.

Besides, that there are given some information about Georgian Late Bronze = Early Iron Age clay seals in scientific literature, we must mention that there haven't been studied this artifacts monographically. More over there doesn't exist complex work, by which would be studied social and economic parameters of the clay seals, found on the territory of Georgia.

The aim of the performed work is to study monographically Late Bronze – Early Iron Age clay seals, discovered at Georgia. As well as to make a catalogue and to bring unpublished materials in scientific circulation. Herewith, the goal of it is to place Late Bronze – Early Iron Age clay seals in existing typology, or if it will be necessary to establish new types. In fact it's possible to reconstruct the social situation of Late Bronze – Early Iron Age period Georgia by studying of this materials.

სარჩევი

შესავალი 6

I თავი. კვლევის მეთოდოლოგია და საბეჭდავის რაობა 10

1.1 კვლევის მეთოდოლოგია 10

1.2 საბეჭდავის რაობა 11

II თავი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების კატალოგი და გამოკვლევა 16

2.1. წინასიტყვაობა 16

2.2 კატალოგი და გამოკვლევა 17

2.2 „კახური“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური ჯგუფის საბეჭდავები“ 107

III თავი. საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯო-ადრერკინი ხანის თიხის საბეჭდავების სტატისტიკა, ფუნქციის განსაზღვრისათვის 110

3.1 სტატისტიკური ანალიზი 110

3.2 საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯო-ადრერკინი ხანის თიხის საბეჭდავების ფუნქციის განსაზღვრისათვის 113

დასკვნა 120

გამოყენებული ლიტერატურის სია 124

შესავალი

აღნიშნული ნაშრომის - გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის საბეჭდავები (გამოკვლევა, კატალოგი) შესასრულებლად გაწეული სამუშაოები ჩატარდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად შედგენილი პროექტის მიზანი იყო, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების მოძიება, მათ შესახებ ინფორმაციის შეკრება, კატალოგის შედგენა, გამოკვლევა და ერთ ნაშრომად ქცევა (ნაშრომისთვის ტაბულები შეადგინა მ. ჩოგოვაძემ). კვლევის განხორციელების ბაზას წარმოადგენდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მხარეთმცოდნეობის, თუ სხვა მუზეუმები, რომელთა ფონდებშიც შესაძლებელი გახდა გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის საბეჭდავების მოძიება.

საბეჭდავების მოსაძიებლად საქართველოს მასშტაბით მოვინახულე 51 მუზეუმი, აქედან კი საბეჭდავი მხოლოდ 16 მათგანში აღმოჩნდა :

1. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს ეროვნული მუზეუმი;
2. შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმი (თბილისი);
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმი;
4. გრაკლიანი გორის მუზეუმი;
5. ჯამბაკურ-ორბელიანთა სასახლე-მუზეუმი;
6. სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმი;
7. უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
8. რუსთავის ისტორიული მუზეუმი;
9. კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამუზეუმო ექსპოზიცია (დმანისი).
10. საქართველოს ეროვნული მუზეუმი - სიღნაღის მუზეუმი;
11. დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
12. ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
13. ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

14. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი;
15. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი;
16. ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილ ამ პერიოდის საბეჭდავებზე, ცალკეულ პუბლიკაციებში მცირედი ინფორმაციაა მოცემული და დღემდე არ არსებობს მათ შესახებ სრული სახის კრებითი ნაშრომი.

როგორც ნაშრომისთვის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის თიხის საბეჭდავები ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებშია აღმოჩენილი, თუმცა მცირე რაოდენობით გვაქვს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდანაც. საბეჭდავების უმეტესობა ფორმით ხშირად ერთნაირია. ამ პერიოდში აქ ძირითადად, შტამპისებური საბეჭდავები ყოფილა გავრცელლებული. განსხვავებები შეიმჩნევა საბეჭდავების პირზე არსებულ გამოსახულებებში. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ საბეჭდავებზე უმეტესად გეომეტრიული სახის მოტივებია გამოსახული. მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებით, მსგავსი თიხის საბეჭდავები აქ ძვ.წ. მე - 2 ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩნდება და ძვ.წ. მე - 7 საუკუნიდან ნელ - ნელა ქრება (მ. ლორთქიფანიძე 1969). თუმცა, ჩატარებულმა კვლევებმა საბეჭდავების ქრონოლოგიის შესახებ ახალი სურათი მოგვცა, ამიტომ მიმაჩნია, რომ მათი დათარიღებაც გარკვეულწილად გადასახედი და შესაცვლელია. ჩემს ნაშრომში წარმოდგენილია აღნიშნული მასალების ქრონოლოგიური თანმიმდევრობით დალაგების მცდელობა.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭდავების ფუნქციონალური დატვირთვის შესახებ მკვლევარებს შორის სხვადასხვა მოსაზრებებია (მ. ლორთქიფანიძე 1969), (შ. მამულაძე 2010), (Е. И. Крупнов 1965), (დ. ხახუტაიშვილი 1964). ჩემი ნაშრომი კი კიდევ ერთი მცდელობა იქნება არსებული მოსაზრებების გამყარების, უარყოფის ან ახალი ვარაუდის წარმოდგენისთვის.

საინტერესოა ისიც რომ, საქართველოში კერძოდ, გრაკლიან გორაზე, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრითა და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებულ კომპლექსებში აღმოჩენილია მესოპოტამიური საბეჭდავები, რომლებიც არაუადრეს ძვ.წ. IV ათასწლეულის მიწურულით თარიღდება (ნ. სამსონია 2016). როგორც ჩანს, ამ საბეჭდავებს უკვე მეორადი, განსხვავებული ფუნქცია ჰქონდათ მიღებული, რომელიც ჩვენთვის ჯერ - ჯერობით უცნობია და უფრო მისტიურს ხდის ამ საკითხის კვლევას. აქედან გამომდინარე, საბეჭდავების შესწავლა ამ მხრივაც მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით შესაძლებელი გახდა უცხოური ანალოგების მოძიება, რაც კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, თუმცა ზოგიერთი გამოსახულების გავრცელების ფართო არეალის და ქრონოლოგიურად დიდი დროის დიაპაზონის გამო ანალოგები უამრავია და შეუძლებელია ერთ ნაშრომში ყველა მათგანის განხილვა, ამიტო მოყვანილი მაქვს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი. გარდა ამისა, ამ ნაშრომის საშუალებით შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების უკვე არსებულ ტიპოლოგიებში განთავსება, უფრო მეტად კი ახალი ტიპების გამოყოფა. ამასთანავე, ნაშრომს თან დართული საბეჭდავების გავრცელების რუკით და სტატისტიკური მონაცემებით, შესაძლებელია იმის დადგენა, თუ საქართველოს რომელ რეგიონშია ყველაზე მეტად კონცენტრირებული აღნიშნული პერიოდის თიხის საბეჭდავების აღმოჩენის ადგილები და ა.შ. ამით კი თავის მხრივ გარკვეულ კითხვებსაც გაეცემა პასუხი. ნაშრომში წარმოდგენილი იქნება მცდელობა საბეჭდავების მაგალითზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საზოგადოების სოციალური სიტუაციის რეკონსტრუქციისა. ასევე, მისი მიზანია მათი სულიერი სამყაროსა და ყოველდღიური ცხოვრების შესახებ გარკვეული წარმოდგენის შექმნა და ა.შ.

აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ კვლევის ამ ეტაპზე არ იქნება წარმოდგენილი საბეჭდავებზე არსებული გამოსახულებების სემანტიკური კვლევა. ასევე, საბეჭდავების ფუნქციასთან დაკავშირებით, მხოლოდ საწყისი იდეები და მოსაზრებები იქნება მოცემული. ვინაიდან, ამ ეტაპზე შეზღუდული ვარ ნაშრომის მოცულობასა და მისი შესრულების დროში, ვფიქრობ, რომ ზემოთ აღნიშული და კიდევ სხვა საკითხების კვლევას გავაგრძელებ მომავალში.

რაც შეეხება ჩემს კავშირს საკვლევ თემასთან, უნდა აღინიშნოს რომ გრაკლიან გორაზე, სადაც უკვე მე - 6 წელია ვმუშაობ არაერთი საბეჭდავი აღმოჩენილა და თავადაც გამხდარვარ ამ აღმოჩენების შემსწრე. ჩემი ამ საკითხით დაინტერესება კი, ძირითადად გრაკლიანი გორის უნიკალურმა საბეჭდავებმა განაპირობა.

I თავი. კვლევის მეთოდოლოგია და საბეჭდავის რაობა

1.1 კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული ნაშრომისათვის შესრულებული პროექტის მიზანია, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების მოძიება, მონოგრაფიული შესწავლა, კატალოგის შედგენა და პუბლიკაციისათვის მომზადება. ამ მიზნის მისაღწევად კი, აუცილებელი იყო საქართველოს ყველა რეგიონის იმ მუზეუმებში ვიზიტი, სადაც შესაძლებელია, ზემოთ დასახელებული პერიოდის საბეჭდავების მოძიება. ამ მუზეუმებში მუშაობის შედეგად შეიკრიბა მეტ - ნაკლებად სრული ინფორმაცია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების შესახებ. აღსანიშნავია, რომ პროექტის მიმდინარეობისას ადგილზე, მუზეუმის ტერიტორიაზევე მოხდა ამ არტეფაქტების ფოტოფიქსაცია, გრაფიკული ჩანახატების შექმნა და ყველა იმ ინფორმაციის მოძიება, რაც მუზეუმს გააჩნდა აღნიშნული მასალის შესახებ. პროექტის ერთ-ერთი მიზანია, რომ აღნიშნული საბეჭდავებისთვის შეგროვდეს მაღალი ხარისხის ფოტოები და გრაფიკული ჩანახატები, რომლებიც თან ერთვის კატალოგს. როგორც მოგეხსენებათ, გასულ საუკუნეში გამოცემულ წიგნებში უმეტესად დაბალი ხარისხის ფოტოებია, რომლის მიხედვითაც რთულია გარკვეულ ნივთზე წარმოდგენის შექმნა. პროექტის მიზანი, უკვე გამოქვეყნებული საბეჭდავებისათვის ახალი, მაღალი ხარისხის ფოტოების შეგროვებაცაა.

პარალელურად დავამუშავე სამეცნიერო ლიტერატურა, საიდანაც შეიკრიბა ინფორმაცია უკვე გამოქვეყნებული საბეჭდავების შესახებ. ამასთანავე, სამეცნიერო ლიტერატურის დახმარებით მოვიძიე უცხოური ანალოგები, ამ მხრივ გამოყენებული იქნა ე.წ. „კომპარატივისტული“ მეთოდი, რაც ნივთის ანალოგთან შედარებას გულისხმობს.

გარდა ამისა, პროექტის ერთ-ერთი მიზნის შესაბამისად, ჩემს ხელთ არსებული მასალები ტიპოლოგიურად დავალაგე. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ გამოვიყენე უკვე არსებული ტიპები, თუმცა საჭირო გახდა სრულიად ახალი ტიპების გამოყოფაც. უნდა აღინიშნოს რომ, აქამდე მკვლევარები ტიპოლოგიას, ძირითადად საბეჭდავის გარეგნული ფორმის მიხედვით ადგენდნენ. მაგალითად, რ. დავლიანიძე და ვ. სადრაძე თავიანთ ნაშრომში - „ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი“ ნარეკვავის ნამოსახლარის მესამე ჰორიზონტში აღმოჩენილ საბეჭდავებს 4 ქვეტიპად ყოფენ: კონუსურსახელურიანი და მრგვალსამუშაოპირიანი საბეჭდავები; ოთხკუთხაპირიანი საბეჭდავი ცილინდრული სახელურით; წელში გამოყვანილი ოთხკუთხა შვერილიანი საბეჭდავები; წელში გამოყვანილი ცილინდრული ფორმის სახელურით; ორმხრივსამუშაოპირიანი საბეჭდავები (ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე 1993). ჩემი აზრით, ამ შემთხვევაში საბეჭდავის პირზე არსებული გამოსახულება უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე, მისი ფუძის ან სახელურის ფორმა, რადგან საბეჭდავით სხვა ნივთების დაბეჭვდა, სწორედ, პირზე არსებული გამოსახულებით ხდებოდა. მართალია, გამოსახულებები მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი მეორდება. შესაბამისად, ესა თუ ის გამოსახულება, გარკვეულ დატვირთვას ატარებდა და იმ დროინდელი ადამიანების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. სწორედ, ამიტომ ჩემი ტიპოლოგია დამყარებულია საბეჭდავების პირზე არსებულ გამოსახულელბებზე და არა მათი კორპუსის მოყვანილობაზე.

1.2 საბეჭდავის რაობა

როგორც დომინიკ კოლონი ერთ - ერთი თავისი ნაშრომის შესავალში ამბობს, ადამიანი ყოველთვის ფიქრობდა, იმაზე რომ თავისი ნიშანი დაეტოვებინა რაიმე საგანზე გამოსახულების დატანით. მაგალითად, ის კვეთდა თავის სახელს პირამიდის წვერზე, ან ხეზე, რათა ეჩვენებინა სხვებისთვის, რომ ეს გარკვეული ნაწილი ნივთისა მას ეკუთვნოდა. საბეჭდავის ისტორია ჯერ კიდევ პრეისტორიულ ხანაში იწყება, როდესაც ადამიანი თან ატარებდა ამულეტს მისთვის მნიშვნელოვანი გამოსახულებით (D. Collon 2005).

გამოსახულება საბეჭდავზე, ძირითადად, ამოკვეთილია *ინტალიოს* სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ მსგავსი საბეჭდავით დაბეჭდილ მასალაზე ანაბეჭდს მივიღებთ რევერსში. რევერსი გამოსახულებები გვხვდება რელიეფებზე, თუმცა უძველეს ახლო აღმოსავლეთში, სადაც თიხის ფირფიტები გამოიყენებოდა საწერად და სადაც საბეჭდავის ორიგინალური ფორმა - „ცილინდრული“ შექმნეს, საბეჭდავით ანაბეჭდის გაკეთება უმეტესად თიხაზე ხდებოდა. კოლონის თქმით, ცილინდრული საბეჭდავი ძველ სამყაროში მანამ გამოიყენებოდა დოკუმენტების დასაბეჭდად, სანამ აქტიურად არსებობდა ლურსმნული დამწერლობა და თიხის ფირფიტები. მას შემდეგ კი, როდესაც თიხის ფირფიტები და ლურსმნული დამწერლობა აღარ გამოიყენებოდა, დოკუმენტების დასაბეჭდად ცილინდრული საბეჭდავი ჩაანაცვლა შტამპისებურმა საბეჭდავმა. ეს იმიტომ რომ, ამ პერიოდისათვის დახვეულ პაპირუსებს, ან სხვა საწერ საშუალებებს კრავდნენ თასმით. მას კი თიხის გუნდით აფიქსირებდნენ, რომელზეც უკეთ და მარტივად ხდებოდა ანაბეჭდის დატანა შტამპისებური საბეჭდავით (D. Collon 1987, 1993, 2005).

მესოპოტამიური ნახევრად ძვირფას ქვაზე გამოკვეთილი საბეჭდავები დღეს - დღეობით გლიპტიკის ხელოვნების სახელითაა ცნობილი. მესოპოტამიაში და საერთოდ ძველ აღმოსავლეთში მსგავსი საბეჭდავები ქონების ფლობის დადასტურების ან დოკუმენტის ავთენტურობის ნიშანს წარმოადგენდა. თუმცა, უფრო მეტად, საბეჭდავს თილისმის ფუნქცია ჰქონდა - მას უნდა დაეცვა მფლობელი და მისთვის ბედნიერება მოეტანა (ნ სამსონია 2008).

საბეჭდავები ახლო აღმოსავლეთის არქეოლოგიურ ძეგლებზე ძვ.წ. VII ათასწლეულიდან ჩნდება, ხოლო სამხრეთ კავკასიაში მათი გაჩენის თარიღის დადგენა ჭირს. უძველეს მასალად, რომელიც ამ მხრივ შეიძლება იქნეს განხილული, მიიჩნევა არუხლოს ნეოლითურ ნამოსახლარზე აღმოჩენილი თიხის ბულა, შტამპური საბეჭდავის 3 ანაბეჭდით. სამხრეთ კავკასიაში საბეჭდავები ძვ.წ. IV ათასწლეულიდან ჩნდებიან. ღილისებური ფორმის თიხის ორი შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია

აზერბაიჯანში, ბეუკ - კესიკის ხალკოლითურ ნასახლარზე (ნ. შანშაშვილი, ზ. შერაზადიშვილი, 2013).

სამხრეთ კავკასიაში მტკვარ - არაქსის კულტურაში (ძეგლები : არნისი, თალინი, ყაღჩარბიუღი, გუდაბერტყა და სხვ.) უკვე სხვა ტიპის საბეჭდავები ვრცელდება - შტამპური (მრგავლფუძიანი და მართკუთხაფუძიანი) და კონუსური. განსაკუთრებით აღსანიშნავია გუდაბერტყას თიხის კონუსური საბეჭდავი, რომელზეც სამკუთხედების, ირმის და კიდევ ერთი ცხოველის სქემატური გამოსახულებაა, ხოლო ზედაპირზე ბორჯღალია დატანილი. საბეჭდავის ზედაპირი ხუთ ჰორიზონტალურ ნაწილადაა დაყოფილი. საბეჭდავი შესაძლოა, მზის ღვთაების სიმბოლურ გამოსახულებას გადმოგვცემს. აღსანიშნავია, რომ ზედაპირი შუაში გახვრეტილია (ნ. შანშაშვილი, ზ. შერაზადიშვილი 2013). მ. ლორთქიფანიძის აზრით, კონუსი შესაძლოა ინსიგნიას წარმოადგენდა (მ. ლორთქიფანიძე 1969).

სურ.1

სურ.2

მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, საქართველოში არქაული თიხის საბეჭდავების გავრცელება ძვ.წ. XIV საუკუნიდან იწყება (მ. ლორთქიფანიძე, 1969). საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სამხრეთ კავკასიაში დღეს - დღეობით 20 - ზე მეტი მითანური სტილის თიხის საბეჭდავია გამოვლენილი. ეს ფაქტი, უნდა მიგვითითებდეს სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის შესაძლო სავაჭრო ურთიერთობებზე (ნ. შანშაშვილი, გ. ნარიმანიშვილი, გ. ნარიმანიშვილი 2016).

მეორადად გამოყენებულ საბეჭდავებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გრაკლიან გორაზე გვიანბრინჯაოს ხანის ტაძარში აღმოჩენილი ორი შუამდინარული საბეჭდავი (სურ. 1; სურ. 2). სავარაუდოდ, ისინი ტაძრისთვის უნდა ყოფილიყო შეწირული, როგორც საკულტო საგანი და არა როგორც დასაბეჭდად გამიზნული საბეჭდავი. ერთ - ერთ კონუსურ საბეჭდავზე გამოსახულია ღვთის სახლი (ტაძარი). ის ტიპიური ნიმუშია შუამდინარეთის ძვ.წ. IV ათასწლეულის კონუსური საბეჭდავისა ფორმით, მასალით და იკონოგრაფიით. ცილინდრული საბეჭდავი ძვ.წ. III ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება (ურუქის პერიოდის სტილი). შესაძლოა, რომ გრაკლიანი გორის ცილინდრი ძველი კონუსური საბეჭდავისგან იყოს გადაკეთებული. ეს იმიტომაა სავარაუდო, რომ იკონოგრაფიაში მოქცეულია ყულფის ნახვრეტი, რაც იშვიათია დასაბეჭდად გამიზნულ ნიმუშებზე. როგორც ცნობილია, ცილინდრული საბეჭდავები იხვრიტებოდა ვერტიკალურად, ან საერთოდ არ იხვრიტებოდა. იკონოგრაფია მთავარ კომპონენტს წარმოადგენდა, რითაც ანაბეჭდი კეთდებოდა, ხოლო ნახვრეტი საკიდისთვის, მის სატარებლად იყო გამიზნული და ის იკონოგრაფიის გასაფრთხილებლად გამოიყენებოდა. აშკარაა, რომ ეს ნახვრეტი იკონოგრაფიის

შესაბამისადაა დატანილი გრაკლიანის საბეჭდავზე, რადგან ის ორგანულად ერწყმის მთელს სცენას (ნ. სამსონია 2016).

როგორც ხედავთ, მეორადად გამოყენებული საბეჭდაები კვლევის მნიშვნელოვანი საგანია. ამ ეტაპზე კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბეჭდავს მართლაც, რომ ძლიერი საკრალური და სოციალური დატვირთვა ჰქონდა. გრაკლიანის ზემოთ მოხსენიებული საბეჭდავების მაგალითზე, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ დიდი მნიშვნელობის მატარებელ საბეჭდავებს, როგორც საკულტო ნივთს, ისე უფრთხილდებოდნენ. მისი ქონა კი, ალბათ იმ დროისთვის სოციალურად დაწინაურებულ რელიგიურ მმართველს - უმაღლესს ქურუმს შეეძლო. ამის ფიქრის საშუალებას კი ის გვაძლევს, რომ გრაკლიან გორაზე მსგავსი საბეჭდავები ტაძრის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

II თავი. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების კატალოგი და გამოკვლევა

2.1. წინასიტყვაობა

ამ თავში წარმოდგენილია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების კლასიფიკაციის მცდელობა. ვინაიდან, საკვლევი საგანის მასშტაბი ძალიან დიდია და კვლევის მხოლოდ გარკვეული ნაწილია შესრულებული, მოსალოდნელია, რომ მომავალში მოცემულ კლასიფიკაციაში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს.

კატალოგში მასალები დალაგებულია სხვადასხვა ტიპების მიხედვით (სულ გამოიყო 16 ტიპი, ხოლო საერთო ჯამში 17 ჯგუფი), ხოლო თავად ტიპოლოგია კი დამყარებულია საბეჭდავის საბეჭდ პირზე არსებული გამოსახულების მიხედვით. ჯგუფებში მასალები დალაგებულია ქრონოლოგიურად. აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში, რაიმე განსაკუთრებული სურათი არ მოგვცა საბეჭდავის კორპუსის მოყვანილობამ, რათა გამოგვეყო ქვეტიპები. ერთიდაიგივე გამოსახულება უმეტეს შემთხვევაში, ერთი ტიპის მოყვანილობის საბეჭდავებზეა დატანილი.

ამ კატალოგის შედგენისას ეტალონად ვიყენებ მ. ლორთქიფანიძის 1969 წლის ნაშრომს „ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი“ (მ. ლორთქიფანიძე 1969). ვფიქრობ რომ, ქალბატონი მარგოს მიერ შექმნილი არტეფაქტების დალაგების და მათი აღწერის პრინციპი ძალიან მართებული და მოსახერხებელია, მიუხედავად იმისა, რომ ეს წიგნი ზუსტად 50 წლის წინ გამოიცა. მეტიც, საბეჭდავების გარკვეული ნაწილის აღწერა ამ ნაშრომის მიხედვით მაქვს გაკეთებული. ტერმინების უმეტესობაც აღნიშნული წიგნიდან მაქვს აღებული.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში ვერ მოხერხდა ზოგიერთ საბეჭდავზე სრული ინფორმაციის მოძიება, ასევე ვერ მოესწრო, ამ ეტაპისთვის ზოგიერთი მათგანის

ზუსტი თარიღის განსაზღვრაც. ვინაიდან არ გვქონია შესაძლებლობა გვემუშავა ყველა ჩვენთვი საინტერესო მუზეუმის ფონდში თუ საცავში(რამოდენიმე მათგანი ამჟამად არ ფუნქციონირებს და აქ დაცული არქეოლოგიური მასალები დალუქულია) ვფიქრობთ არსებობს გარკვეული რაოდენობა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბეჭდავებისა რომლის ნახვაც ვერ მოვახერხეთ, მაგრამ აღნიშნული ფაქტი არანაირად არ აკნინებს ჩვენი ნაშრომის სამეცნიერო ღირებულებას.

2.2 კატალოგი და გამოკვლევა

1. **კუთხეებშევსებული ჯვარი**

1. (სამუზეუმო # ბმმ 45/40) - მოლითი, ჯავახეთი (სურ.3) - შემთხვევითი მონაპოვარი, 1963 წლის თებერვალში, მიწის სამუშაოების დროს, ინახება ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ფონდი - „პირველი“; მუზეუმს გადაეცა მოქალაქე მ. თოროსიანისგან 18.08.1965 წელს, აქტი #6).

„საბეჭდავი აგურისფრად გამომწვარი თიხისა, ყავისფრად შეღებილი ყოფილა. საღებავის კვალი შერჩენილია ზურგზე, სახელურსა და აქა იქ მცირედ ზედაპირზედაც. თიხა წვრილმარცვლიანია, კარგად განლექილი და გამომწვარი. საღებავი პრიალა ყოფილა, მუქი ყავისფერი. მრგვალ, ამობურცულპირიან საბეჭდავს გრძელი სახელური აქვს, სახელური თითქმის მრგვალია.



სურ.3

ცალ მხარეს თითქოს ოდნავ შებრტყელებული, იგი საბეჭდავის მიმართულებით ოდნავ მსხვილდება და უსწორმასწორო ზედაპირის მქონე ზურგში გადადის. პირზე სწორხაზოვანი გეომეტრიული სახეა ამოჭრილი ე.წ. „შევსებული ჯვარი“ - ურთიერთგადამკვეთი ხაზი საბეჭდავის პირს ოთხ სეგმენტად ყოფს. სეგმენტები სრული და გაშლილი კუთხეებით არის შევსებული და აგრეთვე ოდნავ მორკალული ხაზებით. მსგავსი გამოხატულებები კრეტასა და ხეთურ საბეჭდავებზე გვხვდება ((D. Hogarth 1911, ტაბ. V, 126); (F. Matz 1928, ტაბ. X, 6)). საბეჭდავი ხელითაა ნაძერწი, გამომწვარია. თიხა კარგად არის განლექილი წვრილმარცვლიანია. საბეჭდავი მუქი ყავისფერი საღებავით არის შეღებილი; საღებავი პრიალებს და თხელი ჭიქურის შთაბეჭდილებას ახდენს ზედაპირზე გამოსახულებაა წვრილწვერიანი ნემსით არის ამოკვეთილი. ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავი ძვ.წ. XIV საუკ. თარიღდება“[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 68].

დაცულობა : საბეჭდავი კარგად არის შენახული; აქა-იქ საღებავი აქვს გადაცლილი. ზომები : საბეჭდავის სიმაღლე : 4,5 სმ - ია, პირის სიგრძე დაახლოებით 4,4 სმ, ხოლო სიგანე : 3,8 სმ - ია.

როგორც მ. ლორთქიფანიძე აღნიშნავს, ტერაკოტას მოჭიქული საბეჭდავების არსებობა დადასტურებულია ლერნაში ადრეელადურ პერიოდში (M. Heat 1928). გარდა ამისა, საბეჭდავის პირზე ხეთურსა და ადრეკრეტულ საბეჭდავებზე გავრცელებული გეომეტრიული მოტივია ამოჭრილი, სახელდობრ ე.წ. „შევსებული ჯვარი“ (მ. ლორთქოფანიძე 1969). სხვა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მსგავსი საბეჭდავებისგან განსხვავებით მოლითის საბეჭდავის ინტალიოს ამობურცული პირი აქვს, ასევე სხვაობას წარმოადგენს ის, რომ ამ საბეჭდავზე სამ სეგმენტში გაშლილი კუთხეები და რკალებია ამოჭრილი, მეოთხეში კი სამი სწორი ხაზია ჩასმული (მ. ლორთქოფანიძე 1969).

„ყველაზე ახლო პარალელები ანატოლიაში ალიშარში აღმოჩენილ მასალებს შორის ეძებნება, რომელიც სპილენძის ხანით თარიღდება (H.H. V. D. Osten 1930 - 32).

აგრეთვე ხეთურ საბეჭდავებს შორის, რომელიც ძვ.წ. XV საუკ. თარიღდება (D. Hogarth 1928, ტაბ. V : 126)“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 25].

მოლითის საბეჭდავის კვლევას ძალზედ ართულებს ის ფაქტი, რომ ის მიწის სამუშაოებისას არის აღმოჩენილი და არ გააჩნია არქეოლოგიური კონტეექსტი. საბეჭდავის შესწავლის მხრივ მნიშვნელოვანია რ. კვირკველიას მიერ საქართველოს მუზეუმის მოამბეში 2013 წელს გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გასული საუკუნის 60 - იან წლებში ჯავახეთში, სოფ. მოლითში აღმოჩენილ კრემაციულ სამარხებს ეხება (რ. კვირკვაია 2013). ავტორი ეყრდნობა 1964 წლის არქეოლოგიურ საანგარიშო სესიაზე, ტ. ჩუბინიშვილისა და ო. ღამბაშიძის მიერ წარმოდგენილ მოკლე ანგარიშს, რომლის მიხედვით, ქვის კარიერის დამუშავებისას წლიდან წლამდე კლდის ნაპრალებში ჩნდებოდა კრემაციული სამარხები. ურარტული კოლუმბარიუმების მსგავსად ნაპრალებში მოქცეულია მიცვალებულის ფერფლის შემცველი თიხის ჭურჭელი. მათში ან იქვე ახლოს განლაგებული იყო ბრინჯაოს ინვენტარი და სხვადასხვანაირი მძვიები. სამაროვნის მხოლოდ მცირე ნაწილის შესწავლის შედეგად არ გამოვლენილა ხელუხლებელი კრემაციული სამარხები, მხოლოდ ნაშთები იქნა აღმოჩენილი. მათი თქმით, მასალის დიდი ნაწილი შიდა ქართლისა და თრიალეთის ძვ.წ. მე -14 - მე - 15 სს - ის ძეგლებს ემსგავსება და ასევე კოლხურ კულტურას (ძვ.წ. მე 9 - მე - 6 საუკუნეებით დათარიღებული თიხის ჭურჭელს). აქვეა ციკლოპური ნაგებობანი და ნასოფლარი, რომელიც ახლოს დგას თარიღით სამაროვანთან (ტ. ჩუბინიშვილი, ო. ღამბაშიძე 1965). ამ ინფორმაციიდან ჩვენთის საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის რომ, ზემოთ აღნიშნულ სამარხებში ხეთური ტიპის თიხის საბეჭდავებიცაა აღმოჩენილი (როგორც ტ. ჩუბინიშვილი და ო.ღამბაშიძე აღნიშნავდნენ). აქვე გაგვახსენდება, რომ მ. ლორთქიფანიძე მოლითის საბეჭდავის გამოსახულების ანალოგს ხეთურ ნიმუშებშიც პოულობს. თავად საბეჭდავი მაღალ დონეზეა დამუშავებული და ამასთან სპეციალური საღებვითაა დაფარული, რაც ადგილობრივ საბეჭდავებზე არ გვხვდება. ამან კი შეიძლება ისიც გვაფიქრებინოს, რომ ის არ არის ადგილობრივი და რომელიმე სხვა

კულტურას ეკუთვნის. შესაძლოა, ეს საბეჭდავი რომელიმე მსგავსი სამარხის ინვენტარსაც კი წარმოადგენდა, თუმცა ამის დადგენა ამჟამად შეუძებელია.

რ. კვირკვაია მოლითის კოლუმბარიუმის ტიპის სამარხების კვლევისას მ. ლორთქიფანიძის მიერ მიღებულ საბეჭდავის თარიღს იშველიებს, თუმცა ის მაინც უფრო მოგვიანო პერიოდს მიაკუთვებს ამ სამარხებს შესაბამისი ანალოგების მიხედვით : სოფ. მალაქლუსა (სომხეთი) და ნორ - არეშის კოლუმბარიუმები მრავალ სიახლოვეს ავლენენ მოლითის კრემაციულ სამარხებთან, ხოლო ეს ორი უკანასკნელი კი ურარტულ კულტურასთანაა დაკავშირებული და შესაბამისად ძვ.წ. მე - 9 - მე - 7 სს - ით თარიღდება. (იხ. ვრცლად რ. კვირკვაია „კრემაციული სამარხები ჯავახეთში და ურარტული კოლიმბარიუმები“, 2013 წ. გვ 92 – 103). ამან კი შესაძლოა, ჩვენი საბეჭდავის თარიღიც შეცვალოს.

როგორც ვხედავთ, მოლითის საბეჭდავის ზუსტი წარმომავლობისა და თარიღის დადგენა ძალზედ რთულ საკითს წარმოადგენს, თუმცა ამ მხრივ ყველაზე მისაღები მაინც მ. ლორთქიფანიძის მიერ მიღებული თარიღია (ძვ.წ. მე - 14 ს.) (მ. ლორთქიფანიძე 1969), ვინაიდან ის ახლო ანალოგებზე დაყრდნობითაა მიღებული.

2. *„(სველე #12) - გუდბერტყა, ციხიაგორა, 1956 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, ტრანშეა #1, ინახება გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.*

საბეჭდავი რუხი ფერის თიხისაა, ადგილ - ადგილ აგურისფერია (ანატკეცშიც აგურისფერია). ცილინდრული, ოდნავ შებრტყელებული სახელური თითქოსდა კონუსისებრ მოყვანილობის საბეჭდავში გადადის. საბეჭდავს მრგვალი და ბრტყელი პირი აქვს. სახელური გრძელია. პირზე გამოხატულია გეომეტრიული ორნამენტი ე.წ. შევსებული ჯვარი. - ურთიერთგადამკვეთი ხაზები საბეჭდავი პირს 4 სეგმენტად ჰყოფს. თითოეულ სეგმენტში სამ - სამი კუთხეა მოთავსებული. საბეჭდავი ხელითაა ნაძერწი და შემდეგ გამომწვარი. თიხა საკმაოდ კარგადაა განლექილი.

პირი იმდენად კარგად აქვს გადალესილი, რომ გაპრიალებულს ჰგავს (შესაძლოა სპეციალურადაც კი იყოს გაკრიალებული). გამოხატულება ჩხირით უნდა იყოს ამოჭრილი. ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავს ძვ.წ. XIV საუკ. ვათარიღებთ.

დაცულობა : სახელურის თავი გადატეხილია, ზურგი აქა - იქ ატკეცილია. ზომები : საბეჭდავის სიმაღლე 5,1 სმ, პირის დიამ. 4,6 სმ " [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 69].

3. (საინვენტარო #52) - გრაკლიანი გორა (სურ.4) - 2016 წლის ექსპედიცია. თიხის შტამპური საბეჭდავი აღმოჩნდა მე - 3 ტერასის #4 ნაგებობაში, რომელიც ექცევა 78 ნაკვეთის A10—B10 სექტორებში და 88 ნაკვეთის A1—B1 სექტორებში. ნივთი 5 თიხის ჭურჭელთან (3 პირგადაშლილი ჯამი, ორი მელიღელეს ტიპის სასმისი) ერთად In situ განთავსებული იყო სათავსოს დასავლეთ კედელსა და ხოვლური ტიპის ღუმელს შორის არსებულ თაროზე. საინტერესოა, რომ აღნიშნული თარო მოპირკეთებული იყო თითქოს განგებ შერჩეული ერთნაირი ბრტყელი და თეთრზოლიანი ქვებით. საბეჭდავი ამჟამად ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.



სურ.4

თიხის საბეჭდავი მორუხო - მოშავო შეფერილობისაა, გლუვი, კეცი წვრილ თეთრ მინარევებს შეიცავს. გამომწვარია. საბეჭდავის ბრტყელგანივკვეთიანი სახელური, რომელიც ბოლოსკენ ფართოვდება, გადადის წრიული ფორმის ფუძეში. მასზე ნაკლებად ღრმა კვეთითაა შესრულებული „კუთხეებშევსებული“ ჯვრის ორნამენტი. სივრცე 4 სექტორადაა დაყოფილი და თითოეული სექტორი შევსებულია 2 მონაკვეთისგან შედგენილი კუთეებით, რაც ქმნის ჯვრის სახეს. აღსანიშნავია, რომ საბეჭდავის კიდეებში, ოთხივე სექტორში, უმცირესს კუთხეებთან დასმულია თითო - თითო წერტილი. საბეჭდავი თანმხლები მასალის მეშვეობით თარიღდება დაახ. ძვ.წ. XI საუკუნით.



სურ.5

დაცულობა : საბეჭდავი მთლიანი სახითაა შემორჩენილი, მხოლოდ რამდენიმე ადგილასაა გაბზარული. ზომები : საბეჭდავის სიმაღლე 3,7 სმ, პირის დიამ. 4,6 სმ.

4. იხ. 4;3.

5. **(საინვენტარო #50) - გრაკლიანი გორა** (სურ. 5) - 2016 წლის არქეოლოგიური კამპანია, თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა მე - 4 ტერასაზე I_6 კვადრატში, მონაცრისფრო ფხვიერ ფენაში, გვიან ბრინჯაოს ხანის სათავსოში. ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიურ მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა, საკმაოდ კარგად ნაპრიალები, გამომწვარია. კეცი წვრილ მოთეთრო მინარევებს შეიცავს. ნივთი კონუსისებრი მოყვანილობისაა ვიწრო ცილინდრული სახელურით, რომელიც ბოლოსკენ ფართოვდება. სახელურს თავზე აქვს ჩაღრმავება, რომელშიც კარგად თავსდება საჩვენებელი თითი. მიმაჩნია, რომ ამ დეტალს პრაქტიკული დატვირთვა უნდა ჰქონოდა, რათა მომხმარებელს გამარტივებოდა საბეჭდავის გამოყენება. საბეჭდავის პირი არც ისე სიმეტრიულ წრეს ქმნის, სახელურიც ფუძესთან მიმართებით ასიმეტრიულია და ცალ მხარესაა გადახრილი. საბეჭდავის ფუძეზე წვეტიანი საგნით საკმაოდ ღრმა კვეთითაა შესრულებული ე.წ. „კუთხეებშევსებული ჯვარი“ : ურთიერთგადამკვეთი ხაზები მის პირს 4 თანაბარ ნაწილად ყოფს, თითოეულ სეგმენტში 3 კუთხეა მოთავსებული. კუთხეები ერთმანეთისგან საკმაოდ დიდი ინტერვალითაა დაშორებული. საბეჭდავი თანმხლები მასალით თარიღდება ძვ.წ. XI ს - ით.

სურ.6

სურ.7

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნაწილი ჩამოტეხილი აქვს. მთლიანობაში კარგადაა შემონახული. ზომები : საბეჭდავის სიმაღლე : 4,7 სმ, პირის დმ : დაახ. 3,3 სმ.

6. (საინვენტარო #1242) - ნარეკვავი (სურ.6) - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა ნარეკვავის მე - 2 ჰორიზონტში, მე - 11 სახლში. აღნიშნული სახლი ნახევრადმიწურია. კედლები ნაგებია ხის ძელებითა და რიყის ქვით, ხოლო შიდაპირი ბზენარევი თიხითაა შელესილი, იატაკი თიხატკეპნილია. სახლის სამხრეთ - დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა პურის საცხობი ღუმელი (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს. სახელური ბოლოსკენ ფართოვდება და ზედაპირი დაბრტყელებულია, ფუძე წრიულია. საბეჭდავი ორმხრივია. სახელურის ზედაპირზე გამოსახულია ერთმანეთის მკვეთი ხაზებით შედგენილი ჯვარი, ხოლო პირზე ე.წ. „კუთხეებშევსებული ჯვარი“ (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993). ეს საბეჭდავი ანალოგიურია გრაკლიანი გორის საბეჭდავის - (**საინვენტარო # 48).**

7. **(საინვენტარო # 1062) - ნარეკვავი** (სურ.7) - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა ნარეკვავის მე - 3 ჰორიზონტში.

შტამპისებურ საბეჭდავს, კონუსის მოყვანილობის კორპუსი აქვს, სახელურის თავი ბურთულისებრად მომრგვალებულია, ფუძე კი წრიული აქვს. პირზე გამოსახულია „შევსებული ჯვრის“ ორნამენტი (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993).

8. **(საინვენტარო #1165)** - **ნარეკვავი** (სურ.8) - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა ნარეკვავის მე - 3 ჰორიზონტში.

წელში გამოყვანილი, ორმხრივი საბეჭდავი, ფუძეც და სახელურის ზედაპირიც წრიულია. სახელურის ზედაპირზე გამოსახულია S - ებრი სპირალური ორნამენტი, ხოლო პირზე „შევსებული ჯვარი“ (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993).

9. **(საინვენტარო # 1166) - ნარეკვავი** (სურ.9) - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა ნარეკვავის მე - 3 ჰორიზონტში.

სურ.9

სურ.8

თიხის საბეჭდავს ცილინდრული ფორმა აქვს ის წელშია გამოყვანილი და ორმხრივია, ფუძეც და სახელურის ზედაპირიც ცილინდრულია. სახელურის ზედაპირზე გამოსახულია S - ებრი სპირალური ორნამენტი, ხოლო პირზე „შევსებული ჯვარი“ (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993).

ზემოთ აღწერილი ორი საბეჭდავი **(საინვენტარო #1165; საინვენტარო #1166)** აღმოჩენილია კალანდაძის გორა 2 - ზე გათხრილ მე - 3 ნაგებობა - სამლოცველოში (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, 1993). ნაგებობის მარცხენა მხარეს ხოვლური ტიპის ღუმელია აღმოჩენილი. საცხობის უკან მერხზე ოთხკუთხედის ფორმის ალიზის ვარცლი და შვერილებიანი სადგარი დადასტურდა.



სურ.10

სამხრეთ კედელთან ღუმელის წინ სამსხვერპლო - საკუთხეველია გამართული. ამავე მხრიდან იატაკის დონეზე ამოღებულია კიდეებიანი ოთხკუთხა ორმო, რომელშიაც თიხის რამდენიმე პატარა ჭურჭელი გაიწმინდა. ერთ-ერთ მათგანში თიხის საბეჭდავები აღმოჩნდა, ნაგებობის ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში სამსხვერპლოა ჩამხობილი. ჩრდ. კედლის გასწვრივ აღმოჩნდა რამდენიმე ალიზის რქისებრი ძელაკი, როგორც ჩანს, ვერტიკალურად ერთრიგად ჩამწკრივებული. ნაგებობის მარცხენა მხარე კულტმსახურებისთვის იყო განკუთვნილი. სამლოცველოს არსებობის შეწყვეტის დროის დასადგენად ჩატარდა ანალიზი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიონახშირბადის ლაბორატორიაში. შედეგების მიხედვით, სამლოცველო მოქმედებდა ძვ.წ. მე - 7 საუკუნის პირველი ნახევრიდან მის შუახანებამდე. შესაბამისად ზემოთ აღნიშნული 2 საბეჭდავის თარიღი შესაძლოა განისაზღვროს ძვ.წ. მე - 7 საუკუნით (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე 1993).

10. (საინვენტარო # 01-10-IV-760) - ნარეკვავი (სურ.10) - თიხის საბეჭდავი 2000 წელს აღმოაჩინა ნარეკვავის რაზმმა, კალანდაძის გორა 3 ის მე - 2 ტერასზე ქვა - ალიზით ნაგებ სახლში. ნაგებობის სამხრეთ - დასავლეთ კუთხეში პურის საცხობი ღუმელია აღმოჩენილი. მის ჩრდილო - დასავლეთით განთავსებული იყო საკურთხეველი ორშვერილიანი კერპით. ღუმელთან თაროზე ზოომორფულყურიანი ტოლჩა იდგა. აქვე აღმოჩნდა მარცვლეულით სავსე დერგებიც (ვ. ნიკოლაიშვილი 2007).

თიხის სახელურიანი საბეჭდავი, ოთხკუთხა ფორმისაა, დაზიანებულია, პირი ჩამოტეხილი აქვს. განივკვეთში მომრგვალებული - ოთხკუთხა სახელური პირისკენ გაფართოებულია. სახელურის თავი გაბტყელებულია და მასზე 2 ამოღარული ზოლით ჯვარია გამოსახული. პირზე ცენტრში ამოკვეთილია ჯვარი. მათ შორის სივრცე ამოღარული წიწვოვანი ორნამენტით არის შევსებული. საბეჭდავის პირი ოთხ ადგილას შეზნექილი ყოფილა (ვ. ნიკოლაიშვილი 2007).



სურ.12

დაცულობა : ერთი გვერდი ჩამოტეხილი აქვს. ზომები: სიმაღლე 3,5 სმ. სიგანე 3,5 სმ.

11. თიხის საბეჭდავი - ნარეკვავი, (სურ.11) აღმოჩნდა 1983 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს, #3 სახლში, პურის საცხობ ღუმელთან ახლოს.

საბეჭდავს კონუსური ფორმა აქვს, სახელური ცილინდრული. ის ფუძისკენ ფართოვდება, პირი წრიულია და მასზე დატანილია „კუთხეებშევსებული ჯვრის“ ორნამენტი, საკმაოდ ღრმა კვეთით შესრულებული (М.А. Апакидзе, В.В. Николаишвили... 1986).

დაცულობა : პირი დაზიანებულია.



სურ.11

ზემოთ დასახელებული ნარეკვავის საბეჭდავები ძვ.წ. VIII – VI სს - ით თარიღდება (რ. დავლიანიძე, ვ. სადრაძე, 1993).

12. (საინვენტარო #48) - გრაკლიანი გორა (სურ.12) - 2008 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია გვიან ბრინჯაოს ხანის დაცურებულ ფენაში. ამჟამად ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

მოჩალისფრო შეფერილობის საბეჭდავი გლუვია, თიხა წვრილი შავი მინარევებით. კარგადაა გამომწვარი. საბეჭდავს გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს. სახელური მოკლეა, თითქოს განგებაა გადაჭრილი თავი კი დაბრტყელებული. სახელურის ზედაპირზე ერთმანეთის მკვეთი ორი ხაზია ამოღარული, რომელიც ჯვრის სახეს ქმნის. საბეჭდავი ფუძისკენ მკვეთრად ფართოვდება. ფუძე წრიულია და მასზე ძალიან წმინდა კვეთითაა შესრულებული ე.წ. „კუთხეებშევსებული ჯვრის“ ორნამენტი. ორი ერთმანეთის მკვეთავი ხაზი სიბრტყეს 4 ნაწილად ყოფს, თითოეული მეოთხედი კი შევსებულია 2 მონაკვეთისგან შექმნილი კუთხეებით. საბეჭდავის ფუძეზე არსებული გამოსახულება ძნელად შესამჩნევია. ის შესაძლოა ხმარებისგანაა გაცვეთილი.



დაცულობა : კარგადაა შემონახული, სავარაუდოდ მხოლოდ ფუძეზე არსებული გამოსახულებაა გაცვეთილი.ზომები : საბეჭდავის სიმაღლე : 2,5 სმ, პირის დმ : დაახ. 3 სმ.

13. (საველე #47) - გრაკლიანი გორა (სურ.13) - 2016 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩნდა IV ტერასაზე J6 კვადრატში, მეორე თხრილის გვიან ბრინჯაოს ხანის ფენაში (77 - ე ნაკვეთი). საბეჭდავი ამჟამად ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

სურ.13

საბეჭდავი მოჩალისფრო - მოყავისფრო შეფერილობისაა, ხაოიანი, კეცი შეიცავს სილის მინარევებს. გამომწვარია. საბეჭდავს ცილინდრული, ზემოდან დაბრტყელებული სახელური აქვს, რომელიც დაძერწილია ოთკუთხედ და კუთხეებმომრგვალებულ ფუძეზე. გვერდები მკვეთრადაა დაფერდებული. საბეჭდავის სახელურის წვერი ოდნავ ჩაღრმავებულია და მასზე დატანილია 9 ქაოსურად განლაგებული ფოსო. საბეჭდავის პირზე გამოსახულია ე.წ. „კუთხეებშევსებული ჯვრის“ ორნამენტი. ორი ურთიერთმკვეთი მონაკვეთით სიბრტყე დაყოფილია 4 სექტორად და სავარაუდოდ, თითოეული სექტორი შევსებული უნდა ყოფილიყო ორი მონაკვეთისგან შედგენილი კუთხით. მთელი ეს ორნამენტული დეტალი ჩასმულია ჩარჩოში, რომელიც საბეჭდავის პირის კიდეებს შემოუყვება. ორნამნეტი საშუალო სიღრმის კვეთითაა შესრულებული.



სურ.14

დაცულობა : საბეჭდავს ჩამოტეხილი აქვს ფუძის 2 კუთხე, გამოსახულებაც დაზიანებულია. ზომები : სიმაღლე 4,4 სმ, პირის სიგრძე და სიგანე თითქმის ტოლია და 4,9 - 5 სმ-მდე მერყეობს.

14. თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **მჭადიჯვარში** (სურ.14), 1986 წელს. პირზე კუთხეებშევსებული ჯვარია გამოსახული. იგი სავარაუდოდ, გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის ფენებშია დაფიქსირებული.

მჭადიჯვარში 1986 წელს გაითხარა გვიან ბრინჯაოს პერიოდის ნაგებობა, სადაც გაიწმინდა პურის საცხობი ღუმელიც. გარდა ამისა, ნამოსახლარზე აღმოჩენილია სარიტუალო ორმოები კერამიკის ნატეხებით და ბათქაშებით შიგნით. ერთ - ერთი შენობის ჩრდ. კედელთან აღმოჩენილია ანთროპომორფული გამოსახულება ცუდად დამუშავებული თიხისგან. ეს ნაგებობა თარიღდება ძვ.წ. მე - 8 - მე - 6 სს - ით (Р.М. Рамишвили, В.А. Джорбенадзе... и другие 1986).

15. თიხის საბეჭდავი, ინახება გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში (სურ.15), აღმოჩენის ადგილი და საველე/სამუზეუმო ნომერი უცნობია.

თიხის შტამპისებური ზოომორფული საბეჭდავი ჩიტის სტილიზებულ გამოსახულებიანი სახელურით. მორუხო - მოშავო შეფერილობის, ზედაპირი გლუვი. მისი კეცი შეიცავს წვრილ თეთრ მინარევებს. გამომწვარია. სამწუხაროდ, ჩიტის პირი და კუდი მოტეხილია, ამიტომ ზუსტი ფორმის აღდგენა შეუძლებელია. ჩიტის თავი ზემოდან მომრგვალებულია და კიდისკენ დათხელებული. ის გადადის კუდისკენ მკვეთრად გაზიდულ კორპუსში, რომელიც ზემოდან დაბრტყელებულია. გვერდები გამობურცულია. ასევე, კისრის ნაწილიც ოდნავ გამოზიდულია. კუდის ქვეშ კორპუსი კი მკვეთრადაა გამოყვანილი. ჩიტის კორპუსი გადადის კონუსისებრი ფორმის ფუძეში, რომელიც პირისკენ ფართოვდება. პირი წრიულია. მასზე გამოსახულია ე.წ. „შევსებული ჯვარი“: ორი მონაკვეთისაგან შედგენილი კუთხე არათანაბრადაა გადანაწილებული ჯვრის ოთხივე სეგმენტში, რაც საბოლოოდ არასიმეტრიული ჯვრის სახეს ქმნის. კვეთა არ არის ღრმა.

დაცულობა : ფიგურის თავი და კუდი მომტვრეულია, ასევე საბეჭდი პირის კიდეებიც.

ზოები : სიმაღლე 6,1 სმ. პირის დმ - 3,5 - 3,7 სმ დაახლოებით. ჩიტის სიგრძე 6,4 სმ, სისქე 1,5 სმ, სიმაღლე 5 სმ.

სურ.15

ეს საბეჭდავი უნიკალური აღმოჩენაა საქართველოს არქეოლოგიაში, თუმცა მის კვლევას ართულებს ის ფაქტი, რომ აღმოჩენის ადგილი და კონტექსტი უცნობია. ამის გამო ფაქტიურად შეუძლებელია მისი დათარიღებაც. ზოგადად კი ბრინჯაოს ფრინველის გამოსახულებები საქართველოს არქეოლოგიაში ცნობლია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებიდან საკიდების და სხვ. სახით (კ. ფიცხელაური 2005).

აღსანიშნავია, რომ კუთხეებშევსებული ჯვრის ორნამენტი სხვადასხვა მასალის საბეჭდავებზე, განსაკუთრებით იყო გავრცელებული ნეოლითის ხანიდან მოყოლებული ანატოლიის ტერიტორიაზე. თუმცა, ამ ორნამენტულ მოტივს ვხვდებით ეგეოსის აუზიდან - ირანის ტერიტორიის ჩათვლით მთელი მეორე ათასწლეულის განმავლობაში. მათ ნიმუშებს ვხვდებით ასევე კრეტაში - მირტოსზე (P. Warren, 1972). მსგავსი ტიპის ორნამენტული დეტალები საბეჭდავზე ცნობილია ადრე ბრინჯაოს ხანის ფენებიდან ანატოლიის ძეგლებზე, მაგ: ლაოდეკიიდან და კანდილკირიდან (U. Oguzhanoglu 2019). უ. ოღუზჰანოღლუ თვლის, კაოდეკიის და კანდილკირის აღნიშნული საბეჭდავები არი იყო რომელიმე ოჯახის პირადი საკუთრების დამადასტურებელი სიმბოლო, რადგან ის ძალზედ იყო გავრცელებული, როგორც ანაბეჭდის სახით ჭურჭლებზე ისე საბეჭდავებსა და სხვა ნივთებზე (U. Oguzhanoglu 2019). გარდა ამისა, საბეჭდავები ამ ორნამენტით ანატოლიის ტერიტორიაზე აღმოჩენილია მე - 3 - მე - 2 ათასწლეულის სხვადასხვა ძეგლებზე. მაგალითად, ბადემაგასში, ალიშარში, სარიკეთში, აბუ ჰაბაში, ასლანთეფე VI - ზე და სხვ. (G. umurtak 2002). მსგავსი ორნამენტული დეტალები ჩართულია, ასევე ძველი ასირიული და სირიული სტილის ცილინდრულ საბეჭდავებზე. მაგალითად, კარუმ კანეშის მეორე დონიდან (G. umurtak, 2002). გ. უმურთექი აღნიშნავს, რომ მსგავსი ორნამენტით საბეჭდავები გამოიყენებოდა საერთო, საზოგადოებრივი საქონლის დასაბეჭდად და ასევე, ამულეტად (G. umurtak, 2002). გვიან ბრინჯაოს ადრეული ხანით თარიღდება ანატოლიაში კორუჩუთეფეზე მოპოვებული საბეჭდავი შევსებული ჯვრის მოტივით (V. Loon 1980)

მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, მსგავს გამოხატულებებს ანალოგები ძირითადად, მოეპოვება კარგად დათარიღებულ მცირეაზიულ - ხეთურ საბეჭდავებში და ადრეკრეტულ „ტვიფარ“ - საბეჭდავებზე. ხეთურ ძეგლებში აღსანიშნავია ალეპოსა და სმირნაში აღმოჩენილი საბეჭდავები. აღნიშნული მოტივები უძველეს კაპადოკიურ საბეჭდავებზეც გვხვდება, ასევე ალიშარ ჰუიუკში. ეს გეომეტრიული მოტივები გავრცელებული ჩანს ადრე კრეტულ გლიპტიკურ ძეგლებზეც : ლერნაში, ჰაგია - ტრიადასა და ჰაგია - ონუფრიოში. ლერნაში „შევსებული ჯვრის“ ორნამენტი დატანილია ადრეელადური ჭურჭლის ყურზე (მ. ლორთქიფანიძე 1969).

ასეთი ორნამენტული მოტივი, ასევე დატანილია ინდის ველის ცივილიზაციის საბეჭდავებზე, რომლებიც მეორე ათასწლეულის დასაწყისით თარიღდება. მაგალითად, მსგავსი საბეჭდავი აღმოჩენილია პირაკში (პაკისტანი) (V. Shinde, G. L.Possehl, M. Ameri 2003).

ნ. შანშაშვილისა და ზ. შერაზადიშვილის მიხედვით, საბეჭდავები მსგავსი მოტივით, ასევე დომინირებს ჩრდ. - დას. ირანის და ლურისტანის პროვინციებში. (ნ. შანშაშვილი, ზ. შერაზადიშვილი 2013). ჯ. რემპელის აზრით, ჯვრის მოტივიანი საბეჭდავების სიმრავლე იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი მხოლოდ პიროვნების დამადასტურებელ მოწმობებს კი არ უნდა წარმოადგენდნენ, არამედ მაღალი სტატუსის დაწესებულებებშიც (ტაძარი, სამლოცველო) გამოიყენებოდა. როგორც ჩანს, „კუთხეებშევსებული ჯვრის“ გამოსახულება სიმბოლური სისტემის ნაწილად იქცა და თავისი ადგილი დაიკავა იმ სფეროში, სადაც კომუნიკაციის საგულდაგულოდ შემუშავებულმა სისტემამ განავითარა სააღრიცხვო მექანიზმი. შესაძლოა გეომეტრიული მოტივით შემკული საბეჭდავები ინფორმაციული სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენდა (Rempel J. 2005).

აქვე უნდა ითქვას, რომ „შევსებული ჯვრის“ ორნამენტული მოტივი ადრეანტიკურ ხანაში ფართოდ ვრცელდება დასავლეთ საქართველოში. ასეთი საბეჭდავები აღმოჩენილია მაგალითად, კვაშტის ძვ.წ. მე - 5 საუკუნით დათარიღებულ ნამოსახლარზე (შ. მამულაძე 2010).

სურ.16

ამ გამოსახულების კვლევის მხრივ ასევე, საინტერესოა ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე აღმოჩენილი ჯამის ძირის ფრაგმნეტი, რომელზეც ტოლმკლავა ჯვრის ტვიფარია დასმული (ელ. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა და სხვ. 1974).

2. საბეჭდავები ჯვრისებური გამოსახულებით

1. **(საინვენტარო # 1709)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია 1977 წელს **მჭადიჯვარში** (სურ.16). აღნიშნული საბეჭდავი მჭადიჯვარში გამოვლენილ მოედანზე დაფიქსირებულ ორმოებს შორის აღმოჩნდა. ეს ფენები თარიღდება გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანით (ლ. წითლანაძე, გ. მირცხულლავა, მ. გოჩაშვილი 1975). საბეჭდავი ინახება ს. ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში. ის გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანას მიეკუთვნება.

თიხის საბეჭდავი მოყვითალო - რუხი შეფერილობისაა, იგი გლუვია. კეცი კი წვრილ შავ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავი გამომწვარია. მას კუთხეებმომრგვალებული კვადრატის ფორმა აქვს. საბეჭდავის სახელური ცილინდრულია. ბრტყელ ზედაპირზე დატანილია გამოსახულება: ჯვრისებური მოტივის მკვლავების ირგვლივ ამოჭრილია განშტოებული ღარები.

დაცულობა : ჩამოტეხილია პირის კიდის მცირე ნაწილი და სახელურის ბოლო. ზომები: სიმაღლე 3 სმ. პირი ზომები 39X37 სმ.

2. იხ. 4;6.

3. თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **გურჯაანის რაიონში „მელი-ღელეს“** #1 სამლოცველოში (სურ.17). საბეჭდავის წრიულ პირზე გამოსახულია მაღალ რელიეფური ჯვარი, რომლის ოთხივე კუთხეში დასმულია მსხვილი კოპები (კ. ფიცხელაური 1973).

სურ.18

4. „(საინვენტარო #1745, საველე # 229) - ჭოგნარი, (სურ.18) 1964 წლის არქეოლოგიური კამპანია, ფარნალის გორა, თხრილი #3, ჰუმუსური ფენიდან, მოპოვებულია 82 სმ სიღრმეზე. ინახება ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.

საბეჭდავი აგურისფრად გამომწვარი თიხისა, ორმხრივი. თიხა მსხვილმარცვლიანია. მრგვალი და ბრტყელი საბეჭდავი სახელურიანია; სახელური ცილინდრული მოყვანილობისაა დაბალი და საკმაოდ სქელი. სახელურში ნახვრეტის გაკეთება უცდიათ ორი მხრიდან, ნახვრეტები ერთი მეორეს აცდენილია და არც გამსჭვალია. საბეჭდი პირი მრგვალია და ბრტყელი. პირზე აბსტრაქტული გეომეტრიული სახეა გამოხატული, იგი თანაბარმკლავებიან „ჯვარს“ მოგვაგონებს, რომელიც მკლავებს შორის რკალებით, წერტილებით და ზოლებით არის შევსებული. სამკაპიანი ხაზი გადასერილია გრძელი ტეხილი, ჰორიზონტალურად მდებარე ხაზით. „სამკაპიანი ხაზის ქვემოთ „ორკაპა“ ხაზი წარმოდგენს მის გაგრძელებას. აქა - იქ რელიეფური წერტილები და რკალებია გამოხატული. სახელურის თავი ოდნავ ამობურცულია ე.ი. მეორე პირი საბეჭდავისა.



სურ.17

ცენტრში გამოსახულია დიდი ზომის რელიეფური წერტილი, რომელსაც გარს ავლია ათი ასეთივე წერტილისაგან შემდგარი წყება. საბეჭდავი ხელით ნაძერწი და შემდეგ გამომწვარია . თიხა მსხვილმარცვლიანია, ქვიშის მინარევი დიდი რაოდენობით ეტყობა. გამოხატულება ღრმად არის ამოჭრილი. ჩანს ჩხირით უნდა იყოს დატანილი. ტლანქი ნაკეთობაა. ძვ.წ. IX – VIII სს.



სურ.19

დაცულობა : საბეჭდავის ნაპირები შემომტვრეულია, აქა - იქ ანატკეცები აქვს, თიხა გამოფიტულია. ზომები : სიმაღლე 3,8 სმ, პირის დიამ. 5,4 სმ, სახელურის პირის დიამეტრი. 2 სმ.“[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 72]

5. „(საინვენტარო #1744, საველე #227) - ჭოგნარი, *(სურ.19) 1964 წლის არქეოლოგიური კამპანია, ფარნალის გორა, თხრილი #3, ჰუმუსური ფენა საბეჭდავი მოპოვებულია 30 სმ სიღრმეზე.*

საბეჭდავი აგურისფრად გამომწვარი თიხისა; კონუსისებრ მოყვანილობის საბეჭდავს ცილინდრული ფორმის სახელური აქვს, რომლის წაკვეთილი მხარეც საბეჭდავს წარმოადგენს, ე.ი. საბეჭდავი ორმხრივია. საბეჭდავი საკმაოდ უწესოდაა ნაძერწი, სახელური ცერად დგას და ნივთი ცალ მხარესაა დაფერდებული. პირი საბეჭდავის მრგვალი ბრტყელი აქვს. იგი ურთიერთგადამკვეთი ხაზებით ოთხ სეგმენტადაა გაყოფილი. იმის გამო, რომ ხაზების გადაკვეთის წერტილი ცენტრს აცილებულია, სეგმენტები არათანაბარი ზომისაა. - ორი შედარებით პატარა და ორი დიდია. ყოველი სეგმენტი უწესრიგოდ გაბნეული მოკლე - მოკლე რელიეფური ხაზებით არის შევსებული. 2 დიდ სეგმენტში 8-8 ხაზია, პატარებში 6-6. პირი საბეჭდავიდან ღრმა ღარით არის გამოყოფილი. საბეჭდავის სახელურის პირი მრგვალია და ბრტყელი ოდნავ დაქანებული. პირზე გამოხატულია მოხრილმკლავებიანი ჯვარი - სვასტიკა. ერთ - ერთი მკლავი პირს გადასულია, რადგან იგი აღარ დაეტია მოზომილ ადგილას. სვასტიკას

მკლავები სხვადასხვა სისქის და სიგანისაა. საბეჭდავი ხელითაა ნაძერწი დაშემდეგ გამომწვარია. თიხა მსხვილმარცვლიანია. არცთუ მაინცდამაინც კარგი ნაძერწი, საბეჭდავის ზედაპირი თითქოსდა ფოროვანია. უწესო ფორმა აქვს. გამოხატულება ორივე პირზე ჩხირით არის ამოჭრილი. ძვ.წ. IX – VIII სს.

დაცულობა : საბეჭდავი კარგად არის შენახული. ზომები : სიმაღლე 5 სმ, პირის დიამ. 4,5 სმ, სახელურის პირის დიამ. 2,5 სმ.“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 73]

6. (სველე # 2218) - ხოვლე (სურ. 20), 1960 წლის არქეოლოგიური კამპანია. IV ფენის ნაყარი მიწიდან.



სურ.20

„საბეჭდავი ლეგა ფერის თიხისაგანაა დამზადებული, ადგილ - ადგილ აგურისფერი გადაკრავს. თიხა საკმაოდ კარგი განლექილი და წვრილმარცვლიანი ჩანს. საბეჭდავი მრგალი მოყვანილობისაა, საკმაოდ მაღალი, შეუმჩნევლად ამობურცული პირი აქვს და ოდნავ ჩადრეკილი ზურგი. პირზე გამოხატულია ურთიერთგადამკვეთი ხაზი ე.წ. „ჯვარი“, რომელიც მთელ სიბრტყეს ოთხ სეგმენტად ყოფს.

ანალოგიურ გამოხატულებებს ნიმრუდში აღმოჩენილ ფირფიტებზე ვხვდებით. საბეჭდავი ხელით არის ნაძერწი, ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თითქოს მზეზე უნდა იყოს გამომწვარი. თიხა კარგად გამომწვარი და წვრილმარცვლიანია. როგორც ჩანს, გამოხატულება საკმაოდ მსხვილი ჩხირით არის დატანილი თუ ამოჭრილი პირზე იგი ღრმა და ფართოა. თარიღდება ძვ.წ. VII ს - ით.

დაცულობა : საბეჭდავი აქა - იქ გაბზარულია. პირი დაბზარულია. პირი დაზიანებულია - ერთ - ერთი სეგმენტი ამოტეხილი აქვს. ზომები : სიმაღლე 1,5 სმ. საბეჭდავის დიამ. 4,6 სმ“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 73].

3. სპირალური ორნამენტი

1. **(საინვენტარო # 161/1)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენილია **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.21). ძვ.წ. I ათასწ. დათარიღებულ ფენაში. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, დაფარულია კრემისფერი ნადებით, შესაბამისად ზედაპირი ხაოიანია. სავარაუდოდ, მორუხოდ იყო გამომწვარი. კეცი მსხვილ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს ოვალურგანივკვეთიანი სახელური აქვს. მისი ფუძე კუთხეებმომრგვალებულ მართკუთხედს წარმოადგენს, რომელიც საკმაოდ მაღალია. პირზე ღრმა კვეთითაა შესრულებული სპირალური ორნამენტი: ე.წ. „არასრული ტიხრებით“, რომლებიც საბეჭდავის არშიაზეა დაძერწილი 2 -2 ერთმანეთის პარალელურად (თუმცა ერთ მხარეზე მხოლოდ 1 ცალია შემორჩენილი) და ისინი ერთი - მეორის დატოვებულ სივრცეში შედიან, ისე რომ ორნამენტის სიღმეში სპირალი წარმოიქმნება. შეიმჩნევა, რომ ორნამენტის სიღმეში სველ თიხაზე წვეტიანი საგანია გადატარებული. ტიხრები და არშია ფოსოებითაა დაფარული, სულ შემორჩენილია 27 ცალი.

დაცულობა : საბეჭდავს სახელური აქვს მოტეხილი. ფუძის გვერდებიც მოტეხილი აქვს. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 5,5 სმ. პირის შემორჩენილი ზომები : 8 X 7

სურ.21

2. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, კერძო მესაკუთრის ინფორმაციით აღმოჩენილია **კახეთის ტერიტორიაზე**, ინახება ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში (სურ. 22).

სურ.22

თიხის საბეჭდავი მოწითალო შეფერილობისაა, ალაგ - ალაგ დაუყვება მოშავო ფერი. ზედაპირი გლუვია, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავის ფუძეს კუთხეებმომრგვალებული მართკუთხედის ფორმა აქვს. პირზე გამოსახულების ცენტში ამოღარულია სპირალური ორნამენტი. ორნამენტი შემოსაზღვრულია ასევე ამოღარულ ოვალური მოყვანილობის ჩარჩოთი. ჩარჩოს გარედან საბეჭდავის კიდეზე შემოუყვება ერთი რიგი ფოსოების, სულ 34. ფოსოებითაა შევსებული ჩარჩოს შიგნით არსებული სივრცეც, სულ 30. ამ ფოსოების განლაგებაში, თითქოს გარკვეული კანონზომიერება შეიმჩნევა. (ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა)

3. **(საინვენტარო #5111)** თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **ზემო ქედში** (სურ.23), 2002 წელს. ძეგლი ძვ.წ. მე - 9 - მე - 7 სს - ით თარიღდება. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა, გლუვი, გამომწვარია, კეცი სილის მინარევებით. საბეჭდავს გრძელი კონუსისებრი მოყვანილობის სახელური აქვს, რომელის თავიც მომრგვალებულია. საბეჭდავის ფუძე მართკუთხედის ფორმისაა, მაღალია. ზედაპირზე ღრმა კვეთით გამოყვანილია მაღალ რელიეფური ''ტიხრები'', რომლებიც თავისი განლაგებით გამოსახულების სიღრმეში ქმნიან სპირალურ ორნამენტს. ამ ტიხრებით კი მის პარალელურად მართი ღრმა სწორი ღარი იქმნება. პირის ჩარჩოც და ტიხრებიც ფოსოებითაა დაფარული სულ შემორჩენილია : 24 ცალი.



სურ.23

დაცულობა : საბეჭდავის სახელური გატეხილია და შემდეგ აღდგენილი, ფუძის ერთი კუთხე დაკარგულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 10 სმ. პირის ზომები: 7,5 X 7,2 სმ.

4. (საინვენტარო # შწ4991/ა) - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია ივრის ზეგანზე, **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.24) ძვ.წ. I ათასწლ. ფენაში. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოჩალისფრო - მოწითალო შეფერილობისაა, გლუვი. კეცი სილის მინარევებს შეიცავს. გამომწვარია. საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი სახელური აქვს, რომელიც მართკუთხა მოყვანილობის ფუძეს უერთდება. ფუძე მაღალია. პირზე არსებულ გამოსახულებაში სპირალური ორნამენტი ჩანს: მაღალ რელიეფური ე.წ. „ტიხრებით“ იმდაგვარად არის დაყოფილი გამოსახულება, რომ მათ შორის არსებულ სივრცეში სპირალური ორნამენტი შეიქმნას. ორნამენტის სიღრმეში შეიმჩნევა, გარკვეული ირაღის გატარების კვალი. საბეჭდავს პირზე არშია შემოუყვება, ტიხრები სწორედ ამ არშიასთანაა დაკავშირებული. არშიაც და ტიხრებიც ღრმა ფოსოებითაა დაფარული. სულ შემორჩენილია 19.

დაცულობა : საბეჭდავს სახელური აქვს მოტეხილი, ასევე ფუძის ერთი კუთხეც ჩამოტეხილია. ფუძის ერთი გვერდი მთლიანად გაბზარულია. ზომები: საბეჭდავის შემორჩენილი სიმაღლე 6 სმ. პირი: 7,5X6 სმ.



სურ.24

5. **(საინვენტარო #4988/ა)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია ივრის ზეგანზე, **„ცისკარაანთ გორის“** (სურ.25) ძვ.წ I ათასწლეულის ფენაში. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.



თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო შეფერილობისაა, გლუვი, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. გამომწვარია. საბეჭდავს მაღალი ცილინდრული სახელური აქვს, რომელიც მართკუთხედის მოყვანილობის ფუძეს უერთდება. ფუძე მაღალია. პირზე სპირალური ორნამენტია გამოსახული, ზუსტად ისე, როგორც წინა საბეჭდავზე (იხ. საინვენტარო # შწ4991/ა) ამ შემთხვევაში მხოლოდ უფრო მომრგვალებული სპირალებია და ასევე, აქ ოცდაერთი ფოსოა შემორჩენილი გამოსახულებაზე. ეს ფოსოები ორივე შემთხვევაში ანაბეჭდზე გამოკვეთილი სპირალის უკანა ფონს ავსებენ. საერთო ჯამში აღნიშნული საბეჭდავი უფრო მდარე ხარისხისაა ვიდრე წინა (იხ. საინვენტარო # შწ4991/ა).

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნაწილი მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე: 7,3 სმ, პირი: 6 X 4,5 სმ.

6. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენის ადგილი უცნობია. ინახება **სიღნაღის მუზეუმის ექსპოზიციაში** (სურ. 26).

სურ.25

სურ.26

თიხის საბეჭდავი მონაცისფრო შეფერილობისაა, ცილინდრულ სახელურს თავი წაკვეთილი აქვს. ფუძე ჯვრის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს. საბეჭდავის პირზე ღრმა კვეთით დატანილია სპირალური ორნამენტი, რომელიც თითქმის სრულად ავსებს ჯვრის ოთხივე მკლავს.



სურ.27

დაცულობა: საბეჭდავი კარგ მდგომარეობაშია. (ამ ეტაპზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია).

მსგავსი გამოსახულებების უცხოური ანალოგების მოძიება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

4. ჩახვეული სპირალი

1. „(სველე # 154) თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია ***გუდაბერტყა - ციხიაგორაზე*** *(სურ.27), 1956 წელს. ტრანშეა # 4 (მოპოვებულია დასავლეთ კედელთან, ნიშაში) ინახება სერგი მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში (სურ.14).*

საბეჭდავი რუხი ფერის თიხისა, ადგილ - ადგილ ლეგა ფერისაა. თიხა წვრილმარცვლიანია, საკმაოდ კარგად განლექილი და გამომწვარი. საბეჭდავს კონუსის მოყვანილობა აქვს. მომრგვალებული წვერო, მრგვალი და ბრტყელი პირი.

საბეჭდავი თითქოს უწესოდაა ნაკეთები და კონუსი არათანაბარი მოყვანილობისა ჩანს; პირის კიდე ოდნავ უსწორმასწორო აქვს. პირზე გამოხატულია სპირალი. ანაბეჭდზე რვა ხვია გამოდის. ხვიები ხშირია და არცთუ მაინდამაინც დაშორებულია ერთმანეთს. საბეჭდავი საკმაოდ კარგად არის ნაძერწი და შემდეგ გამომწვარია. თიხა კარგად არის განლექილი. გამოძერწილ საბეჭდავის პირზე გამოხატულება ჩხირით თუ სტილით ამოუჭრიათ. მსგავსი მასალის საფუძველზე საბეჭდავს ძვ.წ. XIV ს - ით ვათარიღებთ"[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 68].

დაცულობა : საბეჭდავი კარგადაა შემონახული, მხოლოდ პირზე შეინიშნება მცირედი დაზიანებები.ზომები : სიმაღლე 4,1 სმ, პირის დიამ. 4 სმ.

2. *„**(საველე #16) გუდაბერტყა, ციხიაგორა,** 1956 წლის წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, ტრანშეა #1, მოპოვებულია მე - 2 ფენაში. ინახება გორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.*

საბეჭდავი ყვითლად გამომწვარი თიხისა, უფრო ჩალისფერია თიხა წვრილმარცვლოვანია, ზედმიწევნით კარგად განლექილი; ერთი შეხედვით ქვიშაქვისას ჰგავს (მძიმე არის). საბეჭდავი კონუსისებრი მოყვანილობისაა, ძირისკენ ზედმეტად გამსხვილებული; წვერო წატეხილი აქვს. საერთო იერით - არათანაბარი და უწესო ფორმის ნივთია. პირზე გამოხატულია სპირალი, რომელიც 6 ხვიისგან შედგება, ხვიები ამ საბეჭდავზე ფართოა. საბეჭდავი ხელითაა ნაძერწი; თიხა ზედმიწევნით კარგი განლექილია, წვრილმარცვლიანია და კარგი გამომწვარია; გამოხატულება ჩხირით ან სტილით არის ამოჭრილი. ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავს ძვ.წ. XIV ს - ით ვათარიღებთ.

დაცულობა : საბეჭდავს წვერო მოტეხილი აქვს. ზურგი აქა - იქ ატკეცილია. ზომები : სიმაღლე 4,3 სმ, პირის დიამ : 4,3 მმ."[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 68].

3. *„**(საინვენტარო #1278; საველე #297) - ხოვლე - გორა** (სურ. 28), 1961 წლის არქეოლოგიური კამპანია, მე - 7 ფენა, ნაპოვნია დიდი დამწვარი ოთახის წინ მდებარე შენობაში. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.*

სურ.28

საბეჭდავი ბაცი ლეგა ფერის თიხისა; ორმხრივი, თიხა საკმაოდ წმინდაა, განლექილი, შედარებით კარგი გამომწვარი. გამოხატულებიანი მხარეები, ე.ი. „პირები“, სხვადასხვა მოყვანილობის და სიდიდისაა. კონუსური მოყვანილობის საბეჭდავი ცილინდრული ფორმის სახელურში გადადის, რომლის თავზე - წაკვეთილ მხარეზე გამოხატულებაა ამოჭრილი. ე.ი. საბეჭდავის მეორე პირს წარმოადგენს. საბეჭდავი საკმაოდ ასიმეტრიულია, პირი (კონუსისებრი ნაწილისა) მრგვალია. ასევე ცილინდრული ე.ი. სახელურზე „მოთავსებული“ პირიც მრგვალია. ფუძის ბრტყელ და მრგვალ, უსწორმასწორო კიდეებიან პირზე გამოხატულია სპირალი, საკმაოდ მაღალი რელიეფით. თვით სპირალის სიგანე არათანაბარია. სახელურის პირზე გეომეტრიული მოტივია გამოსახული ე.წ. შევსებული ჯვარი. ურთიერთ გადამკვეთი ორი ხაზი ოთხ სეგმენტად ყოფს საბეჭდავის პირს, სამ სეგმენტში სრული კუთხეა ჩახაზული, წვერით ცენტრისკენ მიმართული; სამკუთხედები სხვადასხვა ზომისაა. მეოთხე სეგმენტში, ქვედა ნაწილში ფართო ხაზია ამოჭრილი, როგორც ჩანს, ოსტატმა თავიდანვე ვერ მოზომა, ვერ გაითვალისწინა სეგმენტის სიდიდე. გამოხატულება საკმაოდ მაღალი რელიეფით არის შესრულებული. იგი მთლიანად ავსებს ინტალიოს პირს. საბეჭდავი ხელით არის ნაძერწი და შემდეგ გამომწვარი. გამოხატულება სტილით ანდა ჩხირით არის ამოჭრილი, საკმაოდ ღრმად. ნახელავი შესრულების პრიმიტიული დონით ხასიათდება, რაც ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ხოვლეში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავებისთვის. საბეჭდავი ძვ.წ. მე - 14 საუკუნით თარიღდება.“[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 67].

დაცულობა: პირის კიდე ადგილ-ადგილ შემომტვრეულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 5,8 სმ, სახელურის პირის დიამეტრი 5,6 სმ, ფუძის დიამეტრი. 3,1 სმ.



სურ.29

ქვემოთ მოყვანილი საბეჭდავები აღმოჩენილია **უდაბნოს (I, II, III)** ნამოსახლარზე. უდაბნოს საბეჭდავების უმეტესობა აღმოჩენილია ნამოსახლარის ციტადელის სიახლოვეს, მის მომიჯნავე სათავსოებში, კერებთან ახლოს. ძეგლები ძვ.წ. I და II ათასწ. მიჯნით თარიღდება (R. Kunze 2012).

4. **(#75)** - **უდაბნო** (სურ.29) - თიხის შტამპისებური საბეჭდავი კონუსური მოყანილობის სხეულით. მას მრგვალგანივკვეთიანი სახელური აქვს. საბეჭდავის წრიულ პირზე მაღალ რელიეფური ჩახვეული სპირალია გამოსახული.



სურ.30

5. **(#723) - უდაბნო** (სურ.30) - თიხის შტამპისებური საბეჭდავი ძალზედ დაზიანებულია. თუმცა, მის პირზე აშკარად შეიმჩნევა ჩახვეული სპირალის გამოსახულების ნაშთი.



სურ.31

6. **(საინვენტარო # შწ. 4992/ა)** – საბეჭდავი აღმოჩენილია ივრის ზეგანზე, **„ცისკარაანთ**

გორის“ (სურ.31) ძვ.წ. I ათასწ. ფენის გათხრების დროს. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.



სურ.32

თიხის საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა, ხაოიანი. კეცი მსხვილ სილის მინარევებს შეიცავს. ის კარგად გამომწვარია. საბეჭდავს წაკვეთილი კონუსისებრი ფორმის სახელური აქვს, რომელიც მკვეთრად დაქანებულ ფერდებიან ფუძეში გადადის. ფუძე წრიულია. საბეჭდავი ორმხრივია. პირზე მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალის ორნამენტია გამოსახული, ხოლო სახელურის თავზე ამოკვეთილია ჯვარი, რომლის მეოთხედებშიც მცირე ფოოსებია დასმული.

დაცულობა: საბეჭდავის ფუძის ნაწილი მოტეხილია, ხოლო პირი სანახევროდ შემომტვრეული აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 8 სმ. პირის დიამეტრი. 8,3 სმ, სახელურის თავის დიამეტრი. 2 სმ.

7. **(საინვენტარო შწ 4987/ა)** - აღმოჩენილია ივრის ზეგანზე, **„ცისკარაანთ გორის“** (სურ.32) ძვ.წ. I ათასწლეულის ფენების შესწავლისას. საბეჭდავი ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო შეფერილობისაა, ზედაპირი ნაპრიალებია. კარგადაა გამომწვარი. კეცი მოშავოა და წვრილ თეთრ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი გრძელი ბოლოსკენ ოდნავ გაფართოებული სახელური აქვს, რომელიც წრიულ ფუძეში გადადის მკვეთრად დაქანებული ფერდებით. საბეჭდავის პირზე გამოსახულია მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალი. კორპუსს შვეულად დაუყვება წნეხით დატანილი ნაპრიალები ხაზები.



სურ.33

დაცულობა: საბეჭდავის სახელური თავისკენ ატკეცილია, ხოლო პირის კიდეები შემომტვრეული. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 8 სმ, პირის ზომის დადგენა შეუძლებელია.

8. **(საინვენტარო # შწ 4993/ა)** - აღმოჩენილია **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ. 33) ძვ.წ. I ათასწლეულის არქეოლოგიური ფენების შესწავლისას. ინახება დედოფლლისწყაროს მხარეთმოცდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოწითალო ფერისაა, გლუვი. კეცი მსხვილ სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავი კარგად არის გამომწვარი. მას გრძელი, ცილინდრული მოყვანილობის სახელური აქვს, რომელიც ბრტყელ წრიული ფორმის ფუძეში გადადის. პირზე მაღალ რელიეფური ჩახვეული სპირალია გამოსახული.

დაცულობა: საბეჭდავს მხოლოდ პირის ერთი ნაწილი აქვს მომტვრეულლი. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 4,2 სმ, პირის დიამეტრი 5,8 სმ.

9. **(საინვენტარო # შწ4985/ა)** – აღმოჩენილია ივრის ზეგანზე **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.34) ძვ.წ. I ათასწლეულის არქეოლოგიური ფენების შესწავლისას. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო - მოშავო შეფერილობისაა, კარგად ნაპრიალები. კეცი შეიცავს სილისა და წვრილ თეთრ მინარევებს. კაგად გამომწვარია. საბეჭდავი მასიურია. ის კარგი ნახელავია. მას გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს. საბეჭდავის სახელური ცილინდრულია და მას წრიული ფუძე აქვს. პირზე კი გამოსახულია მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალი. საბეჭდავის კიდეს შემოუყვება ფოსოები.

დაცულობა: საბეჭდავს პირის კიდის ნახევარი მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 9 სმ, პირის დიამეტრი დაახლოებით 7 სმ.

10. **(საინვენტარო #7536, საველე #254)** თიხის შტამპისებური საბეჭდავი ნაპოვია **ქვემო ქედში** (სურ.35), კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1983 წელს. დაცულია სიღნაღის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოწითალო შეფერილობისაა, გლუვი, კეცი სილის მინარევებს შეიცავს, ის კარგადაა გამომწვარი. საბეჭდავს ცილინდრული სახელური და წრიული ფუძე აქვს. ის ორმხრივია. მისი სახელურის პირზე გამოსახულია ჯვრისებური ღარი, რომლის 4 - ვე კუთხეში ჩასმულია ფოსო.

სურ.34

საბეჭდავის პირზე გამოსახულია მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალური ორნამენტი. საბეჭდავი საკმაოდ მასიურია. ანალოგიური საბეჭდავები აღმოჩენილია ცისკარაანთ გორაზეც, ამიტომ ვთვლი, რომ აღნიშნული საბეჭდავი თავისუფლად შეგვიძლია დავათარიღოთ ძვ.წ. I ათასწლეულით.

სურ.35

დაცულობა: საბეჭდავს პირის კიდეები მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 4 სმ, პირის დიამეტრი 6 სმ.

საბეჭდავის ყურის ზედაპირზე გამოსახულ ორნამენტულ მოტივს, ასევე ვხვდებით ძვ.წ. XI – X სს - ით დათარიღებულ ხეთურ ბიკონუსურ საბეჭდავებს შორის, რომელებიც ადანას კოლექციაშია დაცული (A. Dincol, B. Dincol, E. Jean 1998).



სურ.36

საინტერესო ჯგუფს წარმოადგენს კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ზემოთ დასახელებული საბეჭდავები, რომლებზეც მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალია წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საბეჭდავების პირდაპირი ანალოგები აღმოჩენილია აზერბაიჯანში, განჯა - ყაზახის რაიონში მდებარე 5 ბორცვისგან შემდგარ არქეოლოგიურ ძეგლ ბაბადერვიშზე (სურ.36). იქ შესწავლილია ხოდჟალი - კედაბეკსკის კულტურის ძვ.წ. XII – VII სს - ით დათარიღებული ნამოსახლარი. რამდენიმე სახლში დაფიქსირდა პურის საცხობი ღუმელი, თიხალესილი კერა ცენტრში, საკურთხეველი და სხვ. აღსანიშნავია, რომ ერთ - ერთ სახლში კედელი გაფორმებული იყო მეანდრისა და

სვასტიკის ორნამენტებით. სახლებში იყო საკულტო კუთხე, სადაც წმინდა ფერფლიცაა დაფიქსირებული.

ერთ - ერთ სახლში კერაზე მიდგმული იყო თიხის ოთხკუთხა კონსტრუქცია, რომელზეც დატანილი იყო თარო. ამ თაროზე აღმოჩნდა თიხის საბეჭდავები. ავტორის მიხედვით, ეს საბეჭდავები ოჯახის კულტთან იყო დაკავშირებული. რელიგიური რიტუალის დროს მას უსვამდნენ ზეთს და უკიდებდნენ ცეცხლს. ამას ძეგლის გამთხრელს ის ავარაუდებინებს, რომ საბეჭდავების ზედაპირი მჭვარტლით ყოფილა დაფარული (В. Алиев 1971).

11. **(საინვენტარო # 51)** - აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** (სურ. 37) 2016 წელს, გვიანბრინჯაოს დაცურებულ ფენაში. J6 კვადრატში (77 - ე ნაკვეთი, IV ტერასა). ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა, ხაოიანი; კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავი კონუსური ფორმის უნდა ყოფიყო. მას სავარაუდოდ, უნდა ჰქონოდა ოვალურგანივკვეთიანი სახელური. კორპუსი წრიული ფუძისკენ ფართოვდება. პირზე მაღალრელიეფური ჩახვეული სპირალის ორნამენტია გამოსახული.

დაცულობა: საბეჭდავის კორპუსი თითქმის შუაზეა გადატეხილი; სახელური მომტვრეული აქვს, ხოლო პირის კიდეები ჩამოტეხილი. ზომები: საბეჭდავის

სურ.37

შემორჩენილი სიმაღლე 3,9 სმ, სხვა ზომების დადგენა შეუძლებელია.

სურ.38

12. **(საინვენტარო # 569/28; A-278/8)** - აღმოჩენილია **ძევრში, ადგილ „ნასაჯვარევში“** (სურ.38), 1928 წლის შემთხვევითი აღმოჩენა. ინახება ქუთაისის ისტორიული მუზეუმი.

„ტვიფარი საბეჭდავი. გამომწვარი თიხისა, ლეგა ფერის. უწესო კონუსის ფორმის საბეჭდავი სახელურიანია; გრძელ სახელურს ცილინდრული ფორმა აქვს. საბეჭდავს იმდენად აქვს ფორმა დარღვეული, რომ იგი სხვადასხვა მხრიდან სხვადასხვა მოყვანილობისაა (კონუსისებრი და „ოროსებრი“), სახელურის თავი „წაკვეთილია“ - ბრტყელი; ეს წაკვეთილი მხარეც გამოსახულებისთვისაა გამოყენებული. ორმხრივია. საბეჭდავის პირი უწესო ფორმის თვალს წარმოადგენს. პირზე გამოხატულია სხივებიანი სპირალი. სხივები ერთმანეთისგან თანაბარი მანძილითაა დაშორებული, მზის სიმბოლო უნდა იყოს. სახელურის პირი მრგვალია და ბრტყელი. ამ პირზე გამოხატულია სვასტიკა - მოხრილმკლავებიანი ჯვარი. გამოხატულებები ანაბეჭდზე მკვეთრ რელიეფს იძლევა. საბეჭდავი გამომწვარია. თიხა მსხვილმარცვლიანია. ტვიფარით არის გამოხატულებები გაკეთებული თუ თუ ხელით არის ამოჭრილი ამჟამად ძნელი დასადგენია. გამოხატულებებიც, ისევე როგორც თვით საბეჭდავი, ტლანქია. სტილისტურად ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავი ძვ.წ. IX – VIII საუკუნეებით თარიღდება.

დაცულობა : საბეჭდავს სახელური დაზიანებული აქვს - ჩამოტეხილია ერთგან ისე, რომ გამოხატულებას ეხება. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 5,8 სმ; პირის დიამ. 4,8 სმ; სახელურის პირის დიამ. 2 სმ" [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 74].

13. **(საინვენტარო # უ.შ.ქ. 1175)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **ყათლანიხევში** (სურ.39) ინახება უფლისციხის ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალის არქეოლოგიურ ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოწითალო - მოყავისფრო შეფერილობისაა, ზედაპირი გლუვია, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. ის გამომწვარია. საბეჭდავის კორპუსი გადაჭრილი კონუსის ფორმისაა. მისი სახელური ცილინდრულია, ხოლო ფუძე წრიული და პირი ბრტყელი. სახელურის თავი მომრგვალებულია. საბეჭდავის პირზე გამოსახულია ღრმა კვეთით შესრულებული ჩახვეული სპირალი.

მარგო ლორთქიფანიძის მიხედვით, ანალოგიური ტიპის გამოსახულებით საბეჭდავებს ვხვდებით მცირეაზიულ - ხეთურსა და კრეტულ მასალებს შორის. ასეთი გამოსახულებაა თესალიაში აღმოჩენილ საბეჭდავებზე. საინტერესოა, კნოსში აღმოჩენილი ე.წ. ადრეკრეტული საბეჭდავიც.

სურ. 39

ერთდადერთი განსხვავება ამ საბეჭდავებს შორის არის ის, რომ უცხოურ მასალებზე სპირალი უფრო მეტადაა ჩახვეული. C - სებრი ჩახვეული სპირალი ერთ-ერთი გაბატონებული მოტივთაგანია ადრეკრეტას გლიპტიკაში. სპირალს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და იგი ასევე გავრცელებულია ეგეოსურ სამყაროში, ხოლო სირო - ხეთურ გლიპტიკაში სპირალი ორნამენტად იქცევა და ჩნდება მისი მრავალი სახესხვაობა (მ. ლორთქიფანიძე 1969). ასევე ცნობილია ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევრით დათარიღებული ანალოგიური ხეთური საბეჭდავები. ამ პერიოდის მსგავსი ტიპის ტერაკოტას საბეჭდავები საკმაო რაოდენობითაა აღმოჩენილი თრაკიასა და თესალიაში. მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, ასეთ მოტივები აღსანიშნავია ბუტმირის (ბოსნია) ნეოლითურ სადგომში აღმოჩენილ თიხის ჭურჭელსა და კნოსოსის ფრესკებზე (მ. ლორთქიფანიძე 1969). შტამპისებური საბეჭდავი ამ ორნამენტით აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ადრეული საფეხურის ფენაში კორუჩუთეფეზეც (აღმ. ანატოლია) (V. Loon 1980). საინტერესოა, რომ მსგავსი ტიპის ორნამნტით გაფორმებული საბეჭდავები გვხვდება, სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპის ძეგლებზე ენეოლითიდან - ბრინჯაოს ხანამდე. განსაკუთრებით, კი ასეთი ორნამენტით გაფორმებული საბეჭდავები, საწონი ქვები, თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს საკინძები გავრცელებულია გუმელნითას კულტურაში. შტამპისებური საბეჭდავი ჩახვეული სპირალით აღმოჩენილია აზერბაიჯანში, სარითეფესა და სხვ. არქეოლოგიურ ძეგლბზე, რომლებიც გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანით თარიღდება. ასევე, ეს ორნამენტი ცნობილია ჩრდ. კავკასიის ამავე პერიოდის არქეოლოგიური ძეგლებიდან (Z. Hasanov, 2018).

სპირალური ორნამენტი საქართველოს არქეოლოგიურ მასალებს შორის თიხის შავპრიალა ადრე - ბრინჯაოს ხანის ჭურჭლებზე გვხდება, მაგალითად, კიკეთსა და თრიალეთში, ნაოხვამუზე და ა.შ (მ. ლორთქიფანიძე 1969).

5. **S - ებრი სპირალი**

1. (საინვენტარო # რმმ ძ.ფ 3993/2924; საველე # 59-790) - საბეჭდავი აღმოჩენილია **რუსთავის ციხეზე** (სურ.40) (ნახაზი შესრულებულია მ. ახალაიას მიერ), საკონტროლო თხრილ N 1, ქვეთხრილი N 2. ზუსტი გარემოება უცნობია, სავარაუდოდ ამავე თხრილში გამოვლენილი გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ფენაში. ინახება რუსთავის ისტორიულ მუზეუმში.

„ტვიფარი - საბეჭდავი, ლეგა ფერის თიხისა, გამომწვარი. მსხვილსახელურიანი საბეჭდავი, ძირისკენ მკვეთრად ფართოვდება და ოვალური მოყვანილობის პირში გადადის. სახელური მრგვალია, ზევითკენ გაფართოებული და ბრტყლად წაკვეთილი. საბეჭდავს გვერდები არათანაბარი აქვს. პირზე გამოხატული აქვს ძალიან მაღალ რელიეფში „S“ - სებრი სპირალი. საბეჭდავი ჭურჭლის სატვიფრავს წარმოადგენს. ტვიფარი მქისე თიხისგან არის გაკეთებული; ხელით ნაძერწია, საკმაოდ ტლანქად, არცთუ მაინდამაინც კარგი გამომწვარია.

დაცულობა : პირის კიდეები ჩამოტეხილია. ზომები: სიმაღლე 7,6 სმ, პირის განი 5,8x5,6 სმ“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 76].

სურ. 40

ქვემოთ მოყვანილი საბეჭდავები აღმოჩენილია **უდაბნოს (I, II, III)** ნამოსახლარზე. უდაბნოს საბეჭდავების უმეტესობა აღმოჩენილია ნამოსახლარის ციტადელის სიახლოვეს, მის მომიჯნავე სათავსოებში, კერებთან ახლოს. ძეგლები ძვ.წ. I და II ათასწ. მიჯნით თარიღდება (R. Kunze 2012).



სურ.41

სურ.42

სურ.43

2. (#68) - **უდაბნო** (სურ.41). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს კონუსისებრი ფორმის სხეული აქვს, რომელიც პირისკენ მკვეთრად ფართოვდება. სახელურის თავი მომრგვალებულია. ფუძე წრიულია. ბრტყელ პირზე მაღალრელიეფური ტიხრებით S - ებრი გამოსახულებაა მიღებული, რომელსაც საბეჭდავის პირის კიდეზე დატანილი ჩარჩო ერტყმის. კვეთა საკმაოდ ღრმაა.

3. (#71_1) - **უდაბნო** (სურ.42). თიხის შტამპისებური საბეჭდავის კონუსისებრი მოყვანილობის კორპუსი სახელურის ბოლოსკენ მკვეთრად განზიდულია და ამის გამო წელშია გამოყვანილი. ფუძე წრიულია. ბრტყელ პირს ჩარჩო აქვს შემოვლებული, რომლიდანაც ორი ერთმანეთის საპირისპიროდ მიმართული მაღალრელიეფური ტიხარია გამოყვანილი. შედეგად, გამოსახულების სიღრმეში S - ებრი გამოსახულებაა მიღებული. ტიხრებზე ჩარჩოდან გადასვლის ადგილას ფოსოები აქვთ დასმული. სულ 2 ასეთი ფოსო აღინიშნება საბეჭდავის პირზე.



სურ.44

4. (#71_2) - **უდაბნო** (სურ.43). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს ტრაპეციისებური მოყვანილობის კორპუსი აქვს, პირს კუთხეები აქვს მომრგვალებული. მასზე ღრმა კვეთითაა შესრულებული S - ებრი გამოსახულება.

5. (#146) - **უდაბნო** (სურ.44). კონუსისებრი მოყვანილობის თიხის შტამპისებური საბეჭდავი პირისკენ ოდნავ ფართოვდება. მას სახელურის თავი დაბრტყელებული აქვს. ბრტყელ და წრიულ პირს ვიწრო ჩარჩო შემოუყვება, რომლისგანაც ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული 2 თხელი და მაღალრელიეფური ტიხარია გამოტანილი. გამოსახულების სიღრმეში, კი S - ებრი ორნამენტი წარმოიქმნება. კვეთა ღრმაა.



სურ.45

6. (#367) - **უდაბნო** (სურ.45). თიხის შტამპისებური საბეჭდავის კორპუსი კონუსისებრი მოყვანილობისაა. მისი ფუძე მკვეთრადაა განზიდული. საბეჭდავის სახელური მრგვალგანივკვეთიანია და თავი მომრგვალებული აქვს. ფუძე წრიულია. მის ბრტყელი პირის კიდეს ჩარჩო შემოუყვება რომლისგანაც ერთმანეთის საწინააღმდეგოდ მიმართული მაღალრელიეფური ტიხარია გამოტანილი. გამოსახულების სიღრმეში, კი S - ებრი ორნამენტი წარმოიქმნება. გამოსახულება გაფორმებულია ფოსოებით, სულ 6 ცალია დატანილი. კვეთა ღრმაა.



სურ.46

7. (#439) - **უდაბნო** (სურ.46). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს, სავარაუდოდ კონუსისებრი მოყვანილობის კორპუსი უნდა ჰქონოდა, თუმცა მისი ფუძე და შესაბამისად გამოსახულება დაზიანებულია. სახელური მრგვალგანიკვეთიანია.

საბეჭდავის პირზე სავარაუდოდ, S - ებრი გამოსახულება უნდა ყოფილიყო. შემორჩენლია ორი ერთმანეთის საწინაღმდეგოდ მიმართული



სურ.47



სურ. 48

რელიეფური ტიხარი. ფოსოები დატანილია, როგორც ტიხრებზე, ისე გამოსახულების შიდა სივრცეშიც, სულ 8 ცალია შემორჩენილი.

8. (#891) - **უდაბნო** (სურ.47). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი სახელური და წრიული ფუძე აქვს. ბრტყელ პირზე ღრმა კვეთითაა შესრულებული S - ებრი ორნამენტი. (აღნიშნულ საბეჭდავებზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი გახდა ამ ეტაპზე).

9. (საინვენტარო #54) - აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** (სურ.48) 2008 წლის საველე კამპანიის დროს, გვიან ბრინჯაოს ხანის დაცურებულ ფენაში. ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, ხაოიანი. გამომწვარია, კეცი ცუდად განლექილი მსხვილი მინარევებით. საბეჭდავს სავარაუდოდ, ოვალურგანივკვეთიანი სახელური ჰქონდა. ფუძე წრიული ფორმისაა ბრტყელი ზედაპირით. ზედაპირზე გამოსახულია მაღალრელიეფური “S” - ებრი

ორნამენტი, რომელიც საბეჭდავის პირზე გამოსახულ წრიულ ჩარჩოშია ჩასმული.

სურ.49

დაცულობა : საბეჭდავს სახელური მოტეხილი აქვს. ზომები: შემორჩ. სიმაღლე 2,6 სმ, პირის დიამ. 4,2 სმ.

10. (საველე : 11 – 3 : 12 – 40) საბეჭდავი აღმოჩენილია 2012 წელს **თრელი გორების** (სურ.49) ნასახლარის I ბორცვზე, I ტერასის რკინის ფართო ათვისების ხანის #1 შენობაში. შენობის ინტერიერში დასავლეთ კედელთან ღუმელია განთავსებული, ხოლო თავად საბეჭდავი ნაპოვნია აღნიშნული ნაგებობის ბაქანზე დასავლეთ კედელთან (ინფორმაცია მომაწოდა ექსპედიციის ხელმძღვანელმა მ. აბრამიშვილმა).

თიხის საბეჭდავი მოჩალისფრო - მოწითალო შეფერილობისაა, ხაოიანია, კარგად გამომწვარი. კეცი ცუდადაა განლექილი. საბეჭდავს ოვალურგანივკვეთიანი ბოლოსკენ გაფართოებული სახელური აქვს, რომელიც სწორკუთხა ფუძეში გადადის. საბეჭდავის პირი ბრტყელი და ოთკუთხაა. მასზე ღრმა კვეთითაა შესრულებული ჩარჩოში ჩასმული ე.წ. „S“- ებრი ორნამენტი. საბეჭდავის პირზე 8 ფოსოა დატანილი, აქედან ოთხი თითოეულ კუთხეში, ხოლო დანარჩენი ოთხი ორნამენტის ტიხრის კიდეებზეა მოცემული. საბეჭდავის სახელურზე დატანილია საკმაოდ ღრმად ამოკვეთილი X - ისებრი ნიშანი.

დაცულობა: საბეჭდავი კარგადაა შენახული. ზომები: სიმაღლე 6 სმ.

11. (საინვენტარო #1. – 83) - თიხის საბეჭდავი **თრელი გორების** (სურ.50) ნამოსახლარიდან, აღმოჩენილია 1983 წელს. საბეჭდავი ინახება ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის თრელი გორების ფონდში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, გლუვი. კარგად გამომწვარი. კეცი სილის მინარევებით. საბეჭდავის სახელური ცილინდრული მოყვანილობისაა. ის ბოლოსკენ ფართოვდება და 2 შვერილით სრულდება, შესაძლოა ზოომორფულ გამოხატულებადაც მივიჩნიოთ ეს შვერილები. საბეჭდავის პირი წრიულია, მასზე ღრმა კვეთით „S“ არის ამოკვეთილი.

დაცულობა: საბეჭდავი კარგადაა შენახული. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 4 სმ; პირის დიამ. 3,4 სმ.

სურ. 50

სურ. 51

12. თიხის ტრაპეციის მოყვანილობის საბეჭდავი **თრელი გორებიდან** (სურ.51) ამოღარული “S” – ებრი ორნამენტით პირზე. ინახება ს. ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაში. (ამ ეტაპზე დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია).

13. **(საინვენტარო # 8122/20)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **გუდაბერტყა - ციხიაგორაზე** (სურ.52) (მოედანი #4/1) 1961 წელს. ინახება ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ - ეთნოგრაფიული მუზეუმის ექსპოზიციაში.



სურ.52

თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო მოშავო შეფერილობისაა, სუსტად ნაპრიალები. კარგად გამომწვარი. კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს სახელური ოვალური მოყვანილობის უნდა ჰქონოდა. ის მკვეთრად დაქანებული ფერდებით გადადის სწორკუთხა ფუძეში. საბეჭდავის ოთხკუთხა პირზე ღრმა კვეთით შესრულებულია „S“ - ებრი ორნამენტი. ტიხრები იმდაგვარად ჰყოფს საბეჭდის სივრცეს, რომ სწორედ ეს გამოსახულება მიიღება.

დაცულობა: საბეჭდავს სახელური აქვს მოტეხილი. ზომები: შემორჩენილი სიმაღლე 2,9 სმ. საბეჭდის პირი: 4,40 X 3,9 სმ.

14. იხ. 1;8

15. იხ. 1;9



სურ.53

სურ. 54

16. **(საინვენტარო # 1164)** (სურ.53) - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **ნარეკვავის** ნამოსახლარის მე - 3 ჰორიზონტში. თიხის შტამპისებურ საბეჭდავს გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს. საბეჭდავის ფუძე წრიულია და მასზე ღრმა კვეთითაა დატანილი ე.წ. S” – ებრი ორნამენტი.

სურ.56

17. **(საინვენტარო # 1278)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **ნარეკვავის** (სურ.54) ნამოსახლარზე მე - 3 ჰორიზონტში. საბეჭდავს ოვალურ განივკვეთიანი თავმომრგვალებული სახელური და ოთხკუთხა ფუძე აქვს. პირზე დატანილია S” – ებრი ორნამენტი და ფოსოები.

18. **(საინვენტარო # 1065)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **ნარეკვავის** (სურ.55) ნამოსახლარის მე - 3 ჰორიზონტში. თიხის შტამპისებური საბეჭდავი წელშია გამოყვანილი. მას ოთხკუთხა ფუძე აქვს. პირზე გამოსახულია S” – ებრი ორნამენტი, ორი ფოსოთი, რომლებიც დატანილია „S” - ის ორივე გახსნილ მხარეს.

19. **(საინვენტარო # 1252)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა **ნარეკვავის** (სურ..56) ნამოსახლარის მე - 2 ჰორიზოონტის მე - 8 სახლში. სახლის მარცხენა კუთხეში ხოვლური ღუმელია განთავსებული, ღუმელის ჩრდილო - დასავლეთით აღმოჩნდა ნახევარწრიული ზურგიანი საკურთხეველი, მის კიდეებზე ორი შვერილია დაძეწილი, რომელიც ხარის რქებს მოგვაგონებს. თიხის საბეჭდავი ტრაპეციის ფორმისაა, ფუძე ოთხკუთხაა. მის პირზე გამოსახულია ღრმა კვეთით შესრულებული S” – ებრი ორნამენტი.

სურ.55

ნარეკვავის ზემოთ დასახელებული საბეჭდავები თარიღდება დაახ. ძვ.წ. VIII – VI სს - ით (ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე 1993).

20. (საინვენტარო # 01/1 – 484) - საბეჭდავი აღმოჩნდა **სამთავრო I** (სურ.57) ის გორის სამხრეთ - აღმოსავლეთ ნაწილში, ადრეფეოდალური ხანის სამარხების ქვეშ არსებულ გვიან ბრინჯაო - ადრე რკინის ხანის ფენაში შესწავილ #1 სახლში 1976 წელს (ა. აფაქიძე, ალ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი... და სხვანი 1978).

საბეჭდავი თიხისა, ლეგა ფერის. დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან. ხელითაა ნაძერწი საკმაოდ ტლანქად. სახელურიანი საბეჭდავი ძირისკენ ფართოვდება და წრიული მოყვანილობის ოდნავ ასიმეტრიულ პირში გადადის. სახელური ოთხკუთხაა, წახნაგებმომრგვალებული, ზევით ოდნავ შევიწროებული და თავებაწეული, არათანაბრად მოლესილი გვერდებით. ერთ-ერთ გვერდზე ადამიანის სახის სქემატური გამოსახულებაა დატანილი. პირზე გამოსახულია სპირალი, ძალიან



სურ.57

მაღალ რელიეფში (ა. აფაქიძე, ალ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი... და სხვანი 1978).

ზომები: სიმაღლე 4,7 სმ, დმ - 2,7 სმ. ყურის სიგრძე 3,2 სმ სიგანე - 1,5 სმ.

საბეჭდავი აღმოჩნდა ზღვეს დასავლეთ ნაწილში, ფილებს შორის. სახლის მარცხენა, სამხრეთ - დასავლეთ კუთხეში აღმოჩნდა კედელზე მიშენებული თიხით ნაგები პურის საცხობი ღუმელი, რომელსაც თაღოვანი გადახურვა ჰქონია. სახლის მარჯვენა, ჩრდილო - დასავლეთ კუთხეში იდგა „ზურგიანი“ საკურთხეველი, რომელზეც დაძერწილი ყოფილა ოთხი თიხის კერპი, თითქოს ანთროპოფორფული ფიგურა, ასეთივე ფიგურა აღმოჩნდა საკურთხევლი ზურგსა და სახლის უკანა კედელს შორისაც. უკანა კედელზე პატარა ნიში ყოფილა ამოკვეთილი და სავარაუდოდ, ეს ფიგურა იქ იდო.

საკურთხევლის წინ მიწაში ჩაფლული იყო თიხის ქოთანი, რომელიც სავსე იყო ცხოველის დამწვარი ძვლებით.



სურ.58

სახლში გარდა საბეჭდავისა, ასევე აღმოჩნდა თიხის ბორბლები, თიხის დისკო, რკინის ცალპირლესული დანა და ა.შ. (ა. აფაქიძე, ალ. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი... და სხვანი 1978).

ჯერჯერობით ამ გამოსახულების ანალოგების მოძიება ვერ მოხერხდა, მაგრამ არაა გამორიცხული მათი კვლევის შემდეგ ეტაპზე აღმოჩენა.

6. კავისებური სპირალი

*1.„(#4221) **წინამინდორი (ქიზიყი)** (სურ.58), მოპოვებულია შემთხვევით. შემოსულია ხელოვნების მუზეუმში 1926 წელს.*

ტვიფარი - საბეჭდავი ლეგა ფერის თიხისა; თიხა საკმაოდ მსხვილმარცვლიანია. საბეჭდავი დიდი ზომისაა. ოვალური მოყვანილობის საბეჭდავი სახელურიანია. - საბეჭდავიანი ნაწილი ე.ი. ფუძე საბეჭდავისა, ოვალური ფორმისაა, საკმაოდ მაღალი; იგი სახელურის, უფრო სწორად ზურგის მიმართულებით შეუმჩნევლად ვიწროვდება. უშუალოდ ზურგი, ე.ი. თვით სახელურიც, გვერდებისგან მომრგვალებული წახნაგით არის გამოყოფილი, სახელური გრძელია. იგი ერთი შეხედვით თითქოს ცილინდრული მოყვანილობისაა, საერთოდ კი მას საკმაოდ უწესო ფორმა აქვს. - ძირისკენ მსხვილია, ხოლო „თავი“ უწესო ფორმის ოვალს ქმნის, რომელიც მომრგვალებულ კუთხეებიან სამკუთხედს გვაგონებს. საბეჭდავის პირზე ძალიან მაღალი რელიეფით გამოსახულია ორი C - სებრი სპირალი; ვინაიდან იგი ძალიან ღრმაა, ანაბეჭდის აღება ჭირს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს აღნიშნული სპირალები ცალკეა მიძერწილი პირზე. გამოხატულება იმდენად მაღალია, რომ ტიხრების შთაბეჭდილებას ახდენს. პირის კიდეებიც ასევე მაღალია. ყოველი სპირალი ერთი ბოლოთი პირის კიდეზეა

მიმაგრებული - უშუალოდ პირის კიდეში გადადის, მოთავსებულია დიამეტრულად საწინააღმდეგო მიმართულებით და ყოველი მათგანი კავს მოგვაგონებს. აღწერილი საბეჭდავი თიხის ჭურჭლის სატვიფრავს წარმოადგენდა. საბეჭდავი ხელით არის ნაძერწი და გამომწვარი. თიხა შედარებით სხვა ამ ტიპის საბეჭდავთაგან კარგად არის განლექილი; ქვიშა უნდა ჰქონდეს შერეული - მსხვილმარცვლიანია. გარედან გაპრიალებულია. ტლანქი ნაძერწია, განსაკუთრებით სახელური. ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავს ძვ.წ. IX – VIII სს - ით ვათარიღებთ.

დაცულობა : საბეჭდავის პირი დაზიანებულია, სახელდობრ, პირის კიდეები შემომტვრეული აქვს. აქა - იქ ზედაპირი კირის ნალექითაა დაფარული. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 7,6 სმ, პირის ზომები 6,7 X 5,9 სმ.“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 75]

2. **(საინვენტარო დმ - 76409)** – აღმოჩენილია **სოფ. განთიადში ან სოფ. დალარში** (სურ.59). ზუსტი ადგილი ამ ეტაპზე ჩვენთვის უცნობია. თუმცა, ვიცით თარიღი და ის ძვ.წ. მე - 8 - მე - 7 სს - ს განეკუთვნება. საბეჭდავი ინახება კულტურისა და ხელოვნების ცენტრის სამუზეუმო ექსპოზიციაში (დმანისი).

თიხის შტამპისებური საბეჭდავი ლეგა ფერის, კეცი ცუდად განლექილია სილის მინარევებით. ზედაპირი ხაოიანია. საბჭდავი გამომწვარია. საბეჭდავის კონუსისებრი სახელური თავისკენ მომრგვალებულია. ის მკვეთრად გადადის ფუძეში.

სურ.59

საბეჭდავის პირი წრიულია. მასზე გამოსახულია მაღალ რელიეფური ორი C - ს მოყვანილობის სპირალური ორნამენტი, რომლებიც ერთმანეთშია ჩასმული და პირით ერთმანეთის საპირისპიროდ არიან განლაგებულნი. სავარაუდოდ თითოეული სპირალი ცალ - ცალკეა დაძერწილი. ისინი ბოლოთი პირის კიდეს უერთდებიან.



სურ.61

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ერთი ნაწილი აქვს მომტვრეული, ასევე შეიმჩნევა ხმარებისგან მიღებული ცვეთა. ზედაპირზე კი მოთეთრო ნადები აღენიშნება. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე: 4,5 სმ; პირის ზომები 4,5 X 3,8 სმ

3. **(საინვენტარო # 1063)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **ნარეკვავის** (სურ.60) ნამოსახლარის მე - 3 ჰორიზონტში. საბეჭდავი გადაჭრილი კონუსის ფორმისაა, წრიული ფუძით. ზედაპირზე გამოსახულია ორი ოვალური, რელიეფური ტიხარი რომელიც ერთმანეთშია ჩასმული. (სხვა ინფორმაციაა არაა ცნობილი ამ ეტაპზე). საბეჭდავი ძვ.წ. VIII – VI სს - ით თარიღდება (А. М. Апакидзе, В.В. Николайшвили, К.Н. Мелитаури... 1986).

4.**(საინვენტარო 19-980:124)** თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **არადეთის ორგორის** (სურ.61)

სურ.60

ჩრდილოეთ გორაზე, საცხოვრებელი სათავსოს (#1) იატაკის დონეზე 1979 წელს. ინახება ს. ჯანაშიას სახ. ეროვნული მუზეუმის დედოფლის მინდვრის ფონდში.

საბეჭდავი მონაცრისფრო შეფერილობისაა, პირისკენ მოჩალისფრო, ზედაპირი გლუვია. თიხა ცუდად განლექილია, შეიცავს მსხვილ მინარევებს. გამომწვარია. საბეჭდავს ოვალურგანივკვეთიანი სახელური აქვს, რომლის ბოლოზეც ორი რქისებრი შვერილია დატანილი. შესაძლოა, ეს ზოომორფული გამოსახულება იყოს. საბეჭდავის ფუძის და პირის შემორჩენილი ნაწილით შესაძლოა ვივარაუდოთ რომ მაღალ რელიეფური კავისებური სპირალი იყო გამოსახული.

დაცულობა: საბეჭდავის ფუძისა და პირის ნაწილი ძალზედ დაზიანებულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 7, პირის ზომების დადგენა შეუძლებელია.

მ. ლორთქიფანიძის მიხედვით, მსგავსი ტიპის ორნამენტული მოტივია გამოსახული მესარასა და კალათიანაში მოპოვებულ მასალებზე (მ. ლორთქიფანიძე 1969). ასეთსავე ორნამენტს ვხვდებით გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანით დათარიღებულ კომპლექსებში აღმოჩენილ თიხის საბეჭდავებზე აზერბაიჯანის ტერიტორიიდან. ესენია: სარითეფე, ბაბადერვიშში და სხვ (Z. Hasanov 2018).

სურ.62

7. სვასტიკა

1. თიხის საბეჭდავი წრიული პირით, მასზე გამოსახულია მაღალრელიეფური 4 ფრთიანი სვასტიკა. სვასტიკის ოთხივე მკლავთან დასმულია ფოსო. საბეჭდავი აღმოჩნდა გურჯაანის რაიონში **„მელი-ღელელეს“ #1 სამლოცველოში,** სხვადასხვა ტიპის სარიტუალო ნივთებთან ერთად (სურ. 62).

სურ.63

სალოცავის მთავარი ღვთაება ნაყოფიერების ღვთაება იყო, რომელიც ამასთანავე ატარებდა ნადირობის ღვთაების სახესაც. გარდა ამისა ეს ღვთაება დაკავშირებული იყო მიწათმოქმედებასთან და უფრო მეტად კი მესაქონლეობასთან. ამ ფაქტს, სამლოცველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი სარიტუალო ნივთები ადასტურებს. აქ დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი მცირე ზომის თიხის სასმისები, შიშველი ქალის ფიგურები, ცხვრისა და ირმების გამოსახულებები, კაჟისაგან და ობსიდიანისგან დამზადებული ისრისპირების იმიტაციები და სხვ. განსაკუთრებით საინტერესოა ამ სამლოცველოში დაფიქსირებული მიწაზე ამოკვეთილი სხვადასხვა სიგანის და ფორმის ღარები ე.წ. „მიწაზე ინკუსტრირებული გამოსახულებები“, რომლებიც წმინდა ნაცრით იყო ამოვსებული. ამ ნაცარში კი შერეული იყო ცხვრის დამწვარი ძვლები. ეს სამლოცველო ძვ.წ. მე - 2 ათასლეულის მე - 2 ნახევრით თარიღდება. თუმცა, სავარაუდოდ ფუნქციონირებდა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, ამიტომ იქ სხვადასხვა პერიოდის მასალას ვხვდებით. (კ. ფიცხელაური 1973).

2. თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა **დიდნაურის** (სურ.63) ნაქალაქარზე 2015 წელს. სავარაუდოდ, გამოვლინდა გალავნის გათხრების დროს და როგორც ჩანს მისი

სურ.64

მშენებლოის პერიოდს ეკუთვნოდა. ნაქალაქარი თარიღდება ძვ.წ. XII – XI საუკუნეებით (ონლაინ არქეოლოგია #8 2015).

საბეჭდავი ოთხკუთხაა. პირზე ღრმა კვეთითაა შესრულებული სქელი მკლავების მქონე სვასტიკის გამოსახულება. საბეჭდავს მოკლე სახელური აქვს.

3. სვასტიკის გამოსახულებით თიხის საბეჭდავი, ასევე აღმოჩენილია **მჭადიჯვრის** გვიან ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარის ფენაში (ლ. წითლანაძე, გ. მირცხულლავა, მ. გოჩაშვილი 1975).

4. (საინვენტარო #152) - თიხის საბეჭდავი, სავარაუდოდ შტამპისებური, აღმოჩენილია **უფლისციხეში, ყათლანიხევის** სამოსახლო ბორცვ I - ზე (სურ.64), სალოცავის გათხრებისას (დ. ხახუტაიშვილი 1964) ინახება შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო - მოშავო შეფერილობისაა, ხაოიანი. კეცი სილისა და წვრილი თეთრი მინარევებით. გამომწვარია. საბეჭდავს სავარაუდოდ წრიული ფუძე ჰქონდა. ზედაპირზე შემორჩენილია სვასტიკის მკლავების მცირე ნაწლი. ორნამენტი ღრმა კვეთითაა შესრულებული. საბეჭდავი ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება.

სურ.65

დაცულობა: საბეჭდავი ძალიან დაზიანებულია მხოლოდ ფუძის ფრაგმენტია შემორჩენილი.ზომები: სიმაღლე 2,2 სმ, დიამ. 4,5 სმ.

5. (საველე # 63) - უფლისციხე (სურ.65) - თიხის საბეჭდავი ყათლანიხევის I სამოსახლო ბორცვის I თხრილის ზედა ფენაშია აღმოჩენილი (ბორცვის თხემიდან დარეცხილ ფენაში). ინახება უფლისციხის ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმ - ნაკრძალის საგამოფენო სივრცეში.

„საბეჭდავი გამომწვარი თიხისა, მოვარდისფრო. კუბური ფორმის საკმაოდ მაღალი საბეჭდავი სახელურიანია. სახელურს ცილინდრული მოყვანილობა აქვს, თავგაბრტყელებულია, იგი ყუნწს უფრო ჰგავს. თვით საბეჭდავი უწესო კუბს წარმოადგენს - არათანაბარი სიმაღლისა და სიგანის, ბრტყელი, კვადრატული პირით. პირზე გამოხატულია გეომეტრიული სახე - სვასტიკებისგან შედგენილი მეანდრი, რომელიც ხეთურ მენადრს წარმოადგენს. ცენტრში მოთავსებულია დიდი ზომის სვასტიკა, რომლის ყოველი მკლავი ორ - ორი მოხრილი მკლავით ბოლოვდება. მეანდრი მთლიანად ფართო რელიეფური ხაზით არის შემოფარგლული. სქემატურად შესრულებული გამოხატულება მთლიანად ავსებს საბეჭდავის პირს; ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. გამოხატულება ძალიან ღრმად არის ამოჭრილი ამიტომაა, რომ მაღალ რელიეფს იძლევა ანაბეჭდზე. მთლიანად საბეჭდავი პრიმიტიულად და დაუდევრად არის ნაძერწი. ანალოგიური მასალების საფუძველზე საბეჭდავი ძვ.წ. XIV საუკ. თარიღდება“. [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 69 - 70]

ჩემი აზრით, საბეჭდავი ძვ.წ. II და I ათასწლეულების მიჯნით თარიღდება. რადგან სწორედ ის ფენა, სადაც საბეჭდავი აღმოჩნდა ამ პერიოდს განეკუთვნება (დ. ხახუტაიშვილი 1964). ქ-ნ მ. ლორთქიფანიძის ასევე ვერ დავეთანხმები, რომ ეს მოტივი მეანდრს წარმოადგენს. აზერბაიჯანში ამავე პერიოდის ნამოსახლარ სარი თეფეზე აღმოჩენილ პინტადერებზე ზუსტად მსგავსი გამოსახულება სვასტიკადაა მოხსენიებული, მეც ვფიქრობ რომ ეს გამოსახულება სვასტიკაა და არა მეანდრი.

ზემოთ აღნიშნულ თხრილში გამოვლენილი ფენები, შესაძლოა მხოლოდ ბორცვის I სათავსოს ეკუთვნოდეს. სათავსო საკულტო ხასიათისაა, მზის კულტის საწესო სარიტუალო ნაგებობას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს აქ აღმოჩენილი არტეფაქტები,

მათ შორის თიხის კერპიც, რომელსაც ობსიდიანით ინკუსტრირებული თვალები ჰქონა, მეცნიერები მას მზის ქალღმერთ ბაბალეს უკავშირებენ. გარდა ამისა, აქ დაფიქსირდა ცხვრის, მოზვერის ქანდაკებების ნაშთები, ასევე თიხის ჭურჭლის ნატეხებისგან დამზადებული ფირფიტები, ურმის თვლის თიხის მოდელი, რიყის გახვრეტილი ქვები და სხვ. სათავსო თიხით შელესილ ძელურ ნაგებობას წარმოადგენდა. აქ შესასვლელთან ერთ - ერთ ბოძზე ცხოველის სილუეტური გამოსახულებაა აღმოჩენილი, რაც შესაძლოა უკავშირებოდეს შემსვლელის „განწმენდის“ რიტუალს. სათავსოში ასევე დაფიქსირდა ორი საკმაოდ ღრმა ორმო, რომელიც ნაცრითა და ცხოველის დამწვარი ძვლებით იყო ამოვსებული. თავად საბეჭდავზე არსებული სვასტიკის გამოსახულება თავისი სიმბოლურობით მზის კულტს უკავშირდება (დ. ხახუტაიშვილი 1964).



სურ.66

„უფლისციხეში (ყათლანიხევში) აღმოჩენილი წარმართული სალოცავი, როგოც ავღნიშნეთ, მზის კულტს უკავშირდება, ხოლო აქ გამოვლენილი საბეჭდავები, რომლებზეც სვასტიკაა გამოსახული, როგორც ჩანს, სალოცავის საქონებელი უნდა ყოფილიყო, რომლითაც შესაწირავ პურებს და სხვა საგნებს „ბეჭდავდნენ“, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სარიტუალო პურების დაბეჭვდა ხატის ქურუმის საპატიო მოვალეობათაგანი იყო და სვასტიკიანი თიხის საბეჭდავიც მისი „ინსიგნიების“ აუცილებელ ელემენტს შეადგენდა.“[დ. ხახუტაიშვილი 1964 : 31]

6. „(სველე # 43) - ხირსა, *(სურ.66) 1962 წლის ალაზნის მარჯვენა სანაპიროს არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვარი. ნივთი მოპოვებულია გამოსაწვავი ქურის ტერიტორიაზე, უშუალოდ ქურის მახლობლად.*

ტვიფარი საბეჭდავი გამომწვარი თიხისა, რუხი ფერის პირამიდისებრი ფორიმის საბეჭდავი სახელურიანია. სახელური გრძელი და მომრგვალებულია, იგი ძირისკენ, ე. ი. საბეჭდავიანი ნაწილისკენ, მკვეთრად ფართოვდება. გამოხატულება ძალიან თავისებურად არის გაკეთებული : საბეჭდავის ოთხკუთხა პირი შემოფარგლულია მაღალი ქიმით; იგი ამავე დროს პირამიდის წახნაგს წარმოადგენს. ქიმი ყოველ გვერდს შიგნიდან, თითქმის ერთიმეორეს პირდაპირ, საწინააღმდეგო მხრებზე, მიძერწილი აქვს მოკლე და მაღალი ტიხრები. ეს ტიხრები ისეა განლაგებული, რომ მათ შორის მოთავსებული არე მოხრილმკლავებიან ჯვარს - სვასტიკას ქმნის. გამოხატულება ძალიან ღრმაა, ამიტომ ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ქიმის ზედაპირი, ისევე როგორც ტიხრებისა, გულამოღარული წერტილების წყებით არის შემკული. - ანაბეჭდზე რეიეფურ წერტილებს იძლევა. IX – VIII სს - ის უნდა იყოს. საბეჭდავი ხელით არის ნაძერწი. საკმაოდ ტლანქი ნაკეთობაა და არც თუ მაინცდამაინც კარგი გამომწვარია.

დაცულობა: საბეჭდავი კარგი შენახულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 8 სმ, პირის ზომა 55 X 55 სმ“. [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 75 - 76]

7. იხ. 2;5

8. **(საინვენტარო # რ-59-787)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **რუსთავის ციხეზე** (სურ.67) (ნახაზი შესრულებულია მ. ახალაიას მიერ), 1959 წელს საკონტროლო თხრილ N1, ქვეთხრილი N2, მოპოვებულია 1,1 მ. სიღრმეზე, ზუსტი გარემოება უცნობია, სავარაუდოდ ამავე თხრილში გამოვლენილი გვიანიბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარის ფენაში. ინახება რუსთავის ისტორიულ მუზეუმში.

„ტვიფარ - საბეჭდავი ლეგა ფერის თიხისა, გამომწვარი (მონატეხში თიხა მოყავისფროა), გატეხილია. კვადრატის ფორმის მქონე საბეჭდავი სახელურიანია; სახელური ცილინდრული მოყვანლობისაა. გრძელი მომრგვალებული თავით. საბეჭდავს საკმაოდ მაღალი ფუძე აქვს. პირი იმდენად დაზიანებულია, რომ გამოსახულების აღდგენა ძალიან ჭირს, როგორც თვით საბეჭდავიდან, ასევე ანაბეჭდიდანაც. - არსებული ფრაგმენტის მიხედვით, გამოსახულება წარმოადგენს ორი მოხრლი მკლავის ნაწილს, ერთი - მეორეს საწინაღმდეგოდ მიმართულს, რომელთა შორის სწორი, ბოლოში რელიეფურწერტილიანი ზოლი უნდა ყოფილიყო. ეს მოხრილი

მკლავები ისეა განლაგებული, რომ სვასტიკის შთაბეჭდილებას ახდენს. გამოსახულება მაღალრელიეფურია. საბეჭდავი მ. ლორთქიფანიძის აზრით ჭურჭლის სატვიფრავ საბეჭდს წარმოადგენს. საბეჭდავი მსხვილმარცვლიანი თიხისგან არის გაკეთებული, არცთუ მაინდამაინც კარგი განლექილია. იგი ლეგა ფრად არის გამომწვარი, ადგლ -ადგილ ყავისფერი დაკრავს. საბეჭდავი საკმაოდ უხეშადაა ნაძერწი. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ „სვასტიკის მკლავები“ ცალკეა გაკეთებული და შემდეგაა დაძერწილი პირზე, ასევე, პირის კიდეები. შესაძლოა გამოხატულების გასაკეთებლად ტვფარიც იყოს გამოყენებული“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 76].

დაცულობა: საბეჭდავი გატეხილია; პირის დიდი ნაწილი მოტეხილია, ამის გამო გამოსახულებაც დაზიანებულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 6 სმ, პირის ზომა 51 X 41 სმ.

9. იხ. 4; 12.

სურ.67

10. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენის ადგილი უცნობია. **ინახება დედოფლისწყაროს მუზეუმის ექსპოზიციაში** (სურ.68).



სურ.68

თიხის საბეჭდავი მოჩალისფრო ნადებითაა დაფარული, შესაბამისად ხაოიანია. საბეჭდავი, სავარაუდოდ მოწითალოდ იყო გამომწვარი. კეცი სილის მინარევებს შეიცავს. თიხის საბეჭდავს, სავარაუდოდ სახელური მოტეხილი აქვს. თუმცა, ამის დადგენა ძლიერი ნადების ფენის გამო რთულია. სახელური ოვალურგანივკვეთიანია. საბეჭდავის ფუძე გადაჭრილ ტრაპეციას მოგვაგონებს. ის საკმაოდ ფართოა. პირზე ღრმა კვეთით შესრულებული ორნამენტია მოცემული: ე.წ. T - სებრი მაღალრელიეფური „ტიხრების“ შესაბამისი განლაგებით მათ შორის არსებული სივრცით მიიღება სვასტიკა. ეს ორნამენტიც მაღალ დონეზეა შესრულებულია, დაცულია სიმეტრიულობა.

დაცულობა: საბეჭდავი დაზიანებულია, მოტეხილი აქვს ფუძის ერთი კუთხე, პირზე ორნამენტის ნაწილიც აკლია. სავარაუდოდ, სახელურიც მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის შემრჩენილი სიმაღლე: 3 სმ. პირი: 6,5 X 6,6 სმ.

11. (საინვენტარო # 161/3) - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენის ადგილი უცნობია. **ინახება დედოფლისწყაროს მუზეუმის ექსპოზიციაში** (სურ.69).

საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, ნაპრიალებია, კეცი სილანარევია, ზედაპირზე ალაგ - ალაგ შეინიშნება მორუხო ნადები. გამომწვარია. თიხის საბეჭდავს კონუსისებრი ფორმის თავმომრგვალებული სახელური აქვს, რომელიც ოთხკუთხა და კუთხეებმომრგვალებულ ფუძეში გადადის. საბეჭდავის ბრტყელ პირზე წვეტიანი საგნით ღრმადაა ამოკვეთილი ორნამენტი: მრავალმკლავიანი სვასტიკა, რომელიც მთელს გამოსახულებაზეა განტოტვილი და ზედმიწევნითაა შესრულებული, დაცულია სიმეტრიულობა.

სურ.70

სურ.69

დაცულობა: საბეჭდავი კარგადაა შემონახული. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე: 6 სმ, პირის: 4,5 X 4,8 სმ.

12. თიხის საბეჭდავი ინახება **ქუთაისის ისტორიული მუზეუმის** (სურ.70) ექსპოზიციაში.

საბეჭდავი ლეგა ფერის თიხისაა. თიხა ცუდად განლექილია. კორპუსი ზარისებური მოყვანილობისაა თავზე ნახვრეტით და ეს ნახვრეტი შესაძლოა გამჭოლი იყოს. საბეჭდავის ერთ - ერთ გვერდზე გამოსახულია ძალიან მარტივი მოხრილმკლავებიანი სვასტიკა. (სხვა ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია)

13. (საინვენტარო # 161⁴/ა 34) - თიხის შტამპისებური საბეჭდავის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ინახება **დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის** ექსპოზიციაში (სურ.71).

სურ.71

თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო - მოჩალისფრო შეფერილობისაა, ხაოიანი, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს მოკლე მრგვალგანივკვეთინი სახელური აქვს, თავმომრგვალებული, ცალმხარეს წვერისკენ ოდნავ განზიდული. ის გადადის ოთხკუთხა მოყვანილობის საშუალო სიმაღლის ფუძეში. პირზე ღრმა კვეთითაა შესრულებული ორნამენტი - სვასტიკა. ის ე.წ. T - სებრი რელიეფური ტიხრების განლაგებით, მათ შორის არსებული სივრცით მიიღება.

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნაწილი მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 5,9 სმ, პირის შემორჩ. ზომები: 7 X 6 სმ.

ვ. ბარდაველიძის მიხედვით, „ჯვრის გამოსახულება წარმოადგენდა ქართველი ტომების საზოგადოერივი განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის პანთეონის ვარსკვლავებად განსახიერებულ ადგილობრივ ღვთაებათა მეტამორფოზის ყველაზე ხშირ ფორმას“ [В. Бардавелидзе 1957 : 171].

„ჯვრის გამოსახულებები დადასტურებულია არა მარტო ადრეკლასობრივი, არამედ წინაკლასობრივი ხანის ძეგლებში (თრიალეთი, ცხინვალს ნაცარგორა, ხოვლე გორა, ხოვლე და ა.შ. იგი ადრიდანვე (ენეოლითი) იჩენს თავს მიწათმოქმედი ხალხის ნივთიერ კულტურაში და

სპეციალისტთა აღიარებით, ხშირად, მზის ერთ - ერთ ძირითად სიმბოლოს წარმოადგენს.“ [დ. ხახუტაიშვილი 1964 : 31]



სურ.72

მოხრილმკლავებიანი ჯვარი, ანუ სვასტიკა ფართოდ იყო გავრცელებული მთელს მსფოლიოში, ასეთი ორნამენტით საბეჭდავებს ინდის ველის ცივილიზაციაშიც კი ვხვდებით (P. Duff 2011). გარდა ამისა, სვასტიკა ხშირად გვხვდება ტროას, კვიპროსის და სხვ. მასალებზე. ბერძნულ კერამიკაზე ის ძვ.წ. 800 წლიდან ჩნდება. შემდეგ გადადის მონეტებზე და ქრება კლასიკურ ეპოქაში. ის კვლავ იჩენს თავს ქრისტიანულ ხანაში რომაული კატაკომბების კედლებზე (მ. ლორთქიფანიძე 1969).

სურ.73

სურ.74

ჩვენთვის საინტერესო მასალები, და ახლო ანალოგები, განსაკუთრებით დედოფლისწყაროს საბეჭდავების, აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ბაბადერვიშში (სურ. 72; სურ. 73) და სარითეფეზე (В. Алиев 1971). ამ ნიმუშებზე სვასტიკის გამოსახულება ზუსტად იმ მეთოდითაა მიღებული, როგორც ჩვენს დედოფლისწყაროს საბეჭდავებზე. გარდა ამისა, ასეთი საბეჭდავები გხვდება ჩრდ. კავკასიის და აღმ. ევროპის ძეგლებზეც (Z. Hasanov, 2018). ეს ძეგლებიც გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის პერიოდს მიეკუთვნებიან.

8. ბორჯღალი

1. იხ. 13,1.

2. **(საინვენტარო # 01/15 – 11-12)** – შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩნდა **წეროვანის II სამაროვანზე # 27 სამარხში** მიცვალებულებს შორის სამარხის ჩრდ. კედელთან (სურ.74).

თიხის საბეჭდავი - კაგად განლექილი თიხით, კეცი ყავისფერი, ზედაპირი ლეგა - ნაცრისფერი, ნაპრიალები; საბეჭდავის ბრტყელი პირი კიდეებთან მომრგვალებულია. პირზე გამოსახულია ბორჯღალი (მზის გამოსახულება). ბორჯღალის ოთხივე სპირალისებრი მხარი ზემოდან დაბრტყელებულია.

დაცულობა: საბეჭდავს სახელურის თავი დაზიანებული აქვს; ზომები: სიმაღლე 5 სმ, პირის დიამ. 5,3 სმ.

აღნიშნული სამარხი მართკუთა კუთხეებმომრგვალებულ ორმოს წარმოადგენდა, ის თიხამიწაში იყო ჩაჭრილი ჰქონდა ქვაყრილი. სამარხში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული ხელფეხმოკეცილ მდგომარეობაში, პირველი მარჯვენა, ხოლო მეორე მარცხენა გვერდზე. სამარხში თიხის საბეჭდავის გარდა, გამოვლინდა 3 ხატისუღელლი, სასაფეთქლე რგოლი, ოთხი სამაჯური, ხვია, ორი უმბონი, ბრინჯაოს კილიტები; კონუსური მოყვანილობის ბრინჯაოს ნივთი, საკიდი, მძივები : პასტის, ნიჟარის, სარდიონის და მთის ბროლის, ობსიდიანის ანატკეცი. სამარხი გვიანბრინჯაოს ხანას განეკუთვნება (ვ. სადრაძე 1989).

სურ.75

9. **მეანდრისებური**

სურ.76

1. **(საინვენტარო # შწ 5112/ა)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩელია **ზემო ქედის** (სურ.75) არქეოლოგიური გათხრებისას 2002 წელს. აქ დაფიქსირებული ნამოსახლარი თარიღდება ძვ.წ. მე - 8 - მე - 7 სს - ით. საბეჭდავი ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, გამომწვარია. ზედაპირი ნაპრიალებია, კეცი სილის მინარევს შეიცავს. საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი სახელური უნდა ჰქონოდა, ის გადადის მკვეთრად გაშლილ ოთხკუთხაა ფუძეში. საბეჭდავის პირი ბრტყელია, მასზე მაღალრელიეფური გამოსახულებაა დატანილი.

კომპოზიციის ცენტრში ამოკვეთილია კვადრატი, რომელსაც სქელი და მაღალრელიეფური გვერდები აქვს. კვადრატის თითოეული კუთხიდან სხვადასხვა მიმართულებით გამოტანილია, ასევე სქელი და მაღალრელიეფური მონაკვეთები, რომლებიც ჩარჩოს უერთდებიან. მთელი ეს კომპოზიცია ჩასმულია ჩარჩოში. მონაკვეთებით შედგენილი კუთხეები კი შევსებულია ჩარჩოდან გამოტანილი სქელი და მაღალი ტიხრებით. ეს მოტივი ჩემი აზრით, შესაძლოა სწორედ, მეანდრისებურ ორნამენტს ემსგავსებოდეს.

დაცულობა: საბეჭდავს სახელური მოტეხილი აქვს, პირის გვერდები კი ადგილ - ადგილ შემოტეხილია. ზომები: შემორჩ. სიმაღლე 2 სმ, პირი კვადრატია და მისი თითოეული გვერდის სიგრძე 4,5 სმ - ია.

2. **(საველე # 1538)** თიხის შტამპისებური საბეჭდავი შემთხვევითი მონაპოვარია **კახეთის ტერიტორიაზე.** ინახება სიღნაღის მუზეუმის ექსპოზიციაში. ის მუზეუმის დავთარში ადრე რკინის ხანითაა დათარიღებული (სურ.76).

საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა. მას უნდა ჰქონოდა გრძელი გადაჭრილი კონუსის მოყვანილობის სახელური და ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებული ფუძე. საბეჭდავის პირზე გამოსახულება მაღალრელიეფურია. კომპოზიცია 4 თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი და თითოეულში ტიხრიდან ან კიდიდან გამომდინარე სპირალია ჩახვეული. (ამ ეტაპზე აღნიშნულ საბეჭდავზე სხვა ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა).

სურ.77

3. „(საინვენტარო # 1277, საველე # 2087) - ხოვლე - გორა, *(სურ. 77) 1959 წლის არქეოლოგიური კამპანია, IV ჰორიზონტის კედლის W - ით.*

საბეჭდავი გამომწვარი თიხისა, ლეგა ფერის, ზოგან თითქოს შავია. მართკუთხედის მოყვანილობის საბეჭდავი სახელურიანია. ოთხწახნაგაა, გრძელი და საკმაოდ ვიწრო; თავი წაკვეთილი აქვს, ძირისკენ ფართოვდება. პირი საბეჭდავს ბრტყელი აქვს. პირზე გეომეტრიული სახეა ამოჭრილი - ტეხილი ხაზებისგან შედგენილი მეანდრი. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ თითქოს პირი ოთხ „სექტორად“ არის გაყოფილი და ყოველ ცალკეულ სექტორში „მეანდრი“ ცალკეა ამოჭრილი. ვინაიდან უფრო მეტად სახე - გამოხატულება შეუკვრელია, ჩვენ მას მეანდრისებრი სახე ვუწოდეთ. გამოხატულება ღრმაა, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. საბეჭდავი ნაძერწი და შემდეგ გამომწვარია. გამოხატულება ამოჭრილია ნედლ თიხაზე ხელით, ე.ი. სტილით ან ჩხირით. თიხა მსხვილმარცვლიანია, ლეგაფრად გამომწვარი. ნახელავი არ გამოირჩევა სიფაქიზით, საკმაოდ ტლანქად არის ნაძერწი. საბეჭდავი ძვ.წ. IX – VIII სს თარიღდება.

დაცულობა: პირის კიდეები აქა-იქ ოდნავ ამოტეხილია. ზომები: სიმაღლე 4,3 სმ. პირის ზომები 6,2 X 5,2 სმ.“[მ. ლორთქიფანიძე 1969 : 71]

სურ.78

4. თიხის შტამპისებური საბეჭდავი - ინახება **ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში** (სურ.78). საბეჭდავის სამუზეუმო/საველე ნომერი და აღმოჩენის ადგილი უცნობია.

საბეჭდავი მოწითალოდაა გამომწვარი, კეცი მსხვილ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს ცილინდრული სახელური აქვს, რომელიც ბოლოსკენ ფართოვდება და ირიბ წვერში გადადის. ფუძე ოთხკუთაა. ბრტყელ პირზე ნაკლებად ღრმა კვეთით შესრულებულია ორნამენტი: ერთმნეთში ჩასმული გეომეტრიული ფიგურები თანმიმდევრობით - დიდიდან პატარამდე. საბეჭდავის პირზე სულ 2 მსგავსი ფიგურაა დატანილი. ისინი ერთმანეთის საპირისპიროდ არიან მიმართულები და ერთმანეთში ისე ჯდებიან, რომ მთლიანად ავსებენ საბეჭდავის პირს.

ამ ეტაპზე ზემოთ დასახელებულ საბეჭდავზე სხვა ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია. ასევე ვერ მოხერხდა თარიღს დადგენა, თუმცა ვფიქრობ რომ, აღნიშნულ კატალოგში მაინც უნდა იყოს ეს ნიმუში.

5. **(საინვენტარო # 1971. თს. 6.)** თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩნდა **გუდაბერტყას** (სურ.79) ნამოსახლარზე.

თიხის საბეჭდავი მოწითალო - მოჩალისფრო შეფერილობისაა, ძირითადი ნაწილი გლუვია, მაგრამ პირის ნაწილი უფრო ნაპრიალება, თითქოს ღია ფერის საღებავის თხელი ფენა უსვია.

კეცი წვრილ შავ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავი კარგად არის გამომწვარი. მაღალი ხარისხის ნაწარმს წარმოადგენს. თიხის საბეჭდავს ცილინდრული ყური აქვს, რომელიც გადადის თხელ, ოთხკუთხა ფუძეში, რომელსაც კუთხეები მომრგვალებული აქვს. საბეჭდავის პირზე არც თუ ისე ღრმა კვეთითაა შესრულებული, ჩემი აზრით, „მეანდრის ტიპის“ ორნამენტი. მთელი გამოსახულება სადა ჩარჩოშია ჩასმული, რომელიც საბეჭდავის პირის კიდეს შემოუყვება. კომპოზიციის ცენტრში ამოკვეთილია კვადრატი, საიდანაც თითქმის უნაკლო სიზუტით იშლება მთელი ორნამენტი. ერთმანეთში ჩამჯდარი ტეხილი მონაკვეთები და კუთხეები ჰარმონიულადაა მორგებული კომპოზიციას. ის ისეთი კარგი ნამუშევარია, შესაძლოა იმპორტული ნაწარმიც კი იყოს. ამ ეტაპზე ზუსტი თარიღისა და პერიოდის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, თუმცა მაინც მიზანშეწონილად მივიჩნიე ამ საბეჭდავის მოცემულ კატალოგში შეტანა.



სურ.79

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის მეოთხედი და სახელური მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის შემორჩენილი სიმაღლე 3,2 სმ. პირი 5,6 X 4,9 სმ.

6. (საინვენტარო # შწ. 2896) - თიხის საბეჭდავი აღმოჩნდა **ენამთის** (სურ.80) ბოლოს, 1985 წელს. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თიხის შტამპისებური საბეჭდავი, მორუხოდ გამომწვარი და გლუვია. კეცი წვრილ სილის მინარევებს შეიცავს. ზედაპირი დაფარულია თეთრი ნადებით.

საბეჭდავს გრძელი მრგვალგანივკვეთიანი თავდაბრტყელებული სახელური აქვს, რომელიც მკვეთრად გაშლილ ფუძეში გადადის. ფუძე დაზიანებულია ამიტომ მისი ფორმის შესახებ ვერაფერს ვიტყვით. საბეჭდავის პირზე ვფიქრობ, რომ მაღალრელიეფური მეანდრისებური ორნამენტია შემორჩენილი: გამოსახულების ცენტში კვადრატია დატანილი, რომლის ოთხივე კუთხიდან მონაკვეთები მომდინარეობს და ისინი სხვადასხვა კუთხეებს ქმნიან. ამ ეტაპზე საბეჭდავის ზუსტი თარიღის განსაზღვრა ვერ მოხერხდა, თუმცა ვფიქრობ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს.



სურ.80

დაცულობა: საბეჭდავის ფუძე იმდენადაა დაზიანებული, რომ მას გამოსახულების დიდი ნაწილიც აკლია, გარდა ამისა საბეჭდავი დაფარულია თეთრი ნადებით. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 7 სმ, პირის ზომების დადგენა შეუძლებელია.

7. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენილია **თრელი გორებზე** (სურ.81), ინახება ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაში.

საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა. ის მცირე ზომისაა. სახელურიც მოკლე აქვს, მრგვალგანივკვეთიანი და თავმომრგვალებული. საბეჭდავის ფუძე კუთხეებმომრგვალებულ ოთხკუთხედს წარმოადგენს. საბეჭდავის პირზე მეტ - ნაკლებად ღრმა კვეთით შესრულებული ორნამენტი ჩარჩოშია მოქცეული, რომელიც პირის კიდეებს შემოუყვება. პირზე

სურ.81

გამოსახულება ოთხ ნაწილადაა გაყოფილი, ცენტრში გამოსახული ჯვრით და ამ თითოეულ მეოთხედში C - სებრი სპირალებია ჩასმული.

დაცულობა: საბეჭდავი კარგადაა შემონახული. (ამ ეტაპზე მეტი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია).

მსგავსი გამოსახულებებით საბეჭდავები გავრცელებულია ეგეოსურ სამყაროში (J. G. Younger 1985), ასევე აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, მაგალითად, სარი თეფეზე. ისინი აგრეთვე, ნაპოვნია შუა დუნაის დაბლობის და ჩრდილო-დასავლეთ შავი ზღვის რეგიონის ძეგლებზე (Z. Hasanov, 2018). აქვე უნდა ითქვას, რომ გუდაბერტყას „მეანადრიანი“ საბეჭდავი მარგო ლორთქიფანიძის მიერ, თავის წიგნში მოტანილ ხეთურ მენადრს მოგვაგონებს. ეს ორნამენტული დეტალი დატანილია მერსინაში აღმოჩენილ ხეთურ საბეჭდავზე (მ. ლორთქიფანიძე 1969).

სურ.82

10. ერთმანეთში ჩასმული წრეები

1. (საინვენტარო # 1284) - მჭადიჯვარი (ნარეკვავის ხეობა) (სურ.82) მოპოვებულია დაზვერვების დროს 1979 წელს, ზედაპირული მასალა. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.

„საბეჭდავი ვარდისფერად გამომწვარი თიხისა, კონუსისებრი მოყვანილობის, მრგვალი და გრძელი სახელურით. სახელურის თავი წაკვეთილია, სახელურის წაკვეთილ ნაწილზე გამოხატულება უნდა იყოს ამოკაწრული თუ ამოჭრილი. საბეჭდავის მრგვალ პირზე გამოხატულია ერთმანეთში ჩამჯდარი კონცენტრული წრეები - ხუთი წრე. წრეებს მაღალი რელიეფური ზოლები გამოხატავს.

სახელურზე, წაკვეთილ მხარეს, წვრილტანიანი ხე არის გამოსახული: დაბალი და მრვალაფოთლიანი. მოკლე ნიადაგის ზოლი წმინდა ხაზითაა აღნიშნული. პირი სახელურისა (ოვალური და ბრტყელი) ატკეცილია ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია. საბეჭდავი ნაძერწია და შემდეგ გამომწვარი. გამოხატულება ალბათ ტვიფარით არის გაკეთებული, ხოლო სახელურზე ამოკაწრული უნდა იყოს. ანალოგიური მასალის საფუძველზე საბეჭდავს ძვ.წ. XIV – XIII სს. ვათარიღებთ“[მ. ლორთქიფანიძე 1969 :69].

სურ.83

დაცულობა: საბეჭდავს პირზე, აქა - იქ, კირი აქვს გადაკრული; პირი ადგილ - ადგილ ამოტეხილია ისე, რომ გამოხატულება დაზიანებულია. ზურგზე ზოგან ანატკეცები და ამონატეხები აქვს. ზომები: სიმაღლე: 4,1 სმ, პირის დიამ. 3,8 სმ RV პირის დიამ. 1,6 სმ.

2. **(საინვენტარო # 1281, საველე # 242) - ხოვლე - გორა** (სურ.83), 1961 წლის არქეოლოგიური კამპანია, VI ფენის ცხვრისთავებიანი ოთახიდან. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.

„საბეჭდავი ბაცი ლეგა ფერის თიხისა, ადგილ - ადგილ მოვარდისფრო მსხვილმარცვილიანი, ცუდად განლექილი (თიხა ქვიშანარევია); კონუსისებრი მოყვანილობის საბეჭდავი გრძელ გაფართოებულთავიან სახელურში გადადის. სახელური ძირითადად მრგვალგანივკვეთიანიანია; „თავი“ შებრტყელებული აქვს. პირზე გამოხატულია ერთმანეთში ჩამჯდარი ჩახატული კონცენტრული წრეები. ცენტრში გულამოღებული წერტილია. გამოხატულება ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. თვით საბეჭდავზედაც წრეები მაღალია.



სურ.84



სურ.85

პირის კიდეები უსწორმასწოროა. საბეჭდავი ხელით ნაძერწი და და გამომწვარია. გამოხატულება სტილით არის ამოჭრილი“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 :67] საბეჭდავს მ. ლორთქიფანიძე ძვ.წ. XIV – XIII სს - ით ათარიღებს.

დაცულობა: პირის კიდეები შემომტვრეულია. საბეჭდავის ზურგი ზოგან ატკეცილია. სახელურს თავი ჩამოტეხილი აქვს. ზომები: სიმაღლე 3,8 სმ, პირის დიამ: 3,8 სმ.

3. **(#253)** - თიხის საბეჭდავის ფრაგმენტი აღმოჩენილია **უდაბნოს** (სურ.84) ნამოსახლარზე. ძეგლი ძვ.წ. I და II ათასწ. მიჯნით თარიღდება. საბეჭდავი ძალზედ დაზიანებულია მხოლოდ პირის მცირე ფრაგმენტია შემორჩენილი და მასზე შეინიშნება რელიეფური ერთმანეთში ჩასმული წრეების გამოსახულება. (ამ ეტაპზე სხვა დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი გახდა) (R. Kunze 2012).

4. თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** (სურ.85) (76 - ე ნაკვეთი, III ტერასა, I_8 – K_8 კვადრატი) 2018 წელს გვიან ბრინჯაოს ხანის ნაგებობის გათხრებისას.

სურ.86

საბეჭდავი მოწითალოდაა გამომწვარი, ზედაპირი გლუვია. კეცი შეიცავს სილის მონარევებს. საბეჭდავს კონუსის მოყვანილობის კორპუსი აქვს, რომელიც პირისკენ მკვეთრად ფართოვდება. ფუძე წრიულია. პირზე მაღალრელიეფური ერთმანეთში ჩასმული წრეები უნდა იყოს გამოსახული.

დაცულობა: საბეჭდავი ძალზედ დაზიანებულია. მას მოტეხილი აქვს სახელურის ნაწილი და პირიც დიდმნიშვნელოვნად დაზიანებულია. ზომები: საბეჭდავის შემორჩ. სიმაღლე 5 სმ, პირის დიამ. დაახ. 4,5 სმ.

5. **(საინვენტარო #46) - გრაკლიანი გორა** (სურ.86), 2015 წელი. აღმოჩენილია გვიანბრინჯაოს ხანის ტაძარში (77- ე ნაკვეთი, III ტერასა), რომელიც ძვ.წ. მე - 10 ს-ით თარიღდება. საბეჭდავი ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

თიხის შტამპისებური საბეჭდავი მოყავისფრო - მოჩალისფრო შეფერილობისაა, ზედაპირი გლუვია, კეცი სილის მინარევებით. გამომწვარია. საბეჭდავს თავგაბრტყელებული კონუსისებრი სახელური აქვს, რომელიც წრიული მოყვანილობის ბრტყელ და ფართო სწორი ზედაპირის მქონე ფუძეში გადადის.

ზედაპირზე გამოსახულია მაღალ რელიეფური ერთმანეთში ჩასმული სქელი წრეები (5 ცალი). წრეები ერთმანეთისგან დიდი მანძილითაა გამოყოფილი. აღნიშნული საბეჭდავი საკმაოდ ღრმა ანაბეჭდს ტოვებს.

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნახევარი მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 4,4 სმ, პირის დიამ. 1,9 სმ.

6. **(საინვენტარო # შწ4986/ა)** აღმოჩენილია **ცისკარაანთ გორაზე** (სურ.87), ძვ.წ. I ათასწლეულის ფენების გათხრებისას. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.

თიხის საბეჭდავი მორუხო - მოყავისფრო შეფერილობის, სუსტად ნაპრიალები, კეცი სილის მინარევებით, გამომწვარია. საბეჭდავს თავმომრგვალებული ცილინდრული სახელურის აქვს, რომელიც ოდნავ აზიდულ წრიული ფორმის ფუძეში გადადის. საბეჭდავის პირზე, სავარაუდოდ, მაღალ რელიეფური ორნამენტი იყო გამოსახული : ერთმანეთში ჩასმული სამი წრე ცენტრში კოპით. საბეჭდავს მთელს კორპუსზე ნაკლებად შესამჩნევი, შვეული, წნეხით დატანილი ხაზები დაუყვება.

დაცულობა: საბეჭდავის პირზე გამოსახული ორნამენტის ზედაპირი დაზიანებულია. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 6,9 სმ, პირის დიამ. დაახ. 5 სმ.



სურ.87

7. **(საინვენტარო # 01/10) - ნარეკვავში** (სურ.88), მდ. ნარეკვავი მარჯვენა საპიროზე - არსებული ქედის თხრილ #7 ის ნაცროვან, გვიან ბრინაჯო ადრე რკინის ხანის ფენაში აღმოჩენილი თიხის შტამპისებური საბეჭდავი. აქვს ცილინდრული სახელური და წრიული პირი. პირზე გამოსახულია ერთმანეთში ჩასმული კონცენტრული წრეები, სულ 7. გამოსახულება ამოღარულია.

სურ.88

ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 5 სმ, პირის დიამ. 4,0 სმ (ვ. სადრაძე 1989).

ასეთი ორნამენტული დეტალები საბეჭდავებზე ანატოლიის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ ნეოლითურ ხანაში იყო ცნობილი. მაგალითად, მსგავსი საბეჭდავები აღმოჩენილია ბადემაგაჩის არქეოლოგიურ ძეგლზე (M. Frangipane 2016).

მსგავსი ორნამენტული მოტივი მცირეაზიულ ძეგლებზეა გავრცელებული. მაგალითად, ალიშარში აღმოჩენილ მასალებში (H.H.V. Osten 1930-32). ასევე, ფრაკიაში აღმოჩენილია ხეთური ტერაკოტა, რომელიც ძვ.წ. მე - 3 ათასწ. თარიღდება (F. Matz 1928). აღსანიშნავია, რომ მინოსურ საბეჭდავებს შორის აღნიშნული მოტივის ვარიანტებს ვხვდებით „პირველი სასახლეების სტილის“ ჭრილა სტეატიტებზე (A. Xenaki-sakellariou 1958). მსგავსი მოტივია გამოსახული ლერნაში აღმოჩენილ თიხის საბეჭდავზე (M. Heat 1928).

ერთმანეთში ჩასმული კონცენტრული წრეებია ამოღარული მოზას (ისრაელი) ძვ.წ. მე - 8 - მე - 7 სს - ით დათარიღებულ ფენაში აღმოჩენილ თიხის ჭურჭლების ყურებზეც (B. Brandl, Z. Greenhut, D. Vainstub 2009).

ამ საბეჭდავების ახლო ანალოგები აღმოჩენილია ჩრდ. კავკასიის გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის ძეგლებზე, მაგალითად სერზენ - იურტზე, ხანკალაზე, კარტალზე და ა.შ.

11. ტეხილი და ირიბი ხაზებისგან შედგენილი გეომეტრიული ორნამენტი

1. **(#09.33.60)** - თიხის საბეჭდავი, აღმოჩენილია **გუდაბერტყას** (სურ.89) ნამოსახლარზე. ინახება ს. მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ - ეთნოგრფიულ მუზეუმში.

თიხის შტამპისებური საბეჭდავი გამომწვარია, არის მოჩალისფრო შეფერილობის, ხაოიანი, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს ბრტყელგანივკვეთიანი, თავმომრგვალებული, მოკლე სახელური აქვს, რომელიც ელიფსური ფორმის ფუძეში გადადის. ფუძე თხელია, მის პირზე საშუალო სიღრმის კვეთით შესრულებულია სხვადასხვა კუთხოვანი და ირიბი ხაზებისგან შედგენილი გეომეტრიული ორნამენტი.

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნაწილი მოტეხილი აქვს. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 5 სმ, პირის შემორჩენილი ზომები 5 X 4,3 სმ.

2. **(# 304ª) - უფლისციხე, ყათლანიხევის გორა**, (სურ.90) 1962 წლის არქეოლოგიური კამპანია, V თხრილი, დამწვარი ნაგებობის აღმოსავლეთი ნაწილი.

„ფირფიტას“ ფრაგმენტი გამომწვარი თიხისა, ლეგა ფერის, პირი ზოგან, მოყავისფროა. სქელი „ფირფიტა“, როგორც ჩანს, მართკუთხედის მოყვანილობისა იყო, რომელსაც ზედა ნაწილში ნახვრეტიანი ყუნში აქვს. თიხა საკმაოდ კარგად არის განლექილი და არცთუ მაინდამაინც მსხვილმარცვლიანია.

სურ.89

პირზე გამოხატულია ტეხილი ხაზების წყება, ერთიმეორის ქვემოთ არის ამოჭრილი. აღნიშნული გეომეტრიული „მოტივი“, როგორც ჩანს მთლიანად ავსებდა ფირფიტის პირს. ანალოგიური მოტივი რომელიც წყლის ნაკადის მოტივს წარმოადგენს, საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული სუზას ნეკროპოლში აღმოჩენილ კერამიკაზე და ცილინდრებზე. ხელით ნაძერწი „ფირფიტა“ კარგად არის გამომწვარი. ნივთი სუფთა ნაძერწია და კარგადაა გაპრიალებული. წესიერი ფორმა აქვს მიცემული - ნაპირები თანაზომიერადაა შემოსწორებული. გამოხატულება საკმაოდ ღრმად და მკაფიოდ არის ამოჭრილი”. [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 74]



სურ.90

დაცულობა: ფირფიტას 1/3 ჩამოტეხილი აქვს, ნაკლულია, ზომები: ფრაგმენტის სიგრძე 4,8 სმ, სიგანე 4,2 სმ.

3. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენილია **თრელი გორებზე**. ინახება ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაში (სურ.91).

სურ.91

საბეჭდავს მორუხო შეფერილობა და წრიული ფუძე აქვს. პირზე არსებული გამოსახულება 4 ნაწილადაა გაყოფილი და ღრმა კვეთით ამოღარულ ჰორიზონტალურ და შვეულ ხაზებს წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდაა განლაგებული, (ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციის მოცემა შეუძლებელია).

ასეთ ორნამენტულ მოტივებს ვხვდებით ტრიპოლია - კუკუტენს კულტურის ძეგლის მეზინას მასალებში. ეს კულტურა ძვ.წ. მე - 3 ათასწლეულამდე არსებობდა ევროპის ტერიტორიაზე (S. Zharnikova).

სურ.92

4. "(საველე # 284 – 5) - ხოვლე - გორა (სურ.92), 1961 წლის არქეოლოგიური კამპანია IV ფენა. „ფირფიტა" ყუნწიანი - ტვიფარი, ვარდისფრად გამომწვარი თიხისა, მონატეხში აგურისფერია.

მართკუთხედის მოყვანილობის „ფირფიტას" ზედა ნაწილში გრძელი, ბოლოწაწვეტებული ყუნწი აქვს მიძერწილი. „პირის" კიდე ღრმა ღარით არის შემოფარგლული, რომელიც ანაბეჭდზე რელიეფურ ზოლს იძლევა. „ფირფიტა - ტვიფარზე" ძალიან სქემატურად მცენარე თუ მცენარეული ორნამენტია გამოხატული. – „ფირფიტა" მთელ სიგრძეზე ფართო ზოლით (ნივთზე ფართო ღარით) არის გაყოფილი. პირის ორივე ნახევარი - გაყოფის შედეგად მიღებული მონაკვეთია ოთხ - ოთხი პარალელური ხაზით სეგმენტებად არის დანაწევრებული. პარალელური ზოლებიც ცერად არის ამოჭრილი და ცენტრალურ ზოლს კიდისას აერთებენ. ყუნწზე ამოჭრილი მოკლე ხაზები - ცენტრალურის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს. „ტვიფარი" ხელით არის ნაძერწი. თიხა საკმაოდ კარგად არის განლექილი. ნივთი საკმაოდ ტლანქი და დაუდევარი ნაკეთებია. გამოხატულება ფართო ჩხირით უნდა იყოს ამოკაწრული - „ამოღარული" [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 74]. საბეჭდავი შესაძლოა ძვ.წ. IX – VII სს - ით დათარიღდეს.

დაცულობა: აქა - იქ პატარა ანატკეცები აქვს. ზომები: სიგრძე 9,4 სმ, სიგანე 6,8 სმ.



5. **(საინვენტარო # შწ. 4990/ა)** თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.93) გათხრების დროს. ნამოსახლარი ფენა თარიღდება ძვ.წ. VIII – VII სს - ით.

საბეჭდავი მორუხო მონაცრისფრო შეფერილობისაა.ის ნაპრიალებია. კეცი სილის მინარევებევებს შეიცავს. გამომწვარია და საკმაოდ კარგი ნახელავი. საბეჭდავს ოთხკუთხედგანივკვეთიანი სახელური აქვს. რომელიც გადადის ასევე ოთხკუთხა მოყვანილობის ფუძეში. ბრტყელ პირზე გამოსახულია, ოთხი ცალი ღრმა კვეთით შესრულებული ერთმანეთის პარალელური კუთხოვანი სქელი ღარი დიდიდან პატარამდე პრინციპით და ბოლოვდება მოზრდილი და ღრმა ფოსოთი.

დაცულობა: საბეჭდავს სახელური აქვს მოტეხილი. ზომები: საბეჭდავის შემორჩ. სიმაღლე 3,5 სმ, პირის ზომები: 7 X 6,8 სმ.

6. **(საინვენტარო # 1283)** - აღმოჩენილია **ნარეკვავის** (სურ.94) ნამოსახლარის #15 სახლში, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში ხოვლური ტიპის ღუმელი იყო გამართული. გარდა საბეჭდავისა ოთახში აღმოჩნდა ურმის ბორბლის მოდელი, და სხვ (ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე 1993).

სურ.93

სურ.95

თიხის შტამპისებურ საბეჭდავს ცილინდრული სახელური და წრიული ფუძე აქვს. პირზე არსებული გამოსახულება 4 ნაწილადაა გაყოფილი და ღრმა კვეთით ამოღარულ ჰორიზონტალურ და შვეულ ხაზებს წარმადგენს, რომლებიც ერთმანეთის საპირისპიროდაა განლაგებული. საბეჭდავი ძვ.წ. VIII – VI სს - ით თარიღდება.

7. **(საინვენტარო # 01/10 – 467)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **ნარეკვავში** (სურ.95), მდ. ნარეკვავის მარჯვენა სანაპიროზე - არსებული ქედის #7 თხრილის გვიან ბრინაჯო - ადრე რკინის ხანით დათარიღებულ ნაცროვან ფენაში.

საბეჭდავის შტამპისებური ფორმის, ფუძე წრიულია, სახელური კი ცილინდრული. პირზე გამოსახულია ამოღარული ხაზებით შესრულებული სამკუთხედები.

დაცულობა: საბეჭდავს პირი დაზიანებული აქვს. ზომები: სიმაღლე 5,0 სმ, დიამ. - 6,1 სმ. (ვ. სადრაძე 1989).

ასეთი ორნამენტული დეტალები საბეჭდავებზე ფართოდ იყო გავრცელებული ძველი მსოფლიოს კულტურებში. მათ ვხვდებით ჰალაფის პერიოდში, მაგალითად საბი აბიადზე (M. Frangipane 2016) ბაქტრია - მარგიანეს არქეოლოგიურ კომპლექსებში (V. Shinde, L. Possehl, M., Ameri 2005) ინდის ველის ცივილზაციაში (D. Frenez 2019), კრეტას მასალებში (J. M. Gonzalez 2015) და სხვ.

12. ფიგურების ან სცენების გამოსახულება

1. თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **ონის რაიონის სოფ. ჭიბრევში** (სურ.96) ადგილ „წალკოტთან“, ლამარა მიაძის კარ მიდამოში. ინახება ონის მხარეთმოცდების მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, ზედაპირი გლუვია. კეცი თეთრ მინარევებს შეიცავს. სახელური საკმაოდ უხეშადაა ნაკეთები და ასიმეტრიულადაა დაძერწილი ფუძეზე. ის მრგვალგანივკვეთიანია და მომრგვალებული თავი აქვს. საბეჭდავის ფუძე თხელია და ოდნავ უსწორმასწორო ოთხკუთდის ფორმა აქვს. საბეჭდავის პირზე უჩვეულო გამოსახულებებია დატანილი. გამოსახულება წვრილი ხაზებისგან შედგენილ ორმაგ ჩარჩოშია ჩასმული. თავად იკონოგრაფია ამდგავარი ორმაგი ხაზებითაა დაყოფილი 4 სხვადასხვა სივრცედ და თითოეულ უჯრედში სხვადასხვა გამოსახულებებია მოცემული. აშკარაა, რომ აქ გარკვეული სცენებია წარმოჩენილი. ამ ეტაპზე ვარაუდის დონეზე შესაძლებელია, ფრინველის გამოსახულების იდენტიფიცირება მე - 2 უჯრედში.

დაცულობა: საბეჭდავი კარგადაა შემონახული, მცირედი დაზიანებებით. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე: 4,8 სმ, პირის ზომები 4,7 X 4,4 სმ.

მსგავსი გამოსახულებები დადასტურებულია ცხინვალსა და ხოვლეში.

სურ.96

*2. „(ДП – 534) - **ცხინვალი** (სურ.97) შემთხვევითი მონაპოვარი. ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.*

სურ.97

ფირფიტა გამომწვარი თიხისა, თიხა მსხვილმარცვლოვანია, ლეგა ფერისა. კუბიკური ფორმის ფირფიტა საკმაოდ დაუდევრად არის ნაძერწი, მაღალია; პირი ბრტყელი აქვს, ასეთივე, ცოტა უსწორმასწორო, ზურგი. პირი ურთიერთგადამკვეთავი ხაზებით 4 სექტორად არის გაყოფილი. თითოეულ სექტორში ხაზოვანი ნიშნებია ამოჭრილი, გარკვეული სისტემით. ჩვენი ვარაუდით აღნიშნული ნიშნები ხატოვან წარწერას უნდა წარმოადგენდეს. „წარწერა“ ჩარჩოშია ჩასმული, შემოფარგლულია პირის კიდესთან სწორი ხაზით. „წარწერა“ ღრმადაა ნაკვეთი, ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ხელით ნაძერწი საბეჭდავი გამომწვარია, თიხა ცუდად არის განლექილი, ქვიშა აქვს შერეული. ნიშნები ღრმად არის ნაკვეთი.

დაცულობა: პირის კიდე ერთგან ჩამოტეხილია, ზომები: სიმაღლე 2,3 სმ, სიგრძე 4,3 სმ, სიგანე 4,1 სმ “. [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 72]

*3. **„(სველე # 361)** ფირფიტა - აღმოჩენილია **ხოვლეში** (სურ.98), ბორცვზე, 1954 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს, #2 თხრილში. აღმოჩნდა ფილაქნების აყრის დროს ნაცროვან ფენაში. ინახება ს. ჯანაშიას ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში.*



სურ.98

ფირფიტა რუხი ფერისა, თიხისა, ნაკლული, კვადრატული ფორმისა უნდა ყოფილიყო, ყუნწიანი; საკმაოდ სქელია. პირი თითქმის ბრტყელია; აქა - იქ პაწია „ბორცვები“ აქვს. ზურგი - უსწორმასწორო (დაუდევარი ძერწვის შედეგია).

პირზე, რომელიც ჰორიზონტალურად 4 სექტორად არის გაყოფილი, გარკვეულ სისტემაში მოყვანილი ნიშნების კომპლექსია ამოჭრილი. პირველ სექტორში მსბრბოლელი ადამიანის უაღრესად სქემატური სახეა გამოხატული; მას ხელ - ფეხი და ტორსი ერთმანეთთან ისეთ მიმართებაში აქვს, რომ გამოხატულება გარეგნული მოხაზულობით სვასტიკას ჰგავს. მე - 2 სექტორში, თითქმის ცენტრალურ ადგილას, მსრბოლელი ადამიანი, სვასტიკისებურად გამოხატული, კვლავ მეორდება. იგი არათანაბარმკვლავებიან სვასტიკას ჰგავს. - ორ მკლავს მომრგვალებული კონტური აქვს, ერთი მკვეთრ კუთხეს ქმნის და იმ სიგრძეა, რომ მეორე სექტორის ნახევრამდე აღწევს. მეოთხე „მკლავი“ გადაკვეთის ადგილას წყდება. იქვე მარჯვენა მხარეს, გამოხატულია სახე, რომელიც შუბისპირს მოგვაგონებს. მსრბოლელი ადამიანის მარცხენა მხარეს, ზევით, გაურკვეველი სახეა გამოხატული. III სექტორი ტალღოვანი ხაზით არის შევსებული; აქა - იქ, თავისუფალი არე რელიეფური წერტილებით მარცვლებითაა შემკული. ტალღოვანი ხაზი მკვეთრად იცვლის სახეს და ბოლოში წაწვეტებული კონუსის სახეში გადადის, რომლის წვეროსთან წერტილია გამოხატული. IV სექტორი შვეული პარალელური ხაზების წყებით არის შევსებული. ფირფიტა ნაძერწია და გამომწვარი. გამოსახულება სველ თიხაზე სტილით არის ამოჭრილი გამოწვამდე“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 72]. ფირფიტა ძვ.წ. მე - 9 - მე - 7 სს - ის ფენაშია მოპოვებული.

დაცულობა: ფირფიტას ერთიმესამედი ჩამოტეხილი აქვს, ისე, რომ გამოსახულება დაზიანებულია, აქა - იქ ატკეცილია. ზომები: სიგრძე 5,7 სმ, სიგანე 5,9 სმ, სისქე 1,5-1,4 სმ.

13. საბეჭდავი ფსევდო ანთროპომორფული გამოსახულებით

1. **(საინვენტარო # 0001 – 2019)** - თიხის საბეჭდავი ინახება **ლაგოდეხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში**. აღმოჩენის ადგილი უცნობია (სურ.99).

სურ.99

თიხის შტამპისებური საბეჭდავი მონაცრისფრო შეფერილობისაა, ალაგ - ალაგ დაუყვება მოშავო ფერი. ზედაპირი ხაოიანია. დამზადებულია სილანარევი თიხისგან. საბეჭდავი ორმხრივია. მისი მრგვალგანივკვეთიანი სახელური ბოლოსკენ მკვეთრად გაზიდულია და ზედაპირი დაბრტყელებული აქვს. მასზე ნაკლებ ღრმა კვეთით 6 ფრთიანი ბორჯღალია შესრულებული. საბეჭდავის ფუძე თხელია და უწესო ოთხკუთხედის ფორმა აქვს. საბეჭდავის ბრტყელ პირზე ნაკლებად ღრმა კვეთით რთული გამოსახულებაა ამოკვეთილი. ამ საბეჭდავის გამოსახულებთან დაკავშირებით მოსალოდნელია, რომ აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდეს. კვლევის ამ ეტაპზე ვფიქრობ რომ აქ ორი ადამიანი უნდა იყოს გამოსახული მოძრაობაში, შესაძლოა ფერხულის ცეკვისას. თუმცა ეს ჯერჯერობით მხოლოდ პირვალადი მოსაზრებაა და საჭიროებს მომავალ შესწავლას.

2. **(#291)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **უდაბნოს** (სურ.100) ნამოსახლარზე, რომელიც თარიღდება ძვ.წ. II – I ათასწლეულების მიჯნით. თიხის საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი სქელი სახელური და მაღალი ფუძე აქვს. პირი თითქმის კვადრატის ფორმისაა. მას ოდნავ მომრგვალებული კუთხეები აქვს. ბრტყელ



სურ.100

პირს კიდეზე ჩარჩო შემოუყვება, რომლიდანაც ცენტრისკენ გამოტანილია 4 ერთი ტიპის და ერთი განსხვავებული მაღალრელიეფური ტიხარი. ტიხრების განლაგებით სიღრმეში, ჩემი აზრით, ადამიანის სქემატური გამოსახულება მიიღება, რომელსაც ხელები მაღლა აქვს აწეული. ჩარჩო და ტიხრები დაფარულია ფოსოებით სულ 43 (?) ცალია დატანილი. კვეთა საკმაოდ ღრმაა (R. Kunze 2012). (ამ ეტაპზე სხვა დამატებითი ინფორმაციის მოტანა შეუძლებელია).

14. ნუმეროლოგიური საბეჭდავი



სურ.101

1. თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** (სურ.101), 2018 წელს მე -2 ათასწლეულის მიწურულის შენობის იატაკზე (III ტერასა, 76 - ე ნაკვეთი, I8 კვადრატი). საბეჭდავი მორუხო შეფერილობისაა, ზედაპირი გლუვია. კეცი სილის მინარევებსს შეიცავს.საბეჭდავს გადაჭრილი კონუსის ფორმა აქვს. მის თავზე და ძირზე აღსანიშნავია ფოსოები. საბეჭდავის ექვსივე მხარეს დატანილია დაჭდეული წერტილები: სულ 83. სავარაუდოა, რომ ამ წერტილების გვერდების მიხედვით გადანაწილებას გარკვეული დატვირთვა ჰქონდა. ზედაპირზე დატანილია სიგანეზე გამჭოლი ნახვრეტი, რაც შესაძლოა მის მეორადად გამოყენებაზე მეტყველებდეს. ექსპედიციის ხელმძღვანელის ვ.ლიჩელის მოსაზრებით, საბეჭდავზე ნუმეროლოგიური ნიშნებია გამოსახული.

დაცულობა: საბეჭდავი კარგ მდგომარეობაშია. ზომები: სიმაღლე: 10.4 სმ.

15. საბეჭდავი ასტროლოგიური გამოსახულებებით

1. **(საინვენტარო # 49)** - თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** (სურ.102). გვიან ბრინჯაოს ხანის დაცურებულ ფენაში. ის ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის მუზეუმში.

საბეჭდავი მორუხო - მონაცრისფრო შეფერილობისაა, გლუვი. კარგად არის გამომწვარი. კეცი სილის მინარევებს შეიცავს. საბეჭდავს ოვალურგანივკვეთიანი სახელური აქვს, რომელიც ბოლოვდება განზე გასული რქისებრი შვერილებით. ეს შვერილები შესაძლოა ზოომორფული გამოსახულება იყოს. საბეჭდავს წრიული თხელი ფუძე აქვს, პირი ბრტყელია. მასზე წმინდა კვეთით შესრულებული 4 ერთმანეთის პარალელური წრეა გამოსახული. თითქოს შეიმჩნევა მეხუთე წრის დახატვის მცდელობა. წრეებშიც და მთლიან გამოსახულებაზე დატანილია წვრილი ნასვრეტები. სულ : 54 (?). საინტერესოა, რომ წრეებში წერტილების რაოდენობა გარკვეული კანონზომიერებითაა გადანაწილებული ზრდადობის მიხედვით : 1) 4; 2) 5; 3) 6; 4) 7. ეჭვგარეშეა, რომ ეს შემთხვევითობა არ არის და ამ ყოველივეს რაიმე დატვირთვა უნდა ჰქონოდა.

დაცულობა: საბეჭდავი კარგა მდგომარეობაშია, თითქმის საერთოდ არ აღენიშნება დაზიანება. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 3,4 სმ, პირის დიამ. 4 სმ.

სურ.102

16. საბეჭდავები სხვადასხვა გეომეტრიული მოტივით

1. თიხის საბეჭდავი **თრელი გორებიდან** (სურ.103), ინახება ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმის ექსპოზიციაში.

სურ.103

საბეჭდავი მოწითალო შეფერილობისაა და აქვს გადაჭრილი ტრაპეციის ფორმა. მის ოთხკუთხა პირზე ღრმად ამოჭრილი ოთხქიმიანი გამოსახულებაა დატანილი. (ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია).

2. თიხის საბეჭდავი აღმოჩენილია **გურჯაანის რაიონში „მელი-ღელეს“** #1 სამლოცველოში (სურ.104). წრიულ პირზე გამოსახულია ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებული ოთხი ნახევარწრე. მათ ცენტრში კი კოპია დასმული. საბეჭდავი თარიღდება მე - 2 ათსწლეულის მეორე ნახევით (კ. ფიცხელაური 1973).

სურ.104

3. საბეჭდავი აღმოჩენილია **გურჯაანის რაიონში, „მელი-ღელეს“** #1 სამლოცველოში (სურ.105). საბეჭდავს წრიული ფუძე აქვს და მასზე გამოსახულია მაღალრელიეფური ლათინური C - სებრი ორნამენტი (ფიცხელაური ტაბ. 39, 2).

4. **(#716)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **უდაბნოს** (სურ.106) ერთშრიან ნამოსახლარზე, რომელიც გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანას განეკუთვნება.

სურ.105



სურ.106

საბეჭდავს კონუსის ფორმის კორპუსი აქვს. მის წრიულ და ბრტყელ პირზე რელიეფური და ორმაგი ჩარჩოთი C - სებრი ორნამენტია გამოსახული. კვეთა საკმაოდ ღრმაა (კ. ფიცხელაური 1973). (ამ ეტაპზე სხვა დამატებითი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი გახდა).

5. თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენილია **თრელი გორებზე** (სურ.107), ინახება ს. ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ექსპოზიციაში.



სურ.107

საბეჭდავი მოყავისფრო შეფერილობისაა, სახელური, სავარაუდოდ, ბრტყელ განივკვეთიანი აქვს. საბეჭდავის ფუძე კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედია და საკმაოდ თხელია. საბეჭდავის პირზე რელიეფური ორნამენტია შესრულებული: სხვადასხვა ფორმის კუთხეები ავსებენ მთელს გამოსახულებას.

დაცულობა: საბეჭდავს მხოლოდ სახელურის ნაწილი აქვს მოტეხილი. (ამ ეტაპზე მეტი ინფორმაციის მოძიება შეუძლებელია)

6. (საინვენტარო # 161.2) – თიხის საბეჭდავის აღმოჩენის ადგილი უცნობია. **ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში** (სურ. 108).

თიხის შტამპისებური საბეჭდავი, სავარაუდოდ მოწითალო შეფერილობის იყო და ახლა მონაცრისფერო ნადები აქვს გადაკრული, შესაბამისად ხაოიანია, თიხა ცუდად განლექილია მსხვილი მინარევებით. კარგადაა გამომწვარი.

სურ.108

საბეჭდავის სახელური მოკლე და თავმომრგვალებულია. ის ოვალურგანივკვეთიანია, ბოლოსკენ ფართოვდება. თიხის საბეჭდავის ფუძე წრიული და თხელია, ის საკმაოდ ფართოა. პირზე დატანილია მაღალრელიეფური ორნამეტი, რომელიც, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თითქოს ცალკეა იქნა დამზადებული და შემდგებ დაძერწილი საბეჭდავის პირზე. გამოსახულება ასეთია : ორი ერთმანეთის პარალელურად განლაგებულ სქელ და მაღალრელიეფურ ხაზზე მართობულად დაძერწილია ასეთივე მოკლე ხაზები, თითოეულზე ხუთი. ეს ორნამენტი ზემოდან შემკულია ფოსოებით : სულ 52.

დაცულობა: საბეჭდავს მცირედი დაზიანება აღენიშნება პირზე და სახელურზე. ზომები : საბეჭდავისს პირის 10 X 8,9 სმ.

17. თიხის საბეჭდავები, რომელთა გამოსახულებების იდენტიფიცირება ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა

ქვემოთ მოყვანილი საბეჭდავები აღმოჩენილია **უდაბნოს (I, II, III)** ნამოსახლარზე. უდაბნოს საბეჭდავების უმეტესობა აღმოჩენილია ნამოსახლარის ციტადელის სიახლოვეს, მის მომიჯნავე სათავსოებში, კერებთან ახლოს. ძეგლები ძვ.წ. I და II ათასწ. მიჯნით თარიღდება (R. Kunze 2012).

სურ.109

1. **(#210) - უდაბნო** (სურ.109). თიხის შტამპისებური საბეჭდავის ფრაგმენტი. ის იმდენადაა დაზიანებული, რომ ფაქტიურად შეუძლებელია გამოსახულების წაკითხვა. მის პირზე მხოლოდ ერთი ტიხრის ფრაგმენტია შემორჩენილი.



სურ.110

2. **(#535) - უდაბნო** (სურ.110). თიხის შტამპისებურ საბეჭდავს მრგვალგანივკვეთიანი სახელური აქვს, რომლის ბოლო სამკუთხედისებურია. ფუძე საკმაოდ მაღალია, ის კუთხეებმომრგვალებულ კვადრატს წარმოადგენს.

სურ.111

ბრტყელ პირზე ღრმადაა ამოკვეთილი სხვდასხვა ფორმის ნიშნები. საბეჭდავი თითქოს მსგავსია ლამისყანაში მოპოვებულ საბეჭდავისა. გამოსახულების იდენტიფიცირება ამ ეტაპზე შეუძლებელია. (სხვა ინფორმაციის მოძიება ამ ეტაპზე შეუძლებელი იყო).

3. **(#538) - უდაბნო** (სურ.111). თიხის საბეჭდავის ოთხკუთხა ფუძის ძალიან მცირე ფრაგმენტი. მასზე შემორჩენილია მაღალრელიეფური წვრილი ტალღოვანი ხაზები. ამ ფრაგმენტზე სხვა გამოსახულების დანახვა და აღქმა ფაქტიურად შეუძლებელია. (ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციის მოძიება შეუძლებელი იყო).

4. **(#712) - უდაბნო** (სურ.112). თიხის შტამპისებური საბეჭდავის ძალიან მცირე და ფაქტიურად უსახო ფრაგმენტი. მის პირზე მხოლოდ რელიეფური ჩარჩოს და ერთი ტიხრის ფრაგმენტია შემორჩენილი, შესაბამისად გამოსახულების იდენტიფიცირება შეუძლებელია. (ამ ეტაპზე სხვა ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა).

სურ.112

5. **(საინვენტარო # შწ. 5098)** - თიხის საბეჭდავის ფრაგმენტი აღმოჩენილია **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.113) ძვ.წ. პირველი ათასწ. ფენაში. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

თიხის საბეჭდავი, მოყავისფრო შეფერილობისაა, გამომწვარია, კეცი სილის მინარევებს შეიცავს. ზედაპირი გლუვია. საბეჭდავის პირის შემორჩენილი ნაწილით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ მას ოთხკუთხა ფუძე ჰქონდა. ბრტყელ პირზე შემორჩენილია მაღალ რელიეფური, სქელი, ერთმანეთის პარალელურად განლაგებული კანელურების მაგვარი გამოსახულება.

სურ.113

დაცულობა: საბეჭდავის მხოლოდ ფუძის ნაწილია გადარჩენილი. ზომები: შემორჩ. სიმაღლე 2,7 სმ. პირის შემორჩ ზომები: 4,5 X 2,8 სმ.

6. **(საინვენტარო # 4989/ა)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი, აღმოჩენილია ივრის ზეგანზე, **„ცისკარაანთ გორაზე“** (სურ.114), ძვ.წ. I ათასწლეულის ფენების გათხრებისას. ინახება დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიციაში.



სურ.114

თიხის საბეჭდავი, მორუხო - მოწითალო შეფერილობისაა, ხაოიანი, კეცი სილის მინარევებით. გამომწვარია. საბეჭდავს უსწორმასწორო თავმომრგვალებული მრგვალგანივკვეთიანი სახელური აქვს, რომელიც გადადის არაწესიერი ფორმის ოთხკუთხა მაღალ ფუძეში. საბეჭდავის პირზე ღრმა კვეთით შესრულებული რელიეფური ორნამენტია გამოსახული. პირს მთლიანად შემოუყვება ჩარჩო, რომლის 3 მხარიდან გამოყვანილია სქელი მონაკვეთი, რომლებიც ვერ აღწევენ მოპირდაპირე კიდემდე. შუაში გამყოფი მონაკვეთია რომელის ორივე მხრიდან გამოყვანილია სქელი მონაკვეთები, ერთი - ერთი არ უერთდება კიდეს, მეორე კი, ამ გამყოფი მონაკვეთის თავი ბოლსკენ არის მოხრილი. ეს ტიხრები და არშია დაფარულია ფოსოებით, სულ შემორჩენილია 63.

დაცულობა: საბეჭდავს ფუძის ნაწილი აქვს მოტეხლლი. ზომები: საბეჭდავის სიმაღლე: 8,5 სმ პირის შემორჩ. ზომები: 7 X 6,5 სმ.

7. **(საინვენტარო # 2291, 2288)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **ლამისყანის** (სურ.115) ჯამბაკურ - ორბელიანთა სასახლის კარის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჩრდ. აღმ. მხარეს, სასახლესთან მისასვლელი გზის მოასფალტებისას, 2014 წელს. საბეჭდავი ჩემი აზრით ძვ.წ. მეორე და პირველი ათასწ. მიჯნით უნდა თარიღდებოდეს. საბეჭდავი ინახება ჯამბაკურ - ორბელიანთა სასახლის ფონდში.

თიხის საბეჭდავი ღია ყავისფრადაა გამომწვარი, გარედან ნაპრიალებია. კეცი მსხვილ შავ და თეთრ მინარევებს შეიცავს. საბეჭდავის სახელური, სავარაუდოდ ოვალურგანივკვეთიანი უნდა ყოფილიყო, ხოლო ფუძე მართკუთხა, მომრგვალებული კუთხეებით. საბეჭდავის ბრტყელ პირზე მაღალრელიეფური T - სებრი ტიხრებით გაურკვეველი გამოსახულებაა დატანილი. კვეთა საკმაოდ ღრმაა.

დაცულობა: საბეჭდავს ყური მოტეხილი აქვს. დაზიანებულია ფუძის საკმაოდ დიდი ნაწილი და გამოსახულებაც. ზომები: საბეჭდავის შემორჩ. სიმაღლე 4,3 სმ, პირის შემორჩ. ზომები: 6,8 X 4,7 სმ.

*8. „(ДП – 413) - **დემეთა** შემთხვევითი მონაპოვარი, 1962 წელი. ინახება ცხინვალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.*

სურ.115

საბეჭდავი თიხისა, აგურისფრად გამომწვარი, საკმაოდ უხეში იერი აქვს. კონუსისებრი მოყვანილობის საბეჭდავი ფუძე უწესო ოვალს წარმოადგენს, ზურგი საკმაოდ მკვეთრად აქვს დაქანებული, რომელიც შებრტყელებულ და ფართო სახელურში გადადის. სახელურის ზედა ნაწილი ორფერდაა, ნახვრეტით ზონრისთვის. საბეჭდავიანი ნაწილისგან სახელური ღარით არის გამოყოფილი. პირზე გაურკვეველი გამოხატულებაა ამოჭრილი - უშუალოდ საბეჭდავის მიხედვით თუ განვსაზღვრავთ გამოხატულებას, იგი რელიეფური რკალებისა თუ სპირალებისგან შედგენილ „თავისებურ“ ბადურა ორნამენტს - სახეს წარმოადგენს. ანაბეჭდზე, ე. ი. მისი პოზიტივი იძლევა სხვადასხვა ნიშნებს - ელიფსისებრი, სამკუთხედისებრი და ა.შ. გამოხატულება ზოლით არის გარშემოვლებული „უწესო“ ოვალში „ჩასმული“. აგურისფრად გამომწვარ თიხას მოწითალო ფერი დაჰკრავს. თიხა კარგად

სურ.116

გამომწვარია. საკმაოდ კარგად განლექილი და არცთუმაინცდამაინც მსხვილმარცვლიანი. საბეჭდავი შედარებით სუფთა ნაძერწია. მთლიანობაში კი ფაქიზი ნახელავი არ არის და მძიმეა - საკმაოდ ტლანქი. - საბეჭდავის ფუძე უწესო ოვალს წარმოადგენს და ზურგი უსწორმასწორო აქვს. ძვ.წ. IX – VIII სს.

დაცულობა: საბეჭდავის ზურგი აქა-იქ მოტეხილია, ასევე პირის კიდეც, ზომები: საბეჭდავის სიმაღლე 4,8 სმ, პირის სიგრძე 4,1 სმ, პირის განი 3,8 სმ, ნახვრ. დიამ. 6 მმ.“ [მ. ლორთქიფანიძე 1969 : 73]

9. **(საინვენტარო # 53)** - თიხის შტამპისებური საბეჭდავი აღმოჩენილია **გრაკლიან გორაზე** 2015 წელს (სურ.116).

სურ.117

თიხის საბეჭდავი მონაცრისფრო შეფერილობისაა, გლუვი ზედაპირით. კეცი სილის მინარევებს შეიცავს. გამომწვარია. საბეჭდავს კონუსისებრი მოყვანილობის კორპუსი აქვს, ფუძე წრიული. სახელური, სავარაუდოდ ორი ზოომორფული შვერილით ბოლოვდებოდა. საბეჭდავის ბრტყელ პირზე ამოღარული ხაზებით გაურკვეველი გამოსახულებაა შექმნილი, შუა ნაწილში თითქოს ვარსკვლავის თუ ვარდულის გამოსახულებაა. კვეთა არ არის ღრმა.

დაცულობა: საბეჭდავს სახელურის შვერილები აქვს მოტეხილი, პირი აქა - იქ შემოტეხილია.

10. **(საინვენტარო # 1064)** - **ნარეკვავი** (სურ.117) მე - 3 ჰორიზონტი. საბეჭდავს პირი იმდენად აქვს დაზიანებული, რომ გამოსახულების იდენტიფიცირება შეუძლებელია. საბეჭდავს გადაჭრილი კონუსის მოყვანილობის კორპუსი (ვ. სადრაძე, რ. დავლიანიძე 1993).



სურ.118

11. თიხის საბეჭდავი **ნარეკვავიდან** (სურ.118) პირი დაზიანებულია. სახელურზე 2 ზოომორფული შვერილი აღენიშნება. კორპუსი ფუძისკენ ფართოვდება. გამოსახულება გაუგებარია, რადგან დაზიანებულია (ა. აფაქიძე, ა. კალანდაძე, ვ. ნიკოლაიშვილი 1978).

12. – 13. როგორც ბ - ნ შ. მამულაძის სტატიაში ვკითხულობთ, **2 საბეჭდავი** იქნა მოპოვებული მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფ, **ჭარნალის** ძვ.წ. VII – VI სს - ით დათარიღებულ გორასამოსახლოზეც (შ. მამულაძე 2010). თუმცა ამ ეტაპისთვის ვერ მოხერხდა ამ ორი ნიმუშის ბათუმის მუზეუმის ფონდებში მოძიება. შესაბამისად ჩვენთვის უცნობია თუ რა იყო მათ საბეჭდ პირზე გამოსახული.

2.2 „კახური“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური ჯგუფის საბეჭდავები“

ამ ჯგუფის საბეჭდავების უმეტესობა აღმოჩენილია კახეთის ტერიტორიაზე და მიეკუთვნება გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანას (ძვ.წ. II ათასწ. მეორე ნახევარი და ძვ.წ. I ათასწ. პირველი ნახევარი). ეს მასალები კატალოგში სხვადასხვა ტიპებშია გადანაწილებული და წარმოდგენილია შემდეგი ძეგლებიდან: ცისკარაანთ გორა, უდაბნო, ზემო ქედი, დიდნაური, ენამთა, მელი - ღელე, და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის მუზეუმში ნანახი ერთი საბეჭდავის ზუსტი აღმოჩენის ადგილი არ არის ცნობილი, მაგრამ ისიც გავაერთიანეთ ამ ტიპში, მასზე დატანილი გამოსახულების ამ ჯგუფის სხვა საბეჭდავებთან ძლიერი მსგავსების გამო (იხ. კატალოგი : 3,2).

როგორც კატალოგში ჩანს, კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი საბეჭდავები განსხვავებულია, თუნდაც შიდა ქართლის მასალებისგან. თუმცა, შიდა ქართლის რამდენიმე საბეჭდავის კახური ტიპის საბეჭდავებთან დიდი მსგავსების გამო, ისინი ამ ტიპის საბეჭდავებად მიმაჩნია. კატალოგის მიხედვით, „კახური“ ჯგუფის საბეჭდავებისთვის მეტად დამახასიათებელია მასიურობა, ღრმა კვეთა და მაღალრელიეფური გამოსახულებები. აქ უფრო მეტადაა გავრცელებული ოთხკუთხა მოყვანილობის ფუძე, ვიდრე შიდა ქართლში. უმეტესობას გრძელი, „მოსახერხებელი“ სახელური აქვს. გარდა ამისა, კიდევ ერთი განსაკუთრებული ნიშანი, რომელიც ჩემი აზრით, მხოლოდ კახური ტიპის საბეჭდავებისთვისაა დამახასიათებელი საქართველოს ტერიტორიაზე არის ვიწრო ფოსოები, რომელთა წყებით საბეჭდავის გამოსახულება ხშირადაა გაფორმებული. ეს ფოსოები ანაბეჭდზე ე.წ. კოპებად გადადის. არ არის გამორიცხული, რომ მათ გარკვეული დანიშნულება ჰქონდათ, თუმცა ამ ეტაპზე ამის დადგენა ძალიან რთულია.

„კახური“, ანუ „ცენტრალურამიერკავკასიური“ საბეჭდავებისთვის დამახასიათებელია ე.წ. „მაღალრელიეფური ტიხრებით“ შედგენილი ორნამენტები. გამოსახულება ტიხრებს შორის არსებულ სივრცეში მიიღება და ანაბეჭდზე, სწორედ ის არის ამობურცული. ამ ტიპის საბეჭდავებისთვის დამახასიათებელია სვასტიკის სხვადასხვა სახეები. განსხვავებით შიდა ქართლის ძეგლებისგან ამ საბეჭდავებზე რთულ

და მრავალმკლავიან სვასტიკას ვხვდებით. აქაური ჩახვეული სპირალი უფრო მაღალ რელიეფშია წარმოდგენილი. ამ ეტაპისთვის კახეთში გავრცელებული საბეჭდავის გამოსახულება: ტიხრებით შედგენილი სპირალი (მაგ. იხ. კატალოგი : 3;4) სრულიად უნიკალურად მიმაჩნია ამიერკავკასიის არქეოლოგიისათვის, რადგან სხვა გამოსახულებებისგან განსხვავებით, კვლევის ამ ეტაპზე მისი ანალოგები ცენტრალური ამიერკავკასიის მასშტაბით ვერ მოვიპოვეთ.

„კახური“ ტიპის საბეჭდავები ხშირ შემთხვევაში კარგი ნახელევია და ზედაპირიც კარგადაა დამუშავებული. ისინი ძირითადად, გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის საქართველოს სხვა საბეჭდვებთან შედარებით, უკეთესი ხარისხისაა.

ამ ჯგუფის საბეჭდავები, როგორც ზემოთ ავღნიშნე, საქართველოს ტერიტორიაზე, მცირე რაოდენობით კახეთის გარეთაცაა აღმოჩენილი, მაგალითად, თრელ გორებზე (იხ. კატალოგი: 5;10). ჩემი აზრით, თავისი სტილით ასევე კახური უნდა იყოს ლამისყანაში (იხ. კატალოგი: 17;7) აღმოჩენილი საბეჭდავიც.

გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანის კარგად დათარიღებული ამ ჯგუფის საბეჭდავები აღმოჩენილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზეც, ბაბადერვიშის, სარი თეფეს, მინგეჩაურის და სხვ. არქეოლოგიურ ძეგლებზე (Z. Hasanov 2018). ამ ფაქტმა განაპირობა, რომ ამ ჯგუფის საბეჭდავებისათვის, მეორე სახელიც - „ცენტრალურამიერკავკასიურიც“ გვეწოდებინა. უნდა აღინიშნოს, რომ კახეთში და აზერბაიჯანის ჩრდილო - დასავლეთ ნაწილში აღმოჩენილი საბეჭდავების გამოსახულებები თითქმის იდენტურია, ზომებიც ერთნაირია. თუმცა, განსხვავებულია სახელურის ზომები. კახური საბეჭდავებისთვის უფრო გრძელი სახელურებია დამახასიათებელი, ხოლო აზერბაიჯანულებისთვის კი მოკლე.

საყურადღებოა, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის თიხის შტამპისებური საბეჭდავები, აღმოჩენილია აღმოსავლეთ ევროპაში და ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში (Z. Hasanov 2018). ეს საბეჭდავები გარკვეულწილად ემსგავსებიან „კახური“ ჯგუფის საბეჭდავებს, თუმცა არა იმდენად, რომ „კახური“ ჯგუფის

საბეჭდავებად მივიჩნიოთ. ზემოაღნიშნული საბეჭდავების და „კახური“ ϫგუფის საბეჭდავების შესაძლო კავშირზე უკვე გამოქვეყნებულია სამეცნიერო ნაშრომი (Z. Hasanov 2018), თუმცა ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული შესაძლო კავშირის შესწავლა ძალზედ რთულია და გაცილებით სიღრმისეული კვლევა სჭირდება.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინϫაო-ადრერკინის ხანაში ორი განსხვავებული არქეოლოგიური კულტურის არსებობას, ამავე პერიოდის თიხის საბეჭდავებიც ადასტურებენ.

III თავი. საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინი ხანის თიხის საბეჭდავების სტატისტიკა, ფუნქციის განსაზღვრისათვის

3.1 სტატისტიკური ანალიზი

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბეჭდავების შესასწავლად, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესია მათი სტატისტიკური შესწავლა. ხოლო თვალსაჩინოებისათვის, აღნიშნული საბეჭდავების გავრცელების



სურ.119

არეალის დადგენა მათი აღმოჩენის ადგილების რუკაზე დატანით. ვფიქრობ, აღნიშნული საბეჭდავების სრულყოფილად შესწავლისათვის აუცილებელია გაკეთდეს გაცილებით მეტი დიაგრამები თუ რუკები, ვიდრე მე მაქვს ნაშრომში, მაგრამ, როგორც არაერთხელ ავღნიშნე შეზღუდული ვარ ნაშრომის მოცულობის გამო და ამდენად არ შემიძლია ყველა დეტალზე ყურადღების გამახვილება.

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბეჭდავებიდან შევძელი 117 ერთეულის მოძიება. ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს

აღნიშნული საბეჭდავების ჩემ მიერვე გამოყოფილი ტიპების სტატისტიკა, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ ყველაზე გავრცელებულია S-ისებრი სპირალის, კუთხეებშევსებული ჯვრის, ჩახვეული სპირალის და სვასტიკის ტიპის საბეჭდავები (სურ.119). ნაშრომში წარმოდგენილია აგრეთვე სტატისტიკური მონაცემები იმ ძეგლების შესახებ, სადაც ჩემ მიერ მოძიებული საბეჭდავები აღმოჩნდა (სურ.120). აღმოჩენის ადგილები დავიტანე რუკაზე (მოძიებული საბეჭდავებიდან არაერთია ისეთი, რომლის აღმოჩენის ადგილი უცნობია. ასეთ შემთხვევაში რუკაზე დავიტანე ის მუზეუმები, რომელშიც ეს საბეჭდავებია დაცული) (სურ. 121). აღნიშნული სტატისტიკური

სურ.120



მონაცემების მიხედვით, ყველაზე მეტი საბეჭდავი აღმოჩენილია ნარეკვავში (16), უდაბნოში (16), გრაკლიან გორასა (11) და ცისკარაანთ გორაზე (11) (სურ.118). ზემოაღნიშნულ მონაცემებსა და ჩემ მიერ შედგენილ რუკაზე დაკვირვებამ ნათელი გახადა, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავები, საქართველოს ტერიტორიაზე, კონცენტრირებულია ძირითადად კახეთსა და შიდა ქართლში. ზემოხსენებული ინფორმაციის მიღების შემდეგ იმისათვის, რომ აშკარად გამოჩენილიყო მიღებული დასკვნის სისწორე, გადავწყვიტე გამეკეთებინა წრიული დიაგრამა (სურ.122), სადაც პროცენტულად იქნებოდა ნაჩვენები, თუ ჩემთვის ცნობილი გვიანბრინჯაო-

სურ.121



ადერკინის ხანის, რამდენი თიხის საბეჭდავი იყო აღმოჩენილი საქართველოს ამა თუ იმ მხარეში. აღნიშნული დიაგრამის მიხედვით, ჩემი საბეჭდავების უმრავლესობა (55%) აღმოჩენილია შიდა ქართლში, მეორე დიდი ნაწილი კი, კახეთში (35%). მიღებული მონაცემებით ვიგებთ, რომ დღემდე ჩემთვის ცნობილი, საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადერკინის ხანის თიხის საბეჭდავების 90% გამოვლენილია შიდა ქართლსა და კახეთში. სტატისტიკური კვლევიდან მიღებული ეს საბოლოო ინფორმაცია, ერთობ მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის (აღნიშნული ინფორმაცია და მისი მნიშვნელობა განხილული გვაქვს ქვემოთ), თუმცა ეს არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მიღებაც შესაძლებელია ზემოხსენებული სტატისტიკური კვლევის გაფართოვების შემთხვევაში.



სურ.122

ბუნებრივია დიდია ალბათობა იმისა, რომ მომავალში კვლავ აღმოჩნდეს საქართველოს რომელიმე ძეგლზე თიხის საბეჭდავები ან მივაკვლიოთ უკვე აღმოჩენილ საბეჭდავებს იმ საცავებში, რომლებში მუშაობის საშუალებაც ამჟამად არ მომეცა, მაგრამ იმდენად დიდია სხვაობა კახეთსა და შიდა ქართლში აღმოჩნილ საბეჭდავების რაოდენობასა და სხვა მხარეებში აღმოჩნილ საბეჭდავთა რაოდენობას შორის, რომ ვფიქრობ, არსებული სურათი მკვეთრად არ შეიცვლება.

3.2 საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯო-ადრერკინი ხანის თიხის საბეჭდავების ფუნქციის განსაზღვრისათვის

საქართველოში აღმოჩენილი გვიანბრინჯო-ადრერკინის ხანის თიხის საბეჭდავების ფუნქციასთან დაკავშირებით მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. მ. ლორთქიფანიძის მიხედვით საბეჭდავების ჩვენს ყოფაში შემოსვლა ერთგვარად „ეკონომიკურმა“ მხარემ განაპირობა - გარკვეული დოვლათისა და ქონების დაგროვებამ, რომელიც თემისა და გვარის საერთო საკუთრებას წარმოადგენდა (მ. ლორთქიფანიძე 1969). მარგო ლორთქიფანიძე ხოვლეში აღმოჩენილ ბულას იმის უტყუარ საბუთად მიიჩნევდა, რომ ჩვენში იბეჭდებოდა (ილუქებოდა) ჭურჭლი თუ სათავსო. მისი აზრით, ხოვლეში ბულების გამოყენება წესად იყო, ხოლო იმ ფაქტს, რომ ამ ეტაპზე ხოვლეში აღმოჩენილია მხოლოდ ერთი ბულა, ხსნის იმით, რომ ბულას ჭურჭლისა თუ სათავსოს გახსნის შემდეგ ამტვრევდნენ ხოლმე და ძეგლმა განიცადა ისეთი ნგრევა და კატასტროფა, რომ არაა, გასაკვირი მხოლოდ ამ ერთი ბულის აღმოჩენა. საბეჭდავების ერთ ნაწაილს იგი ტვიფარ-შტამპად მიიჩნევს, რომელიც ხელოსნის მიერ თიხის ჭურჭლის საბეჭდავად გამოიყენებოდა (მ. ლორთქიფანიძე 1969).

შ. მამულაძეს თავის ნაშრომში საბეჭდავების ფუნქციონალური დატვირთვის შესახებ მოჰყავს კრუპნოვის (Е. И. Крупнов 1965) მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ ის საბეჭდავები რომელთა ზედაპირზე დატანილია ამობურცული გამოსახულებები, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ტატუირებისათვის. შოთა მამულაძე ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით იხსენიებს ქსენოფონტეს ცნობას მოსინიკებში სხეულის ტატუირების

ტრადიციის არსებობაზე. ასევე მოგვიანო ანტიკური ავტორების ცნობებს კავკასის ხალხებში აღნიშნული წესის შესახებ და სხვ. (შ. მამულაძე 2010). შ. მამულაძის მოსაზრებით აღნიშნული პერიოდის საბეჭდავები არ გამოიყენებოდა თიხის ჭურჭელზე ორნამენტის დასატანად, რადგან თანადროულ კერამიკულ ნიმუშებზე ასეთი ორნამენტის დატანის ტრადიცია არ ჩანს, ამიტომ მისი აზრით, ამ ტიპის საბეჭდავების გამოყენება უფრო სავარაუდოა ცომეულზე, საკულტო პურებზე გამოსახულების დასატანად (შ. მამულაძე 2010). შ. მამულაძეს მოსაზრების გასამყარებლად მოჰყავს მაგალითები ეთნოგრაფიული ყოფიდან, რომელთა მიხედვითაც ხევსურეთის და კავკასიის სხვა ხალხების ეთნოგრფიაში დადასტურებულია ხის ან ძვლის საბეჭდავის გამოყენება პურის ორნამენტაციისათვის, რომლებიც თავისი ფორმით ახლოს არიან არქეოლოგიურ სინამდვილეში აღმოჩენილ ნიმუშებთან (В. Бардавелидзе 1957), ხოლო მაღალმთიან აჭარაში დღემდე შემორჩენილია ხის საბეჭდავებით, როგორც პურებისა და ნამცხვრების ასევე დიდი დროით შესანახი რძის პროდუქტების დაბეჭვდა (შ. მამულაძე 2010). საინტერესოა კვლავ შ. მამულაძის მიერ თავის ნაშრომში მოყვანილი ცნობა ჭვანის განვითარებული შუასაუკუნეების ტერიტორიაზე აღმოჩენილი თონეების შესახებ, რომელთა ნაწილის შიდაპირი დაფარულია სხვადასხვა სახის ორნამენტით და ამდენად მასში პურის ჩაკრობისას ანაბეჭდი რჩებოდა პურზე (შ. მამულაძე 1993).

ყათლანიხევის ბორცვზე სამოციან წლებში გამოვლინდა საწესო ნაგებობა, რომელშიც დ. ხახუტაიშვილის აზრით სარიტუალო დანიშნულების არტეფაქტების აღმოჩენა, მათ შორის მზის ქალღმერთის ბაბალეს კერპის, მეტყველებს იმაზე, რომ ის ტაძარს წარმოადგენდა (დ. ხახუტაიშვილი 1964). დ. ხახუტაიშვილის მოსაზრებით, აქ აღმოჩენილი საბეჭდავი სვასტიკის გამოსახულებით, როგორც ჩანს სალოცავის საქონებელი უნდა ყოფილიყო, რომლითაც შესაწირ პურებს და ნივთებს ბეჭდავდნენ. მისივე აზრით, სარიტულო პურების დაბეჭვდა ხატის ქურუმის საპატიო მოვალეობათაგანი იყო და სვასტიკიანი თიხის საბეჭდავი მისი „ინსიგნიების“ აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა (დ. ხახუტაიშვილი 1964).

როგორც წინა თავებში ავღნიშნე აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთში აღმოჩენილ „კახურ“ ანუ „ცენტრალურამიერკავკასიურ“ თიხის ზოგიერთ საბეჭდავს აღენიშნება მჭვარტლის კვალი. ვ. ალიევის მიხედვით ამ საბეჭდავებს ზედაპირზე უსვამდნენ ზეთს, შემდეგ უკიდებდნენ ცეცხლს და ეს პროცეს საოჯახო რიტუალის ნაწილი იყო (В. Алиев 1971).

საბეჭდავების უმრავლესობა, რომლებიც მუზეუმებსა თუ ლიტერატურაში მაქვს მოძიებული, აღმოჩენილია ტაძრებსა და საცხოვრებელ სახლებში პურის საცხობ ღუმელებთან ახლოს, მხოლოდ ერთეული შემთხვევაა დაფიქსირებული საბეჭდავის სამარხში აღმოჩენისა, ხოლო ერთი საბეჭდავი აღმოჩნდა ხირსაში გათხრილ სამეთუნეო უბანთან. ჩემ მიერ მოძიებულ საბეჭდავების დიდ ნაწილზე დატანილია ძველ მსოფლიოში ფაქტიურად ნეოლითის ხანიდან ფართოდ გავრცელებული ან დიდ გეოგრფიულ არეალში დაფიქსირებული გამოსახულებები. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული საბეჭდავები ვერ იქნებოდა გამოყენებული პირადი საკუთრების დასადასტურებლად, რადგან ეს გამოსახულებები განმეორებადია. ამ დანიშნულებით შესაძლებელია გამოყენებული ყოფილიყო მხოლოდ ისეთი საბეჭდავები, რომელთა გამოსახულებებსაც არ აქვთ ანალოგი. მაგალითისათვის ჩვენს მიერ მოძიებული საბეჭდავებიდან ეს ფუნქცია შესაძლოა ჰქონდეს, ონის მუზეუმში ნანახ (იხ. ტიპი 12. N1) და გრაკლიანზე აღმოჩენილ ერთ-ერთ საბეჭდავს (იხ. ტიპი 17. N8). ისეთი საბეჭდავები, რომელთა გამოსახულებებიც განმეორებადია ვფიქრობთ, შესაძლოა, საკუთრების დასადასტურებლად ყოფილიყო გამოყენებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა რომელიმე კონკრეტული პირის, არამედ რელიგიური გაერთიანებისა ანუ რომელიმე ღვთაების მსახურების. თუ საბეჭდავზე არსებული გამოსახულება თავის შინაარსით გამოხატავს რომელიმე ღვთაებას და იგივე ღვთაებას ეთაყვანებიან სხვაგანაც, ამავდროულად გამოსახავენ იგივენაირად, მაშინ დასაშვები ხდება განმეორადობაც.

რაც შეეხება ვ. ალიევის მოსაზრებას საბეჭდავებზე ცეცხლის მოკიდების შესახებ (В. Алиев 1971), ვფიქრობთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი რამ არ ხდებოდა,

რადგან არცერთ ჩვენს მიერ ნანახ საბეჭდავზე მჭვარტლის კვალი არ შეგვიმჩნევია და ვერც ლიტერატურაში ვნახეთ მსგავსი რამ.

ტატუირებასთან დაკავშირებულ მოსაზრებას, ამჟამად ვერც ვუარყოფ და ვერც დავადასტურებ. არცერთ საბეჭდავს, რომელიც მე ვნახე, შეუიაღაღებელი თვალით არ ეტყობოდა საღებავის კვალი, არც ლიტერატურაში მინახავს ამგვარ ფაქტთან დაკავშირებით რამე. ამ მოსაზრების დადასტურება შესაძლოა ახალი საბეჭდავის აღმოჩენით, რომელზეც საღებავის კვალი იქნება ან უკვე აღმოჩენილ საბეჭდავების ლაბორატორიული კვლევით (უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო ფაქტი, რომ საქართველოში აღმოჩენილი საბეჭდავებს, როგორც წესი არ უტარებენ მსგავს გმოკვლევას). მანამდე კი, ამ მოსაზრების სასარგებლოდ მხოლოდ ზემოთ ნახსენები შ. მამულაძის არგუმენტი გვაქვს.

ასევე ვერ დავადასტურებ მ. ლორთქიფანიძის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზოგიერთი საბეჭდავი თიხის ჭურჭელზე ორნამენტის სატვიფრად იხმარებოდა (მ. ლორთქიფანიძე 1969), ვინაიდან საქართველოში აღმოჩენილი ამ პერიოდის უამრავი თიხის ჭურჭლიდან და ჭურჭლის ფრაგმენტებიდან, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არცერთზე არ დაფიქსირებულა ისეთი ანაბეჭდი, როგორსაც ამავე პერიოდის, რომელიმე საქართველოში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავი მოგვცემდა. მ. ლორთქიფანიძეს მოყვანილი აქვს ხირსაში „სამეთუნეო უბანში“ საბეჭდავის აღმოჩენის ფაქტი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად, თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საბეჭდავი არა გათხრების შედეგად, არამედ ექსკავატორით ამოყრილ მიწაშია შემთხვევით ნაპოვნი (კ. ფიცხელაური 1965). ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეუძლებელია ზუსტად დადგენა არსეობობს რაიმე კავშირი ამ საბეჭდავსა და ქურებს შორის თუ არა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ძეგლის გამთხრელის, კ. ფიცხელაურის ნაშრომში, სადაც სწორედ ხირსას “სამეთუნეო უბანზეა“ საუბარი, არაა ნახსენები საბეჭდავით დატვიფრული თიხის ჭურჭელი და არც ამ ნაშრომში მოცემული ხირსას კერამიკული მასალის ჩანახატებზე ჩანს რაიმე მსგავსი (კ. ფიცხელაური 1965).

რაც შეეხება მ. ლორთქიფანიძის შემდეგ მოსაზრებას, საბეჭდავით რაიმე სათავსოს ან ჭურჭლის დალუქვასთან დაკავშირებით (მ. ლორთქიფანიძე 1969), მე მას მხოლოდ ნაწილობრივ ვეთანხმები. ამ მოსაზრების სასარგებლოდ მას მოჰყავს ხოვლეში აღმოჩენილი თიხის ბულა (მ. ლორთქიფანიძე 1969). მართალია, საქართველოში ჯერ არ აღმოჩენილა ისეთი საბეჭდავი, რომელიც ისეთ ანაბეჭდს დატოვებდა, როგორიც ხოვლეს ბულაზეა, მაგრამ ვერ ვუარყოფ, რომ ეს ანაბეჭდი ბულაზე საბეჭდავით არის გაკეთებული. ფაქტია, რომ გვაქვს შემთხვევა საბეჭდავით რაიმეს დალუქვის, ვინაიდან ამ ბულას უკანა მხარეს აქვს ისეთი კვალი, რომელიც მიგვანიშნებს იმას, რომ იგი ჭურჭლის სარქველზე იყო დაკრული. მაგრამ ვერ დავეთანხმები მ. ლორთქიფანიძეს, რომ ხოვლეში ეს წესად იყო და ხშირ მოვლენას წარმოადგენდა, ვინაიდან მხოლოდ ერთი ბულა გვაქვს, როცა არაერთი საბეჭდავია ხოვლეში აღმოჩენილი. რეალურია, რომ ლუქის მოხსნის შემდეგ იგი დაემტვრიათ, მაგრამ ამ შემთხვევაში მსგავს ფაქტს თუ სისტემატიური ხასიათი ჰქონდა რამდენიმე ფრაგმენტი მაინც უნდა აღმოჩენილიყო. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ბულის გარდა, სხვა ამავე პერიოდის ბულა საქართველოში არ აღმოჩენილა, მიუხედავად უამრავი გვიანბრინჯაო-ადრერკინს ხანის ძეგლის გათხრისა. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რაიმეს საბეჭდავით დალუქვას არათუ ხოვლეში არამედ, მთელს საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში სისტემატიური ხასიათი არ ჰქონია.

ჩემი დაკვირვებით, შ. მამულაძე თავის ნაშრომში კრუპნოვის სხვა მოსაზრებებზე მეტად იზიარებს იმ აზრს, რომ თიხის საბეჭდავები გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცომეულის დასაბეჭდად და როგორც ზემოთ ვახსენე, ამასთან დაკავშირებით მოყავს რამდენიმე მაგალითი, მათ შორის ეთნოგრაფიიდანაც (შ. მამულაძე 2010). მსგავსი მოსაზრება აქვს დ. ხახუტაიშვილსაც (დ. ხახუტაიშვილი 1964). იგი ფიქრობს, რომ ძირითადად, წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული საწესო პურების გამოცხობა, სალოცავში არსებულ ღუმელებში წარმოებდა, ხოლო ნამცხვარზე სასურველი გამოსახულების გაკეთება საბეჭდავით ხდებოდა (დ. ხახუტაიშვილი 1964). აღნიშნულ მოსაზრებას მხარს უჭერს ის ფაქტი, რომ შიდა ქართლში აღმოჩენილი

საბეჭდავების უმეტესობა აღმოჩენილია ხოვლური ტიპის ღუმელთან, რომელიც სამართლიანადაა პურის საცხობ ღუმელად მიჩნეული. აღნიშნული ღუმელები გარდა საცხოვრებელი სახლებისა გვხვდება ასევე საწესო ნაგებობებში (დ. ხახუტაიშვილი 1964), რაც იმაზე მიუთითებს, რომ საბეჭდავებით ცომეულის დაბეჭვდა რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. პურის საცხობი ღუმელებისა და საბეჭდავების კავშირთან, შესაბამისად საბეჭდავების ფუნქციასთან დაკავშირებით არქეოლოგმა გიორგი ბედიანაშვილმა მომაწოდა უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია, მის მიერ თრელი გორებზე წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რომლის დროსაც, ღუმელის სიახლოვეს აღმოჩნდა საბეჭდავი. მისივე ინფორმაციით, აღნიშნულ საბეჭდავზე, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორმა, პალინოლოგმა ელისო ყვავაძემ ჩაატარა კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ საბეჭდავი ცომზე იყო გამოყენებული. სამწუხაროდ, ეს კვლევა ჯერჯერობით არაა გამოქვეყნებული, მაგრამ აღნიშნული ცნობა ჩემი კვლევისათვის უმნიშვნელოვანესია. ეს საბეჭდავი ჩემთვის ცნობილი პირველი საბეჭდავია, რომელზეც დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცომეულისათვის გამოიყენებოდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდის საბეჭდავების კონცენტრაცია შეინიშნება კახეთსა და შიდა ქართლში. სავარაუდოა, რომ გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში ამ რეგიონებში პურეული მარცვლეული საკმაო ოდენობით მოჰყავდათ, რაზეც აქ აღმოჩენილი ხელსაფქვავები და ნამგლის ჩასართები უნდა მეტყველებდეს (ა. თეთრუაშვილი 2018), (კ. ფიცხელაური 1965). როგორც ჩანს, ამ ტერიტორიებზე უძველესი დროიდან მოყოლებული კარგი კლიმატური პირობებია პურეული მარცვლეულის მოსაყვანად, ამას ისიც მიუთითებს, რომ სოფლის მეურნეობის კვლევითი ცენტრის ინფორმაციით, შიდა ქართლი და კახეთი დღესაც ხორბლის მწარმოებელი ძირითადი რეგიონებია საქართველოში (ინფორმაცია იხ. ლინკზე: http://srca.gov.ge/files/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C.pdf).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საბეჭდავებიდან ყველა თუ არა ძირითადი ნაწილი, მაინც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცომეულზე ანაბეჭდების დასატოვებლად. ეს ცომეული კი, როგორც დ. ხახუტაიშვილი ფიქრობს ღვთაებისადმი უნდა ყოფილიყო მიძღვნილი-შეწირული (დ. ხახუტაიშვილი 1964). ამ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს ეთნოგრაფიული მონაცემები (В. Бардавелидзе 1957), საბეჭდავების დიდი ნაწილის პურის საცხობ ღუმელებთან სიახლოვეს აღმოჩენა, ზოგ შემთხვევაში ტაძარში აღმოჩენა, ღუმელთნ აღმოჩენილ ერთ-ერთ საბეჭდავზე ჩატარებული ლაბორატორიული კვლევა, საბეჭდავების კონცენტრირება ისეთ რეგიონებში, სადაც პურეული მარცვლეულის მოსაყვანად უძველესი დროიდანვე ხელსაყრელი პირობები იყო, და ბოლოს ისიც, რომ საბეჭდავების სხვა ფუნქციების დასადასტურებლად არ გვაქვს მყარი და საკმაო არგუმენტები. მეტიც, ზოგიერთი მათგანი შეგვიძლია თამამად ვუარყოთ. აქედან გამომდინარე, გვრჩება ჩემი აზრით, ყველაზე ლოგიკური და მართებული მოსაზრება, რომ გვაინბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავები ძირითადად, გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცომეულის დასაბეჭდად. ცომეულის ბეჭვდა კი იმდროინდელ რწმენა-წარმოდგენებთან იყო დაკავშირებული.

დასკვნა

ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში კავკასიაში საგრძნობლად იცვლება კულტურის ხასიათი და ცხოვრების წესი. მეურნეობის ხასიათის შეცვლამ, ბრინჯაოს მეტალურგიის დაწინაურებამ, ეკონომიკის საერთო დონის ამაღლებამ, ბარის ხელახალმა ინტენსიურმა ათვისებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა საზოგადოების ცხოვრების საერთო დონე. გვიანბრინჯაოს ხანის გარკვეულ საფეხურზე შემოდის რკინა და ამიტომ, ამ პერიოდს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანასაც უწოდებენ. სამხრეთ კავკასიის სხვადასხვა პროვინციებში თავისებური ხასიათის კულტურები ყალიბდება. ძველი აღმოსავლეთის წერილობით ძეგლებში პირველად ჩნდება ცნობები ქართველ ტომთა შესახებ (ო.ჯაფარიძე 2003).

სწორედ ამ მნიშვნელოვანი ცვლილებების პერიოდს მიეკუთვნება ჩემ მიერ შესწავლილი თიხის საბეჭდავები. აღნიშნული საბეჭდავების რიცხვმა სულ 116-ს მიაღწია. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა მათგანი შტამპისებურია. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ძირითადად ასეთი, სახელურიანი საბეჭდავებია დამახასიათებელი. ამ მხრივ, გამონაკლისია გრაკლიანის უსახელურო საბეჭდავი, ხოვლეს, ყათლანიხევის, ცხინვალის საბეჭდავი ფირფიტები და ხოვლეში აღმოჩენილი მრგვალი ფორმის ზურგჩაზნექილი საბეჭდავიც (იხ კატალოგი: 2;6). დანარჩენი საბეჭდავები ფორმის მიხედვით დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მართალია, სხვადასხვა ზომისანი არიან, მაგრამ ყველა მათგანს აქვს სახელური და მეტად თუ ნაკლებად გამოყოფილი ფუძე. სახელურები არის კონუსისებური, გადაჭრილი კონუსისებური, ცილინდრული, შვერილებიანი-ზოომორფული, აგრეთვე არის ერთი შემთხვევა, როცა სახელურს ფრინველის ფორმა აქვს (იხ. კატალოგი: 1;15) და ერთი შემთხვევა, როცა სახელური ანთრპომორფულია (იხ. კატალოგი: 5;20). სახელურის სისქე და სიგრძე ძირითად შემთხვევებში ფუძის პროპორციულად იზრდება. მაგალითად კახეთში აღმოჩენილი საბეჭდავების უმრავლესობა დიდი ზომის ფუძით გამოირჩევა და შესაბამისად სახელურის ზომაც დიდია. აღნიშნული ფაქტი, ბუნებრივია, გამოწვეულია იმით, რომ ამ შემთხვევაში საბეჭდავის გამოყენება უფრო კომფორტულია. აღსანიშნავია, რომ არც თუ

ისე იშვიათია სახელურის ზედა ბოლოზე მეორე გამოსახულების ანუ მეორე საბეჭდავი პირის არსებობა. ეს ფაქტიც ვფიქრობ, პრაქტიკულობიდან უნდა გამომდინარეობდეს, ვინაიდან, ამ შემთხვევაში ორი სხვადასხვა გამოსახულების დასატანად ერთი საბეჭდავიც საკმარისი ხდება. რაც შეეხება საბეჭდავების ფუძეებს, ძირითადად ორი ფორმაა გავრცელებული - ოთხკუთხა და წრიული. არსებობს ასევე აღნიშნული ფორმების შუალედური ფორმაც. ამ შემთხვევაში ფუძე ოთხკუთხაა, თუმცა გვერდები საკმაოდ მომრგვალებული აქვს. ფუძის განსხვავებული ფორმა აქვთ ზემოთხსენებულ გამონაკლის საბეჭდავებს და დამატებით კიდევ ერთ საბეჭდავს სიღნაღის მუზეუმიდან (იხ. კატალოგი: 3;6). ფუძის ფორმა უმეტესწილად დამოკიდებულია მასზე არსებულ გამოსახულებაზე. თუ კი გამოსახულება წრიულია, შესაბამისად წრიულია ფუძის ფორმაც, მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთმანეთში ჩასმული წრეები. ჩვენს მიერ მოძიებულ საბეჭდავებზე არსებული, აღნიშნული გამოსახულება, ყველა შემთხვევაში წრიული ფორმის ფუძეზეა დატანილი, ხოლო სვასტიკა და მისი სახესხვაობები ძირითადად ოთხკუთხედ ფუძეებზე.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, კახეთის საბეჭდავები ხშირად, დიდი ზომის ფუძით და შესაბამისად, სახელურებით გამოირჩევიან (გვაქვს რამდენიმე შემთხვევა დიდი ზომის საბეჭდავის სხვა კუთხეში აღმოჩენისაც), მაგრამ მათი დამახასიათებელი ნიშანი მხოლოდ ეს არ არის. აღნიშნული საბეჭდავების უმრავლესობას სხვა საბეჭდავებისაგან გამოარჩევს ფოსოები, რომლებიც სხვადასხვა რაოდენობით გამოსახულია საბეჭდ პირებზე. დაკვირვებამ ცხადყო, რომ ფოსოები დატანილია არა ერთი კონკრეტულ ტიპის საბეჭდავებზე, არამედ სხვადასხვა ტიპის გამოსახულებებთან ერთად, სხვადასხვა ტიპის საბეჭდავებზე. კვლევის ამ ეტაპზე ვერ შევძელი დადგენა თუ რა ფუნქცია ჰქონდათ აღნიშნული ფოსოებს, ან რა სიმბოლური დატვირთვა. შევამჩნიე მხოლოდ, რომ მსგავსი ფოსოებიანი რამდენიმე საბეჭდავი აღმოჩნდა შიდა ქართლშიც, თუმცა აშკარაა რომ აღნიშნული დეტალი კახური საბეჭდავების ჯგუფის სახასიათო ნიშანია და მსგავს ფოსოებიანი საბეჭდავები, მიუხედავად მათი შიდა ქართლში აღმოჩენისა, აღნიშნულ ჯგუფში უნდა გავაერთიანოთ. ბევრად უფრო მცირე ზომის ფოსოები აღმოაჩნდა შიდა

ქართლში აღმოჩენილ ზოგიერთ საბეჭდავზე (აღნიშნულ საბეჭდავებზე ფოსოები, კახური ჯგუფის საბეჭდავებთან შედარებით გაცილებით მცირე რაოდენობისაა (იხ. კატალოგი: 1;3)). ზემოხსენებულ ორივე სახის ფოსოებს შესაძლოა ერთი და იგივე ფუნქცია თუ სიმბოლური დატვირთვა ჰქონდეს, მაგრამ შიდა ქართლის მცირე ფოსოებიან საბეჭდავებს სხვა მახასიათებლების გამო კახური საბეჭდავების ჯგუფში ვერ შევიყვანთ. როგორც წინა თავში ავღნიშნე, კახური ჯგუფის საბეჭდავებს ახლო ანალოგები ეძებნებათ აზერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, განჯა-ყაზახის რაიონის რამოდენიმე ძეგლზე აღმოჩენილ საბეჭდავებს შორის. აზერბაიჯანის აღნიშნული საბეჭდავების გარკვეული ნაწილი ყველა პარამეტრით მსგავსია კახური ჯგუფის ზოგიერთი საბეჭდავისა ზოგჯერ კი მსგავსია იმ ძირითადი მახასიათებლებით (დიდი ზომები და ფოსოები), რომლის საშუალებითაც კახური ჯგუფის საბეჭდავები გამოვყავით. ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე ვფიქრობ, კახური ჯგუფის საბეჭდავები და მათი ანალოგები განჯა-ყაზახის რაიონიდან ერთი არქეოლოგიური კულტურის კუთვნილებაა და ერთ ჯგუფში უნდა იყოს გაერთიანებული. ამ ჯგუფის საბეჭდავების სახელწოდების, მათი გავრცელების არეალთან შესაბამისობაში მოსაყვანად შევარჩიე მეორე სახელწოდებაც - „ცენტრალურამიერკავკასიური“. ვფიქრობ, მომავალში კვლევის მასშტაბის გაზრდის შედეგად, მოსალოდნელია უფრო დაზუსტდება აღნიშნული ჯგუფის საბეჭდავების გავრცელების არეალისა.

საბეჭდავების ჯგუფების გამოყოფასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ სრულებით მოსალოდნელია ახალი ჯგუფის თუ ჯგუფების გამოვლენა თუმცა ვინაიდან ამჟამად, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნები და დროის სიმცირე არ მაძლევს აღნიშნულ საკითხზე მუშაობის საშუალებას ვფიქრობ, ეს მომავლის საქმეა. მომავალში, სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია, ასევე გამოსახულებების მიხედვით, საბეჭდავების ახალი ტიპების გამოყოფა და ვფიქრობთ აუცილებელია უკვე არსებული ტიპების გავრცელების არეალების რუკაზე ასახვა მეტი თვალსაჩინოებისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით, წინასწარულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბეჭდავები შევსებულიჯვრის გამოსახულებით გავრცელებულია ძირითადად შიდა ქართლში და რამდენადაც ჩემთვის

ცნობილია, არცერთი მათგანი არ აღმოჩენილა კახეთში. ამ ფაქტის მიზეზი ბუნებრივია ძალზედ საინტერესოა, მაგრამ ზემოთხსენებულ მიზეზთა გამო, ამ საკითხის კვლევაც მომავლისათვის გადავდეთ.

ვინაიდან საბეჭდავების ფუნქციასთან დაკავშირებით წინა თავში უკვე ვისაუბრე, აქ აღარ განვიხილავთ სათითაოდ ყველა მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით. მხოლოდ გავიმეორებ, რომ სავარაუდოდ ყველა ჩემ მიერ განხილული საბეჭდავი არა, მაგრამ მათი ძირითადი ნაწილი გამოყენებული უნდა ყოფილიყო ცომეულის დასაბეჭდად, ამ ცომეულის დაბეჭვდა და ცხობა კი იმდროინდელ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული რიტუალი იყო.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ჩემი ნაშრომით გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის საქართველოში აღმოჩენილ თიხის საბეჭდავებთან დაკავშირებით ბევრ კითხვას გაეცა პასუხი, თუმცა ამავდროულად გაჩნდა ახალი კითხვებიც, რომლებსაც მომავალი კვლევები გასცემს პასუხს. გარდა იმ დასკვნებისა რომლებიც მე წარმოვადგინე აღნიშნულ მასალებზე მუშაობისას, ნაშრომში შეკრებილ მონაცემებზე დაყრდნობით დაინტერესებულ მკვლევარს შეუძლია იმ სხვა ახალი და საინტერესო დასკვნების გამოტანაც, რომელთა გაკეთებაც დროის სიმცირის გამო მე ვერ მოვახერხე. ეს კი ჩემი აზრით ნაშრომის მთავარი ღირსებაა.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

1. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., „მცხეთა 1975. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში“, 1978 წ., ტ. II, 8 - 77 გვ.
2. აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. ... (ავტორთა კოლექტივი), „მცხეთა 1976. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში“, 1978 წ., ტ. II, 81 - 146 გვ.
3. გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ფუთურიძე რ., ფირცხალავა მ., ჭყონია ა., „ვანის ნაქალაქარის ზედა ტერასაზე 1970 – 1977 წლებში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის კატალოგი“, „ვანი“ 1979 წელი, ტ. IV, 41 – 114 გვ.
4. დავლიანიძე რ., სადრაძე ვ., „ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი“, თბილისი, „მეცნიერება“, 1993 წელი, 120 გვერდი.
5. დიდნაური, „ონლაინ არქეოლოგია“ #8, 2015 წელი, 35 -39 გვ.
6. თეთრუაშვილი ა., „მეურნეობის ტიპები გრაკლიან გორაზე ქვის ინდუსტრიის არქეოლოგიური და ტრასოლოგიური კვლევების მიხედვით“, თბილისი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2018 წელი, 167 გვერდი.
7. კახიძე ა., ფარტენაძე თ., „აჭარა ადრეანტიკურ ხანაში (კოლხური კლასიკა)“, ბათუმი, 2017 წ., 139 გვერდი.
8. კვირკვაია რ., „კრემაციული სამარხები ჯავახეთში და ურარტული კოლიმბარიუმები“, „საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე“ 2013 წ. #4, გვ 92 – 103.
9. ლორთქიფანიძე მ., „ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I“, თბილისი, „მეცნიერება“, 1969 წ., 159 გვერდი.
10. მამულაძე შ., „ახალი მასალები საბეჭდავების ფუნქციონალური დანიშნულების ზოგიერთი საკითხის დაზუსტებისთვის“, „კულტურულ - საისტორიო ძიებანი“, “თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა” 2010, 93 – 106 გვ.
11. მუსხელიშვილი დ., „ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა“, თბილისი, „მეცნიერება“, 1978 წ. 108 გვერდი.

12. ნიკოლაიშვილი ნ., გავაშელი ე., „ნარეკვავის არქეოლოგიური ძეგლები“, თბილისი, 2007 წ., 331 გვერდი.

13. სადრაძე ვ., „მცხეთა და მისი შემოგარენის ძვ.წ. II – I ათასწლეულის პირველი ნახევრის არქეოლოგიური ძეგლები“, თბილისი, „მეცნიერება“, 2002 წ. 337 გვერდი.

14. სადრაძე ვ., „წეროვანი II. ბრინჯაო - რკინის ხანის სამაროვანი, კატალოგი”, „მცხეთა . რქეოლოგიური კვლევა - ძიების შედეგები“ 1989 წ., ტ. IX, 77 – 154 გვ.

15. სამსონია ნ., „მითანური გლიპტიკა“, თბილისი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2016 წ., 278 გვერდი.

16. სამსონია ნ., “შუამდინარული გლიპტიკა“, თბილისი, „უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2008 წ. 173 გვერდი.

17. ფიცხელაური კ., „აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ.წ. XV – VII სს)“, თბილისი, „მეცნიერება“, 1973 წ. 217 გვერდი.

18. ფიცხელაური კ., „იორ - ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა“, თბილისი, „მეცნიერება“, 1965 წ. 148 გვერდი.

19. ფიცხელაური კ., „ცენტრალურამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ.წ. XIV – XIII სს“, თბილისი, „მეცნიერება“, 2005 წ. 435 გვერდი (ტაბულებიანა).

20. შანშაშვილი ნ., შერაზადიშვილი ზ., „სამხრეთ კავკასიის უძველესი საბეჭდავები“, „გორის მუზეუმის არქეოლოგიური მაცნე“, 2013 წელი, #1, 7 - 25 გვ.

21. შანშაშვილი ნ., ნარიმანიშვილი გ., ნარიმანიშვილი გ., „ვაჭრობა და სავაჭრო გზები სამხრეთ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთს შორის (ძვ.წ. III – II ათასწლეულები), თბილისი 2016 წელი, 201 გვერდი.

22. ჩუბინიშვილი ტ., ღამბაშიძე ო., „მესხეთ - ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წლის საველე მუშაობის შედეგები.“ XIV სამეცნიერო სესიის თეზისები. თბილისი, 1965 წ. 8 – 10 გვ.

23. ხახუტაიშვილი დ., „უფლისციხე I“, თბილისი, „მეცნიერება“, 1964 წ., 117 გვერდი.

24. ჯაფარიძე ო., „საქართველოს ისტორიის სათავეებთან“, თბილისი, „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 2003 წელი, 419 გვერდი.

25. Brandl B., Greenhut Z., Vainstub D., “Glyptics, impressed and incised sherds, and engraved inscriptions”, Salvage excavations at Tel Moẓa : the Bronze and Iron Age settlements and later occupations, Jerusalem Israel Antiquities Authority, 2009 y., 125 – 147 pp.

26. Collon D., “First impressions, cylinder seals in the ancient near east”, London, “British museum press”, 2005 y. 208 pages.

27. Dincol A. M., Dincol B., Jean E., “unpublished Hittie seals in the collections at Adana”, “Anatolia Antiqua, 1998 y., vol. 6, 183 – 193 pp.

28. Duff P., “An Indus seal: Spirit of a civilization”, Lent, 2011 y. 15 pages.

29. Evans A. J., “The Palace of Minos: a comparative account of the successive stages of the early Cretan civilization as illustred by the discoveries at Knossos (Band 1): The Neolithic and Early and Middle Minoan Ages” London, 1921 y.

30. Frangipane M., “The Origins of administrative practices and their developments in Greater Mesopotamia. The evidence from Arslantepe 2016”, “Emergence of the state and development of the administration: the role of writing in Egypt, Near East and China”, Paris, 2016, 9 – 32 pp.

31. Frenz D., “Indus administrative technology new insights of Harappan stump seals and their impressions on clay tags”, ISMEO, 2019, 89 pp.

32. Hasanov Z.,“The prehistory of knowledge exchange between the Caucasus, the Black Sea Region and Central Europe: first millenium BC”, “Studies on South east Europe”, 2018 year, Vol 22, 52 – 79 pp.

33. Heat M., “Early Helladic clay sealings from the house of tiles at Lerna, Hespria”, 1928.

34. Hogarth D., “Hittite Seals”, Oxford, 1911.

35. Ibrahimov T., “Motif “moving swastika” (origin and symbolism of ancient motive)”, ob:https://issuu.com/yandex3765/docs/motif_moving_swastika_origin_an?fbclid=IwAR3XztzHSFrg8fxvNQQw13SJ9eOumS4eKmqbNkZe3gLeUik1M5YpIGHLb5A

36. Shinde V., Possehl L., Ameri M., „Excavations at Gilund 2001–2003: The Seal Impressions and Other Finds”, “Procedings of the Seventeenth International conference of the European

Association of South Asian Archaeologists (7 – 11 July 2003, Bonn)", linden soft verlag: Aachen, 2005, 159 – 169 pp.

37. Kunze R., "Living and Working in Late Bronze/Early Iron Age Georgia: The Settlements of Udabno in Kakheti (Eastern Georgia) and a Contribution to Metallurgy Based on a Field Survey in the Upper Alazani River Basin", "Studies in Caucasian Archaeology", Vol. 3, Tbilisi, 2017 y. 54 – 83 pp.

38. Oguzhanoglu U., "A lead seal from Laodikeia-Kandiliki excavations and an overall assessment of seal use in south – western Anatolia During the Early Bronze Age"., Oxfrod Journal of Archaeology, 2019, vol. 38. 39 – 64 pp.

39. Osten H.H.V.D., "Alishar hüyük seasons of 1930-32", Part II.

40. Prijatelj A., "digging the neolithic seals of SE Europe from archaeological deposits, texts and mental construct", "Documenta Praehistorica", Vol. XXXIV, 2007 y., 231-256 pp.

41. Umurtak G., "some observations on lead stamp seal from the Bademagaci excavations", "Anatolica", 2002 y., vol. 28, 159 – 165 pp.

42. Rempel J. "The Chevron – filled cross and early connunicative systems", "The fertile land. Signs and symbols in the early arts of Iran and Iraq (Ed. By M. Cool Root), Chicago, 2005 pp. 37 – 46.

43. Serifoglu T. E., "between Hittites and the mittanians: The Malatya – Elazig area during the Late Bronze Age", "ANES" 2011 y. vol. 48, 126 -163 pp.

44. Stefan E., C., "A few remarks concerning the clay stamp-seals from the Gumelnița culture". "Studii de Preistorie" Bucureşti, 2009 y., vol. 6, 150 – 163 pp.

45. Yule P. "Early Cretan seal: a study if chronology", West Germany, 1981 y. 306 pp.

46. Younger J. G., Aegean Seals of the Late Bronze Age: Stylistic groups, 1985 y., 45 -72 pp.

47. Warren P., "Myrtos : an Early Iron Age settlement in Crete (Athens)" 1972.

48. Zharnikova S. "Archaic motifs in North Russian Folk and parallels in ancient ornamentam designs of the Eurasian Steppe peoples" ob: https://www.booksite.ru/fulltext/1/001/001/073/j5.htm?fbclid=IwAR1zvEJPScSFNGDqc0QID3dkHFNs6ifHl7IoMh62vndDQdgZ9lgfz8S6TqA.

49. Kunze R., “Interdisziplinäre studien zu den kleinfuden der Siedlungen Udabno I –III (ostgeorgien)“., Tübingen, 2012 y. 163 pp.

50. Matz F., „Die Frükretischen Siegel“, Berlin, 1928 y.

51. Xenaki-sakellariou A., “Les Cachets minoennes de la collection Gimalakis”, Etude Cretoise, X, Paris, 1958.

52. Gonzalez J. M., “Las pintaderas de terracota de Gran Canaria, “studio morfotecnológico y funcional”, Gran canaria, 2015 y., 293 pages.

53. Алиев В., «Археологические раскопки в урошище Бабадервиши», «Советская Археология», 1971 г., №2, 223-232 стр.

54. Апакидзе М.А., Николаишвили В.В... (группа авторов) «Мцхетская екпедиция», ПАИ в 1983 году, «Мецниереба», 1986 г. 31 – 37 стр.

55. Бардавелидзе В.В., “Древнейшие религиозние верования и обрядовое и графическое искусство грузинских племён”., Тбилиси, 1957 г. 130 стр.

56. Крупнов Е. И., «Новие «пинтадери» из сел. Сержсен-юрт (Чечено-Ингушетия), новое «Советская Археологии» М., 1965.

57. Рамишвили Р.М,. Джорбенадзе В.А...(Группа авторов) «Мцхетская екпедиция», ПАИ в 1986 году, «Мецниереба», 1991 г. 89 – 95 стр.

58.

59. Цитлананадзе Л., Мирцхулава Н.М., Менабде М., Кигурадзе Т.К., «Мчадиджварис Гора», ПАИ в 1977 году, «Мецниереба», 1980 г. 55 – 60 стр.

60. http://srca.gov.ge/files/%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C.pdf